1960/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

1960

საქართველო

ალმანახი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აპპარის განყოფილების
ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

3043

2

1960

მარტი
აპრილი

შინაარსი

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის

ნ. მალაზონია — დიდი ლენინი იბადებოდა (ლექსი) 3
შ. როყვა — შორსმჭვრეტელობა (ლექსი) . 4
ლ. ფელაძე — მთა ელოდა (ბალადა) . . . 5
შ. შუბლაძე — აპრილი და ლენინი (ლექსი) 7
ჯ. ჯაყელი — დიდი ზამთარი (მოთხრობა) . 8
რ. ართილაყვა — ლენინის ძეგლი ბათუმში (ლექსი) 12
გ. სანადირაძე — ყველაზე ძვირფასი (მოთხრობა) 13
თ. რამიშვილი — ლენინ! (ლექსი) . . . 19
თ. ქათამაძე — ლენინის ხსოვნას (ლექსი) 20
კ. ფედინი — ნახატი ლენინის სახიდან (მოთხრობა, თარგმნა თ. გაიდამაშ-ჩუკმა) 21
ს. ესენინი — ლენინი (ნაწყვეტი პოემიდან, თარგმნა გიორგი სალუქვაძემ) . . 29
ჯ. შამილაძე — ლენინის სახელით გულში (ნარკვევი) 31
ს. არველაძე — ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთულ პოეზიაში 35
კ. დოლიძე — ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი და ბელადი 38

აპპარის სახელმწიფო გამოცემლობა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ართილაყვა—ვ. ი. ლენინი მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ . . 44
ა. სურგულაძე—ვ. ი. ლენინი ბათუმის შესახებ 48

დღეები და ადამიანები

ალ. ჩხაიძე—ძნელი კილომეტრები . . 51

პუბლიკაცია

გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი ლექსი 58
შალვა დადიანის გამოუქვეყნებელი ლეგენდა 60

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალ. ჩავლეიშვილი—ერთი მოთხრობის ტიპიური პერსონაჟები 62
ა. სანადირაძე—ნანა გვარიშვილის პოეზია 69
გრ. ნუცუბიძე—დასავლეთის ახალგაზრდობის ტრაგედია 73
დ. კომახიძე—ქალაქ ბათუმის რეკონსტრუქციის პრობლემები 77

ლიტერატურული კალენდარი

პ. ხმალაძე—პოეტი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე 82

აჭარის წარსულიდან

პ. ცაქვიტარია—აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი 84

ს პ ო რ ტ ი

გ. გამრეკელი—ტურნირი დამთავრდა . 89

წიგნის თარო

შ. ნიშარაძე—წარმატებითი დებიუტი . 92
ვლ. მგელაძე—ისტორიული ნარკვევი ბათუმის შესახებ 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ. მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1. ტელეფონები—14-06, 13-35.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნესტორ მაღაზონია

დიდი ლენინი იბადებოდა

ვოლგის ნაპირზე ქარი ცხრებოდა,
სუსხი ქრებოდა,
თოვლი დნებოდა,
წყალზე ყინულის სალტე ტყდებოდა,
მიწას აპრილი ენატრებოდა
და ტყის შრიალი ენატრებოდა.
რა ხნის ნანატრი დილა დგებოდა,
რა ხნის ნაზამთრი მიწა თბებოდა,
ეს რა ბურუსი იფანტებოდა!
ტყეში ენძელა იფოფრებოდა,
მთებში ალვისხე იფოთლებოდა,
თეთრი არყისხე იფოთლებოდა.
ეს რა ნათელი დილა დგებოდა!
მზე ცის ღიმილში იბაღრებოდა.
პატარა სახლში
პატარა ბავშვი —
დიდი ლენინი იბადებოდა.
დიდი სინათლე.
დიდი სიმართლე.
ქვეყნის დიდება იბადებოდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა რუყვა

შორსმჭვრეტელობა

ვით პროექტორი,
ისე მისი სიბრძნის ნათელი,
გრადუსთა ბადეს სამყაროსას
სხივით ანთებდა,
ზუსტად იცოდა
ისტორიის კორდინატები
და ქვეყნის გლობუსს
თვალთა შუქით ატრიალებდა.
იმ ქარიშხალში,
როს წუთებშიც რისხვა ერია,
და ისტორია ბარბაცებდა,
გზას ძლივს იგნებდა,
მან გადაჭრით თქვა:
„ოცდაოთხი ნაადრევია
და ოცდაექვსი გვიან იქნება!“
რა შორს ხედავდა!
გრიგალების სუნთქვა ესმოდა,
რასაც ჩვენ ვხედავთ, —
ადრე ჰქონდა წარმოდგენილი,
როგორც ექიმი ადამიანს,
ისე ეპოქას,
მაჯას სიზუსტით უსინჯავდა
დიდი ლენინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

მთა ელოდა

მთა ელოდა
დიდხანს...
დიდხანს...
მთა ელოდა
ოხვრით,
კვნესით,
მთა ჰკითხავდა ამაყ ხიხანს:
ნუთუ აღარ ჟინჟღლავს კვესი?
სდუმდა ციხე, სდუმდნენ ხენიც,
სდუმდა მიწა,
სდუმდა მამა,
მთას ეკვროდა ნისლი ხვევნით
და მთას ცრემლი აჩნდა მალმალ.
დედას ჩადრი ადგა ჩრდილად,
უჭკნებოდა ბადრი სახე;
კარს უღებდა მუდამ დილას,
არ სტოვებდა ღამე სახლებს,
არ ცხვებოდა ობლის პური,
არ უჭრიდა პირი გუთანს,
არ უხმობდა ხბოებს ფური,
მამას რაღაც სწვავდა გულთან.
დუმდა წყარო,
დუმდა ღელე,
მთა ელოდა,
მთა ელოდა,
მამა ცისკენ შლიდა ხელებს,
ცითაც არვინ მფარველობდა.
სერზე თვლემდნენ არწივები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უხმებოდა ბალახს ფესვი,
მოხნულს რეცხდა ქარ-წვიმები,
კაცს არ ჰქონდა მიწა პეშვი.
მამა სდუმდა, როგორც შხელდა-
ნისლად აწვა მუდამ ფიქრი,
ვარამს ცოლსაც არ უმხელდა.
მატულობდა თმაში ფიფქი.
და უეცრად შეირხა მთა,
კლდეებს ეცა ღელე ყეფით,
შევარდენმა ფრთა დაჰკრა ფრთას,
აბრიალდა ცეცხლად ღველფი.
მოვიდაო, ცამ იქუხა.
აჩურჩულდნენ
ია,
ნეგო.
წიფლის ტევრმა ამცნო მუხას.
ხევს მოსტაცა ხევმა ექო.
მამამ გახსნა კარ-ფანჯარა,
შემოუძღვა შინ ნათელი,
მზე მოადგა გასახარად,
გლეხი კაცის მომნათვლელი.
მამამ ბოლოს ჰპოვა მამა,
კაცი შუქად მოვლენილი.
სითბო იგრძნო ძველმა ხმალმაც.
მზედ ეწვია მთებს ლენინი.
მას უჩადროდ შეხვდა დედა,
მისი მოსვლა იგრძნეს შვლებმაც,
გაქრა მწუხრი,
გაქრა სევდა,
ყველა გულმა ჰპოვა შვება.
მან უბოძა მამას მიწა,
ტყე,
სათიბი,
გზა,
მამული,
მისი მზერა ყველას მისწვდა,
მუხამ ბოლოს სძლია მუმლი!
მამა მისით ხნავდა, მკიდა,
მისით განვლო დღენი მკაცრი.
ის მამასთან დარჩა მკვიდრად,
როგორც დიდი შინაკაცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაღვა შუბლაძე

აპრილი და ლენინი

აპრილის თვეა ბელადის დედა,
დედებს სიმშვიდე არ უწერიათ,
ყოველ აპრილში იმ ძეგლთან ვხედავ,
მზისკენ რომ ხელი გაუშვერია.
ლენინის ძეგლთან მიველ ამ დილით,
ქვის სიდიადე კაცს მაკვირვებდა,
შემოხვეოდა ტანზე აპრილი
და მისგან წასვლას არ აპირებდა.
რად ვერ აშორებს ძეგლს ნეტა თვალებს?
მაგრამ ვთქვი, რაა აქ გასაკვირი,
ვხედავ, ერთი წლით შვილს უსაყვარლესს
ემშვიდობება დედა აპრილი.

* * *

რამდენ სიცოცხლეს ეწერე მიზნად,
ვიდრე შენ გშობეს ხალხთა გულებმა,
როგორც სიცოცხლის ახალი მიჯნა
და მზისკენ მიწის შემობრუნება.
მე იმ დღეს ვლოცავ თვალანანთები,
როდესაც ხალხის ძალამ ტიტანმა,
ხიშტით, ნაჯახით და წალკატებით
მზედ, ოქტომბერი, ამოგიტანა.
მიტომ მოვსულვარ დილაადრიან,
დიდი ლენინის მსურდა ალერსი,
აქ ყველაფერი მისი მადლია,
თვით გახაფხულზე ულამაზესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

დიდი ზამთარი

ობოლი ბიჭებიო? საოცარი კაცია ძია სანდრო. ზოგჯერ ისეთ რამეს გეტყვის, დიდხანს უნდა იფიქრო, რომ გაიგო. გვიან, გვიან მივხვდი, რაცა თქვა მაშინ... ახლა კი... ობოლი ბიჭები ვართო! — გაიფიქრა ზიამ და შეჰყვა ალმართს.

წელამდე თოვლს მიარღვევდა იგი.

ძალიან დაიღალა, მაგრამ არაფერს შეეპუა.

შორს მოიტოვა ზღვა, იანვრის სუსხიანი ტალღებით რომ ეხეთქებოდა ნაპირებს, შორს მოიტოვა პორტის მოფუსფუსე მუშები და მუდამ ჩაფიქრებული, ულიმილო ბებერი მექანიკოსი — ძია სანდრო.

წითნაურს რომ მიაღწია, ზიას ქოშინი აუვარდა. ნასუნთქი ჰაერი ძილისპირულის ბურანივით სახეზე ეფინებოდა.

ღამდებოდა.

ზიას ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სავალი.

თხილამურზე დაიხედა და თასმები შეიმაგრა.

ბექობს რომ ააღწია, მშობლიური სახლის საკვამურში კვამლი დაინახა და გაუხარდა, რომ ფიზიკურად შეუძლო მამა კვლავ ყოჩაღად უვლის ოჯახს.

ოჯახის მამა!

რამდენი ტანჯვა-წვალება გადახდომია საცოდავს.

აუტანელი დამცირებაც...

მაგრამ თვალებში ცეცხლი ჩაიფრქვია და... სამაგიეროს მუქარით რომ შეაძრწუნა მოძულეები, ქართულ თავმოყვარეობას ლამის თავისი სიცოცხლეც შეუწირა...

. . .

მტერ-მოყვრის გამოცნობა არასოდეს გაჭირვებია შუქრის. თავის ერთადერთ შვილს ზიას სულ იმას ეუბნებოდა, სანამ მტერ-მოყვრის გამოცნობა არ შეგიძლია, უსუსური ხარ... გახსოვდეს, ზოგჯერ თეთრ კბილებს შავი გული აძლევსო ელვარებას...

და რა გაუჭირდებოდა შუქრის ეცნო სასურველი სტუმარი.

— მოდიანო...

უთხრეს და ღონე შეემატა.

მეზობლებს ჩამოუარა და შესახვედრად მოემზადა.

წითელარმიელების მოლოდინში ხალხი სოფლის ცენტრში შეგროვილიყო. ამ დროს ლტოლვილები გამოჩნდნენ.

მათ მოლა მოუძღოდათ.

— თქვენ ვის ელოდებით აქ?! — სიძულვილით გადმოსძახა მოლამ და გაზიმზიმებული შავი ზერდიგი ყალყზე შემოატრიალა.

შემდეგ სროლა ასტეხეს ნაძირალებმა და მიიმალნენ.

„სიკვდილის წინ გამწარებით იკბინება მწერი". — გაიფიქრა შუქრიმ და წამოწევა სცადა. მაგრამ იგრძნო, რომ მუხლი აღარ ემორჩილებოდა. წუღა აკსებოდა შედედებული სისხლით.

ცოტაც და ხიშტიანმა ცხენოსნებმა ჩამოიარეს.

ისინი ლაღად მოათამაშებდნენ ცხენებს, მათ ქუდებზე წითელი ვარსკვლავი უციმციმებდათ.

— რა მოხდა აქ? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ასეთი უბრალო თოფებით ვერას გავხდით იმათთან, ვინც ჩვენს წინააღმდეგ სამასი წლის მანძილზე ლესავდნენ მახვილს. — თქვა შუქრიმ და წამოწევა სცადა.

— ნუ გეშინიათ, ამიერიდან ხელს ვეღარ გახლებენ ისინი... — თქვა რუსმა მხედარმა და რაზმს უბრძანა მიყოლოდა. მერე შემოტრიალდა, რუსული ხანჯალი ამოაელვა და შუქრის გაუწოდა:

— აჰა, დაიჭირე, თუ დაგჭირდეს, ძმობას გაგიწევს!

წავიდნენ.

შუქრი ხანჯალს ჯოხივით დაებჯინა და წამოდგა.

წამოდგა!

სიხარულის ძალამ მახვილივით მოპირა მისი სული. არა, მუხლის ტკივილს არ გრძნობდა.

იმ დღიდან რუსი მხედრის ნაჩუქარი ხანჯალი მის ოჯახში იმედად შევიდა. „ლენინის გამოგზავნილმა ბიჭებმა მაჩუქესო", სიამაყით ეუბნებოდა ყველას.

მას შემდეგ ეს სახელი დიდმაც და პატარამაც იცოდა მის სახლში.

. . .

მამის დარიგება კარგად ახსოვდა ზიას და ამიტომ იყო, რომ მტერ-მოყვრის გამოცნობა არასოდეს გასჭირვებია.

ერთხელ, სასაუზმიდან რომ გამოვიდა, სადაც ხშირად ლოთები იკრიბებოდნენ, ძია სანდრომაც ამის მაგვარი რაღაცა უთხრა:

— ეცადე, არავის „ააწონინო" თავი...

მთელი დღის განმავლობაში იფიქრა და ძლივს მიხვდა, თუ რას გულისხმობდა ბებერი მექანიკოსი... მაგრამ ახლაც კარგად არ იცის, რატომ ახსენა ძია სანდრომ ობოლი ბიჭები, ან რას ნიშნავდა ეს.

„ძალიან ღრმა კაცი ხარ, ძია სანდრო, და ჭკუის მასწავლებელი", — გაიფიქრა ზიამ და ჭიშკარს მიადგა.

ძალიან დაღლილი იყო.

კიბეს რომ მიაღწია, დაწნული თხილამურების გახდა სცადა, მაგრამ გათოშილი ხელები ვერ დაიმორჩილა და კარის სახელურს წვდა.

მამის ხმა მოესმა და მიაყურა:

— წლევანდელი ზამთარი მაფიქრებს. დალოცვილი რთველი ზაფხულივით წავიდა. დეკემბერში საფიცრად ფიფქიც არ ჩამოვარდნილა. ისეთი მშრალი ზამთარი იყო, მეზობლის ქორწილში ბიჭებმა ჯირითი გამართეს. ეს იანვარი კი ისე შემოგვაწვა... ნეტა ბიჭი მშვიდობით დაბრუნდებოდეს. პორტში მუშაობას კი არ ვუშლი, მარა... ამ ზამთარში გემზე არ გაგზავნონ, მეშინია. ზღვა დაუნდობელია, მთას არ ჰგავს.

— შენ არასოდეს ასეთი გულდამძიმებული არ ყოფილხარ, კაცო, ზიას დაგვიანებით. ახლა უფრო შემაშინე. — თქვა დედამ.

— არა, ეს ისე... მტირალაზე ნისლის ჩამოწოლა ცუდად მაქვს დაცდილი. დიდი, ძალიან დიდი და დარდიანი ზამთარი გვექნება. — ამოიოხრა მოხუცმა.

— ზამთარს გაზაფხული მოსდევს, ოღონდ სულზე მშვიდობა ქნას ღმერთმა. — თქვა დედამ და გაყუჩდა.

* * *

სკივრთან ლამპა ბჟუტავდა.

სექვზე დახრილი შუქრი ნაჩუქარ ხანჯალს სიყვარულით ფერავდა, საშვილიშვილოდ ინახავდა.

ფეხის ხმა რომ მოესმა, დედა შიშით წამოიჭრა.

ზია ოთახში დაწნული თხილამურებით შემობარბაცდა და თოვლი შემოიყოლა.

ფანჯრებს ელვა მოაწყდა და ძაღლი აყეფდა.

შუქრი მიხვდა, რომ ამ მოულოდნელმა კარის გაღებამ სახლში ცუდი ამბავი შემოიტანა და შუბლშეკრული უძრავად იდგა.

თითქოს ენა მოსჭრესო, ზია ხმას არ იღებდა.

თხილამურები გახადეს და კერიასთან ტყავები ჩაუგეს. — წამოწექიო.

— შვილო, დედა გენაცვალოს, მითხარი, რამ გაგიშავა პირი? — ჰკითხა დედამ და ლეჩაქის პირით უპეები შეიშრო.

— რა დაგემართა, ბიჭო?! — დაიბუხუნა ბერიკაცმა და წარბები კიდევ უფრო შეკრა.

— გარდაიცვალა...

თქვა ზიამ და ჯიბიდან ლენინის სურათი ამოიღო.

ფანჯრებს კვლავ ელვა მოაწყდა და ქუხილმა შესძრა ყველაფერი.

ეს რომ გაიგონა, შუქრის ხანჯალი გაუვარდა ხელიდან.

მახვილი იატაკზე დაესო და ჩრდილი დაეცა.

ქმარს რომ შეხედა, მხოლოდ მაშინ მიხვდა ქალი, რაღაც დიდი უბედურება მომხდარაო.

ძაღლი ისევ ყმუოდა.

ოთახში დუმილი ჩამომძიმდა.

შუქრის გარინდულ სახეზე „დიდი ზამთრის“ საშინელება აღბეჭდილიყო.

ზიამ იატაკზე დარჭობილ ხანჯალს შეხედა.

„ეს მხოლოდ ჩრდილი წაქცა, ხანჯალი არ წაქცეულა“, — გაიფიქრა მან და ქვედა ბაგეს კბილი დაადგა. — ხანჯალი არ წაქცეულა!..

მამასთან პაპიროსის მოწევა მოერიდა და კარებში გავიდა.

შუქრის დაძაბული სახის კუნთები შეუთამაშდა და შეიშმუშნა.

წამოდგა, დაჩეხილი შეშა კერიას მიაყარა და ნაცარში მაშა გამოტარა. ფერფლში მიძინებულმა ცეცხლმა ჟინჟღილები გადმოჰყარა. „არ ჩამქრალა“, — გაუხარდა მოხუცს და გადაწყვიტა არასოდეს ჩაექრო ის, როგორც გულში ჩაბუდებული დგარი ნათელი დიდი სიყვარულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მღვრიე ალიონი გაარღვია და ბობოქარ ტალღებს შეეჭიდა ქათქათა გემი „ლენინი“, რომელსაც ნავთობი მიჰქონდა მორიგი რეისით.

ზიამ სპეცტანსაცმელი გაიხადა და გემბანზე გავიდა. მას ეამაყებოდა, რომ მთავარი რეისისათვის დანიშნულ გემზე გამყოლ მუშად გაგზავნეს პარტკომის დავალებით.

გემს თოლიების გუნდმა გადაუარა და თვალებს მიეფარა.

ზიამ მათ თვალი გააყოლა და რატომღაც ჟრჟოლა იგრძნო.

უკიდეგანო სივრცის მრისხანე ტალღებს გემი „ლენინი“ მიარღვევდა.

ტალღების გაბმული ღრიალი და დაუნდობლობა.

სავალი დიდი, ძალიან დიდი, გმირული...

ისევ მიმოიხედა ირგვლივ. მხოლოდ სივრცე გაშლილი და უნაპირო. გრიგალთან შეხლილი გემის შეუპოვრობა... და ზიამ გაიფიქრა: წინსვლა და ბრძოლა ცხოვრებაა, ცხოვრება — გზაა. გზა კი ჩვენთვის ერთია და პირდაპირი!..

და თითქოს გაუშინაურდაო სტიქია. ჟრჟოლა აღარ უვლიდა. ერთი კია, შეცივდა, კიბეზე დაეშვა კაიუტაში ჩასასვლელად. გასასვლელთან მექანიკოსი შეხვდა — „გემის მამა“, გემზე დაბერებული ძია სანდრო.

— თავს მოუარე, არ გაცივდე, თორემ... ხომ იცი, ჩვენ ერთი ობოლი ბიჭები ვართ.

თითქოს ეს ბოლო სიტყვები ჩაყლაპაო, ძლივს გასაგონად უთხრა ძია სანდრომ და გასცილდა.

„ობოლი ბიჭები“, — გაიმეორა ზიამ და გვიან, გვიან მიხვდა, რომ ლენინის გარდაცვალების შემდეგ ოქტომბრის შვილებს ობოლ ბიჭებს ეძახდა ის.

* * *

ბინდი გაირეცხა და ჰორიზონტზე დაშვებული ნისლი ტალღებში ჩადნა.

ჰაერში გაზაფხულის სითბო დატრიალდა — აპრილის სითბო...

„ლენინის“ გზას შესდგომოდნენ მოძმე ქათქათა გემები!..

ზია შემოტრიალდა, ბებერ მექანიკოსს მხრებში წვდა, მეზღვაურის მხნეობით შეარხია და უთხრა:

— არა, ძია სანდრო, არა ვართ ობოლი ბიჭები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ართიღაყვა

ლენინის ძეგლი ბათუმში

დგას გრანიტოვან პიედესტალზე
კაცი მართლაც და დასაფიცარი,
დგას ცოცხალივით და იმედს გვაძლევს.
შორს მიუპყრია თვალთა ისარი.
მისი სახელით სიკვდილსაც დავძლევთ.
ჩვენ მომავალიც მასში ვიცანით.
დგას ფოლადივით უდრეკი, მტკიცე
და არწივივით გასცქერის სივრცეს!
თითქოს მზად არის გაცოცხლდეს ისევ
და ეს სიცოცხლე ისევ ხალხს მისცეს.
უკვდავებაა სახელი მისი,
სიკვდილს წამითაც არ გაიკარებს.
ასე მგონია გადადგამს ნაბიჯს
და კომუნიზმის შეაღებს კარებს.
მან ჩვენ დაგვითმო სიცოცხლე მთელი,
გაგვასალკლდევა მისმა პარტიამ.
ლენინის მაღლა გაწვდილი ხელი —
ეს კომუნიზმის მისამართია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანაჯიძაძე

ყველაზე ძვირფასი

მზეგადახრილზე ქალს ხველამ უმატა.

ქვევით ხეობაში ბილიკი გადიოდა.

— წავიდეთ, — შეეხვეწა ბიჭი.

— ცოტა კიდევ დაველოდოთ და წავიდეთ. — თქვა დედამ.

მაგრამ ქვევით, ხეობაში არავინ ჩანდა. ქარი ქროდა. დედას ცრემლი და ხველა ახრჩობდა.

— მამა აღარ მოვა, — თქვა ბიჭმა.

— მოვა, უსათუოდ მოვა. — თქვა დედამ. მაგრამ განთიადზე ველარ წამოსწია წელი, ძალა წაერთო და თვალებში გაუკრთა შუქი. — მოვა, უსათუოდ მოვა. — ჩურჩულებდა თავისთვის.

მაგრამ მამა მეორე გაზაფხულზე დაბრუნდა მხოლოდ. ღობეზე ვენახივით გადაწოლილი ფშალა დამძიმებულიყო და ხმელი სარები ალაგ-ალაგ დაეტეხა კიდეც. ოდას ლამფები ჰქონდა გამოსაცვლელი. ყავარი ჩამუქებულიყო და ბზარი გასჩენოდა. საცალფეხო ბილიკზე, ირიბად რომ გასდევდა გორაკს, ჯერ კიდევ თოვლი იდო. იყო მოცვისა და იელების შეკვირტების დრო, ლურჯთვალა ივბსაც ვერ აუვლიდი გვერდს. მაგრამ მამას ერთხელაც არ გაუხედავს მათკენ. ჩაფიქრებული იდგა. სიჩუმე იწვა ირგვლივ.

მამა ორი წელი არ იყო შინ. მკერდი გაეღეღა, უზარმაზარი ფუთა, წვრილი ღვედებით რომ გადაეჭიმა, მიწაზე დაეგდო. პატარა იუსუფს კი არც ახსოვს როგორ გაჩნდა სხვენზე. იქნებ უცნობი მამაკაცის დიდრონმა და წყლიანმა თვალებმა შეაშინა? არა. დედას ჯამი გაუვარდა ხელიდან. მაშინ იუსუფი კიბეზე აპირებდა ასვლას. ზევით, სხვენზე ხმელი წაბლი ეყარა. გოდორი კაკლით იყო სავსე. იქით კიდევ, კუთხეში, თუნუქის მაღალყელიანი სურა რომ იდგა, ბეთმეზი ეგულებოდა... ჰოდა, დედას ხელიდან გაუვარდა ჯამი. ჯამის ერთი ნამსხვრევი ცეცხლში ჩავარდა. დედამ შეჰყვირა, პატარა იუსუფი კი სხვენზე აიჭრა.

— ეჰ, შენ, —გაიღიმა დედამ, — ასე უნდა მამის დახვედრა?

მაგრამ იუსუფი კიდევ უფრო მიეკრა კედელს, გაილუსა, ცრემლიც მოე-

ძალა. წინათ, სანამ მამა შორს იყო, დედა დაისვამდა მუხლებზე და თვალებში ჩახედავდა. — აი, ჩამოვა მამაშენი, ვეტყვი, რომ თვითონ იცვამ სკალტრ ახალუხს, ძროხის მოსადენადაც დადიხარ, თევზაობაც იცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ახლა? ხომ შეიძლება მამა გაბრაზდეს და წავიდეს სხვაგან.

მამა არსად არ აპირებდა წასვლას. იჯდა სუფრასთან. იჯდა გახარებული. იუსუფი მის ფეხებს ხედავდა. ტალახში რომ ამოსვროდა. „შორიდან მოსულა", გაიფიქრა ბიჭმა.

იმ ღამეს წვიმად ჩამოიღვარა ცა.

წვიმამ დაადნო თოვლი და რუ გადარია.

სახლის კედლები საშინლად ირყეოდნენ.

ქარმა რამდენიმე ყავარი ააძრო სახურავს და რუხი წვეთები მოუსვენრად არაკუნდნენ ფიცარნაგზე. უკანა ოთახში ქალებს დიდი ცეცხლი დაენთოთ. ცხვებოდა ბაქლავა, ქადაპური, ირჩეოდა საგოზინაყე კაკალი.

მამა ორი წელი არ ყოფილა შინ. ცეცხლთან იჯდა და სწევდა ყალიონს.

მამამ თქვა, რომ იქ დიდი ზღვაა და ზღვაზე თეთრი სახლები დაცურავენ... რომ იქ, ნავსადგურში, ათასი ჯურის ხალხი მუშაობს და ყველანი ერთმანეთის ძმებია.

წვიმა ისევ მოწყვეტით ეხათქუნებოდა კედელს. ქალებს ნაცრიანი კვერი გამოეცხოთ. ყველი მოეძებნათ დერგში, ხოლო როცა ელვა გაჰკრავდა, ერთაც შექუჩდებოდნენ, შემკრთალნი აყურადებდნენ მოგუგუნე სივრცეს და ჩურჩულებდნენ.

დილაბნელზე იუსუფი ჩაქუჩის ხმაურმა გააღვიძა.

მამას ზურგჩანთიდან სათუთად გახვეული სურათი ამოეღო და კედელზე ამაგრებდა. იუსუფმა თვალები ჭყიტა, საბანი გადაიძრო, წამოიწია.

— ეს ლენინია, — თქვა მამამ.

— ლენინი? — ვერ გაიგო დედამ.

— ჰო, ლენინი.

მაშინ მეორე სოფლიდანაც მოდიოდნენ მათთან. ისინი დიდხანს ჩერდებოდნენ ლენინის სურათთან, ჩაფიქრებულნი სწევდნენ ყალიონს. ჭმუჭნიდნენ ყაბალახებს.

— ეს ლენინია, — ამბობდა მამა. — მას სიკეთე მოაქვს. — და ყვებოდა მეათედ, ყვებოდა მეასედ, თუ როგორ ჩავიდა ქალაქში და როგორ გაეცნო ნავსადგურის მუშებს.

— ამ კაცს არ შეუძლია სიკეთე მოგვიტანოს. — თქვა ალი ხოჯამ. იგი აქამდე უბრად იჯდა კუთხეში. მისთვის, როგორც საპატიო სტუმრისათვის, ხმელი ხილით სავსე ხონჩა მიერთმიათ, მაგრამ ხოჯას არც შარბათიანი სურისათვის უხლია ხელი. როცა მოუხედეს, კიდევ უფრო აიბუზა და გაიბერა: — მე ჩემი მითქვამს, — თქვა მშვიდად, — გიაურს აბა რა სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენთვის?

მამა ისევ გაყუჩებული ზის, თუთუნს აბოლებს. ცეცხლის მკრთალ შუქზე ჩანს, როგორ უკრთის ჩაქურაში გამოკვალთული მკერდი.

— მართალს ვამბობ?! — ხმას უმაღლებს ხოჯა.

— ყველა ადამიანი ერთია. — თქვა მამამ.

— მე ჩემი მითქვამს. გიაურის ხსენებაც კი უბედურებაა მუსლიმანისათვის.

ამის შემდეგ ხოჯას დიდხანს აღარ შეუცდია. დაღლილობა მოიმიზეზა.

როცა ფრთხილი ნაბიჯების ხმა მიწყდა, მამა მობრუნდა და გაიცინა. იმ წუთს იგი ძალიან კარგი შესახედავი იყო. საცრისოდენა თვალებში თბილი შუქი ჩაუდგა, შუბლიც მოუსინათლდა. იუსუფზე ბედნიერი კი არავინ იყო, მამის გვერდით გატრუნული უდარდელად მიირთმევდა სურნელოვან კამფეტებს.

ყველაზე ბოლოს მოხუცი ყადირი წამოდგა. იგი სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. ცხოვრობდა მარტოდ, დარდების ამარა. არავინ იცოდა რამდენი წლისა იყო.

მან მხრები შემართა, კედლისაკენ გააპარა მზერა.

— ამ კაცის თვალები სულში გიძვრებიან თითქოს, — თქვა ჩუმად ბერიკაცმა, — მარცხნივ გავიხედე, იქეთაც გამომაყოლა თვალი, მარჯვნივ დავჯექი, იქაც მაწვდინა მზერა. ტალ-კვესს გავკარი, არ იქნა და არ მოეკიდა აბედს. იქნებ მიტომაც თქვა ხოჯამ, გიაურს არ შეუძლია სიკეთე მოგვიტანოსო?

— ამ კაცს სიმართლე და თანასწორობა უნდა, — თქვა მამამ, — მას უნდა ჩვენისთანებისთვისაც გაანათოს მზემ, ფუხარობიდან ამოგვიყვანოს...

მამა ისევ ილიმება და საცრისოდენა თვალებში ათასი ციცინათელა ჩაფრენია. „რახან მამა ამბობს, ასე ყოფილა“, — ფიქრობს იუსუფი. მერე როცა ბუხარში ცეცხლი მინავლდა და ნაკვერჩხლების ტკაცანი მიწყდა, ახლოს მიჩოჩდა, მამას მკერდზე მიადო თავი.

— მამა, ა, მამა, მდინარესაც გადასცურავს?

— ვინ, ბაბა?

— აი, ის, კედელზე რომ არის.

— მას ყველაფერი შეუძლია.

— ირემსაც დაეწევა?

— კი.

— სახლს ასწევს?

— ასწევს.

— მაშ, დევკაცი ყოფილა.

— დევკაცია.

სიჩუმეა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმის ხველება.

„დედა წუხს“, ფიქრობს იუსუფი. ქარი ქრის და სახლი ირწევა. სადღაც თაგვი დაფაჩუნობს, კაკალი უნახავს და ღრღნის. იუსუფს კი არ ეძინება. მაგრამ გონების თვალით ხედავს: პატარა, ხშირი წვერით დაფარული ნიკაპი, მაღალი შუბლი და ოდნავ, სულ ოდნავ მიჭუტული თვალები... ეს იყო და ეს. მას შემდეგ იუსუფის ცხოვრებაში ლენინი შევიდა, როგორც ყველაზე კარგი და ძვირფასი მეგობარი, როგორც ყველაზე მახლობელი, როგორც მათი ოჯახის წევრი.

* * *

იმ წელს ადრე გადამწვანდა ფერდობი. ურცი და ონიჭო ფეხებში ებლანდებოდა გამვლელს. იმოდენა გაზრდილიყო, სოფელს ოთხივე მხრიდან ტყე აკრავდა. იუსუფს უყვარდა დაბურული ტყის ცქერა, წამოწვებოდა გულაღმა, თავქვეშ ამოიდებდა ხელებს და ოცნებობდა. ტბის მონახულებაც ძლიერ უყვარდა იუსუფს. ტბა მათი სახლიდან ორ ვერსზეა, ხანდახან, როცა ქარი დაჰქროლებს, ტბა შეირხევა და იუსუფის ფეხებთან ჩუმი შრიალით მიმოაბნევს ტალღებს. მერე საშუადღეოზე ასული მზე ცნობისმოყვარეულ ჩაიხედავს მის მუქ სიღრმეში და ცხოველი სხივებისაგან კენჭები იწყებენ ციმციმს. განსაკუთრებით

ტბა მიმწუხრზეა მიმზიდველი. მაშინ სიჩუმე ზეწარივით ეფინება ტალღებს, ნა-
დამო მოჯადოებული ელის რაღაცას, და აი, უცებ, თითქოს კლდეებს აღმოხდა-
თო, იწყება ჩუმი მუსიკა. იგი ნელა, სულ ნელა მისცურავს ზევით — მეკოლეტეს
ეარსკვლავებისაკენ და იქ იკარგება.

ყმაწვილს კი არაფერი ადარდებს ქვეყნად. აბა რა მისი საქმეა, რა ხდება ქალაქში? აბა, რა მისი საქმეა, რომ თურქებმა ისევ დაიხიეს უკან? ამბობენ, ჭოროხი ადიდებულა და ნათესები წაულეკავსო, აჰაი, მერე იუსუფს რა? (იუსუფს დედა ჰყავს ავად. ყადირა ამბობს ზაფხულამდე ვერ გააწევსო).

ყმაწვილს არ ესმის რას ნიშნავს ეს. მაგრამ ხვდება — რაღაც უბედურება მოელის. ხანდახან, როცა თქორი დაეკიდება მთაში, დედა დაემხობა, პირისახეს სასთუმალში ჩამალავს და ახველებს, ახველებს დიდხანს, გაბმულად. მერე უცებ მიყუჩდება, თრთის. იუსუფმა იცის, რომ ასე თრთის იელის ბუჩქი ქარის მოვარ-დნისას. მამის დაბრუნების შემდეგ დედამ მოიკეთა თითქოს, მაგრამ ჩაუყვითლ-და და დაუნაოჭდა სახე, ჩამოხმა.

იუსუფი ბილიკს მიჰყვება და დედაზე ფიქრობს. კარგა მსხვილი ჯოხი ხმა-ლივით მოუმარჯვებია და უზაპუნებს შქერის ბუჩქებს. ხან წინ გაუსწრებს, ხან უკან აედევნება ლანდი.

ეზოში სიჩუმეა. „დედა ისევ სასთუმალზე წევს". — ფიქრობს იუსუფი და კიბეზე არბის. დედაც წევს ჩუმად, სულ ჩუმად. თვალები ჭერისათვის მიუპყრია და წევს ჩუმად... იუსუფს უკვირს, რატომ აღარ თრთის იგი, ხელებიც ცივი აქვს, უგრძნობელი.

მობრუნდა, სახეზე შეხედა და გაშეშდა.

— ნენე! ნენე!

ბავშვის კივილი ტყვიასავით გავარდა შუადღის მყუდროებაში და სადღაც, მდინარისპირა ხეობაში დაიკარგა.

ასიოდე ნაბიჯზე ტყეს ჩეხდნენ სოფლელები.

სოფლელებმა მიატოვეს სამუშაო და ეზოს მოაწყდნენ.

დედა აღარ სუნთქავდა.

* * *

ხოჯამ თანდათან დაუბოხა ხმას:

— ეგ სურათი ჯადოა. ამ სურათმა უბედურება შემოიტანა სოფელში.

მამა წინ წამოდგა. იგი კიდევ უფრო მოიხარა და გაუქვავდა სახე. წვერი მოეშვა, რუხი ყაბალახით წაეკრა თავი და იდგა მოშვებული, დაღლილი, ხოჯა კი ამბობდა, რომ ამ სურათმა დაიობლა პატარა იუსუფი. ცოტა დროც და სოფელში აღარავინ დარჩება ცოცხალი, თუ თავიდან არ მოიცილებენ ამ ჯა-დოს. — დაიწვას, — ამბობს ხოჯა, — დაიწვას!

მაგრამ მამამ კარგად იცის ვინაა სოფლის მტერი. მამამ იცის, რომ კლდის-პირა სასახლეში ღამღამობით ამაოდ არ იყრიან თავს საეჭვო პირები.

— სწორედ სჯის ეფენდი, — თქვა ვიღაცამ.

სოფლის თავკაცებმა გადაიჩურჩულეს.

მამა შებრუნდა და გაოცება გამოეხატა სახეზე.

— ეს შენა თქვი, თუ მომეყურა, ქამილავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხმელას მიყრდნობილი ბერიკაცი შეიშმუშნა.

— რა ბოროტება უნდა გვიზღოს უბრალო სურათმა?

მამამ კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ყრუდ ჩაახველა.

ბინდდებოდა.

ტყის განაპირას შევარდენი შეფრთხიალდა, წრე მოხაზა და დათოვლილი მთებისაკენ აიღო გეზი.

მთვარის ვახშმობისას ვიღაც მოადგა ღობეს. ყადირას მოგზავნილი იყო. იუსუფმა ოდის სარკმელში გადაყო თავი. პატარა ბიჭი დაინახა. სიბნელეში ვერ გაარჩია სახე, დაიყვირა:

— ეჰეი, რომელი ხარ?

— მამაშენს დაუძახე, — თქვა ღობეს გადმოყუდებულმა. ერბინა და უჭირდა სუნთქვა.

— ისინი თქვენი სახლის გადაწვას აპირებენ, ძიავ, — თქვა უცნობმა. — ხოჯასთან ვიღაც თოფიანი კაცები მოსულან ქვევიდან. უჰ, როგორ იგინებოდნენ. ისინი ხევს გაღმა იქნებიან უკვე, მოკლეზე გადმოვედი... ყველაფერს გადაწვავენ, მოხუცმა ყადირამ თქვა, თავს უშველონო... უჰ, ძიავ... ისინი ხევს გაღმა იქნებიან უკვე...

როცა უცნობი მიიმალა, მამამ თოფი ჩამოიღო, სურათი ჩანთაში ჩადო და ტყვიის ფალასკებთან ერთად ზურგზე გადაიკიდა.

ბავშვი ათრთოლდა, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს.

იყო წყნარი ღამე, ვარსკვლავიანი ღამე.

მამამ მაგრად ჩაჰკიდა იუსუფს ხელი და ტყე-ტყე დაუყვნენ ბილიკს. ერთ-ხანს იუსუფს უცნაური ჩრდილები აშინებდა, მერე შეეჩვია. მაგრამ მამას დიდი ნაბიჯი ჰქონდა, და დაიღალა ბავშვი. გული ამოვარდნას ლამობდა.

სარუხოს მთასთან შედგნენ, მიაყურეს სივრცეს. ჩქამიც არ ისმოდა.

მამა დაიხარა, მკერდზე აიტაცა პირმშო და სირბილით დაუყვა ფერდობს. იუსუფი ეკლიანი ბარდების შეხებას გრძნობდა, მაგრამ ითმენდა. მაინც რა ღონიერია მამა? რა მჩატედ მიჰყავს.

— მამა, რატომ მოკვდა ნენე? — იკითხა.

„ისევ დედაზე ფიქრობს“ — გაუელვა მამაკაცს, შუბლზე ეამბორა.

ცრემლებმა დაულბო სახე.

შებრუნდა.

კიდევ უფრო მოუმატა ნაბიჯს.

იუსუფს უკვე გადააავიწყდა რამდენხანს იარეს.

ახსოვს, რომელიღაც ხესთან შეისვენეს და ცისკარს დაელოდნენ.

ცისკარზე ტყის მყუდროება ომახიანმა ხმამ დაარღვია. მამამ თვალი მოიფშვნიტა, თავისკენ მოზიდა თოფი.

ტყე გუგუნებდა.

მამამ მიაყურა. ეს იყო ნაცნობი სიმღერა, უბრალო, რუსული სიმღერა, რომელიც იქ, პორტში, გაფიცვისას ასწავლეს მუშებმა. ქარი არ ქროდა. იდგა გაზაფხულის კარგი დღე და მამა მიხვდა, რომ ეს უბრალო, რუსული სიმღერა ხე-

ობიდან ისმოდა. ხეობიდან ცხენების ფლოქვებისა და ჭიხვინის ხმაც ისმოდა.

— ეს ჩვენები მოდიან, შვილო, — თქვა მამამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩვენები?

— ჰო, ლენინი... ლენინის ხალხი მოდის, შვილო.

ის ღამეც ხეობაში გასტეხეს. ელვამ გაჰკრა და წამოუშინა თქეში. წითელარმიელებმა კარვები დასცეს, გადაიყუდრეს. კარავში ცივი ქარი შემოიჭრა. ბავშვმა გვერდი მოინაცვლა.

— მეშინია.

— იყუჩე, ეს ცივი ქარი ქრის, — თქვა მამამ, — ნაბადი მოიხურე და დაგეძინება.

— მოსწრებული ვაჟკაცი გყოლია, — თქვა მწითურმა ჯარისკაცმა, რომელიც შამხანას წმენდდა.

— კი, ადრე მომესწრო, მაგრამ ადრეც დამიობლდა.

— ოო, — თქვა ჯარისკაცმა.

იუსუფი ერთხანს კარავში მოქუჩულ ხალხს ათვალიერებდა. გაოცებით უყურებდა ძაბრიან ქუდებზე ანთებულ ვარსკვლავებს, მერე მამის მკერდზე მიდო თავი. მამას საოცრად თბილი მკერდი ჰქონდა, ფართო მკერდი. ბიჭი გაიტრუნა და კარგა ხნის შემდეგ კარავი მისმა მშვიდმა ფშვინვამ აავსო. ესიზმრა, თითქოს ლენინმა აიყვანა ხელში, იგი მამასავით ღონიერი და მხიარული იყო, მერე ჩამოსვა და ისინი წავიდნენ შორს, ძალიან შორს, ისარივით სწორი გზით და ლენინს ისეთივე ალერსიანი და მოღიმარი თვალები ჰქონდა, როგორც მამის მოტანილ სურათში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ რამიშვილი

ლ ე ნ ი ნ!

მე არ ვატარებ შენს სურათს მკერდით,
რადგანაც გულში ხარ ჩანერგილი.
შენ გარიჟრაჟზე სიცოცხლეს წერდი,
ხალხთა ბრძოლების დიდი დევგმირი.

შენი აზრები ჯავშნად გვარტყია.
კაცო აწვდილო ცამდე მთებურად,
შენი ცხოვრება განთიადია, —
ვინც სიმართლისთვის დაბადებულა.

ლენინ! ეს სიტყვა დროშად მიგვიძღვის,
სიტყვა შუქურა, სიტყვა მართალი:
ლენინი არის სათავე სიბრძნის,
გამარჯვებათა მთავარსარდალი.

საუკუნეთა ტყდება მახვილი
და ადგილს ახალ გრიგალებს უთმობს,
რაც რომ დრო გადის, შენი სახელი
ჩირაღდანივით ბრწყინდება უფრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოფია ქათამაძე
ხალხური მთქმელი

ლენინის ხსოვნას

მახსოვს, დაჰქროლა ნიავმა
და მოიტანა ამბავი;
მზემ აიკრიფა სხივები,
დაგვხურა ღრუბლის საბანი,
გარდაიცვალა ლენინი,
ცრემლით მოირწყო მთა-ბარი.
მდინარემ დენა შეწყვიტა,
შეწყდა კლდეებში ზანზარი,
ბუნებაც მიხვდა — აღარ გვყავს
ოქტომბრის მთავარსარდალი.
მაგრამ, ლენინო, შენი ხმა,
შენი ძლიერი სახელი
მუდამ იქნება მონათა
მძიმე ბორკილის ამხსნელი.
შენი სახელი და შენი
გამოჭედილი პარტია
ხალხებს წაიყვანს იქითკენ,
სადაც სიცოცხლე ანთია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ფედინი

ნახატი ლენინის სახიდან

1.

ზაფხულის შუა დღე იყო. ახალგაზრდა მხატვარ სერგეი შუმილინს გაზეთიდან ტელეფონით დაურეკეს, რედაქციაში შემოიარეთ, ერთ საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთო. მხატვარმა მუშაობას თავი დაანება, ხელი დაიბანა, გიმნასტურის ჯიბეში ფანქრები და ბლოკნოტი ჩაიდო და ქუჩაში გავიდა. მაღაზიების ფანჯრებში წითელ ჩარჩოებში ჩასმული ლენინის სურათები გამოეფინათ. ყველგან მოჩანდა წარწერები: „გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“

სერგეი შეჰყურებდა ფანჯრებს და ფიქრობდა, რომ ფოტოსურათები, ალბათ, ზედმიწევნით უნაკლოდ გადმოსცემენ ლენინის სახის ნაკვთებს. მაგრამ მხატვარი შეძლებდა მეტის დანახვას და უფრო დახვეწილად ასახავდა მისი სახის თავისებურებას, მოძრაობის სიმკვირცხლეს და ინტრა. კარგი იქნებოდაო ოდესმე ლენინის დახატვა ნატურიდან.

რედაქციაში სერგეის უთხრეს:

— აი რა გვინდა დაგავალოთ. კომინტერნის კონგრესზე ჩამოდიან უცხოელი დელეგატები. გაემგზავრეთ შრომის სასახლეში. იქ ისინი დღეს შეიკრიბებიან. ჩაიხატეთ რომელიმე დელეგატი. თანახმა ხართ?

— კარგი.

— ხვალ კი მოგცემთ საშვებს კონგრესის გახსნაზე დასასწრებად. შეგიძლიათ დახატოთ რომელიც გინდათ დელეგატი და, თუ ნახავთ, ლენინიც...

— ლენინი? — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა შუმილინმა და გაეღიმა წელანდელ განაფიქრზე. რა უცნაურად უსრულებს ბედი ნატვრას.

— დიახ, თუ საშუალება გექნეთ, დაგვიხატეთ ლენინი.

— კარგი, — გაიმეორა სერგეიმ.

გახარებული წავიდა ტრამვაით შრომის სასახლეში და როგორც კი ვაგონის ღია ფანჯრებიდან სადმე ლენინის სურათს შეამჩნევდა, ისევ უკვირდა ნატვრის საოცარი ასრულება და ნათლად წარმოიდგინა როგორი მსუბუქი, ძალდაუტანებელი და ცოცხალი იქნება მისი ნახატი ლენინის სახიდან.

მან მოიფიქრა რომელი ალბომი წაიღოს, როგორი ფანქრები დასჭირდებოდა და ჩანახატის მიხედვით როგორ დახატავს დიდ პორტრეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

სასახლეში, სადაც მხატვარი გამოცხადდა, ხმაური იყო. კიბეებზე დერეფნებში ხვდებოდნენ უცხოელები, რომლებსაც რუსები შემოხვეოდნენ და ლაპარაკობდნენ საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაზე.

პოლონეთთან ომი მიმდინარეობდა. პოლონელები დამარცხდნენ. წითელი არმია ერეკებოდა პოლონეთის უკუქცეულ ჯარებს. ყირიმში ბარონ ვრანგელის თეთრგვარდიელებსაც აღსასრული უახლოვდებოდათ. მაგრამ მშვიდობა ჯერ კიდევ შორს იყო. მტრის ბლოკადა ასუსტებდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას, და ძნელი იყო ჩრდილოეთიდან პეტროგრადში შემოღწევა. უცხოელი სტუმრები მოდიოდნენ კონგრესზე ზღვით — სკანდინავიის შემოვლით. გზაში ბევრი ხიფათი ხვდებოდათ. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ნახვის სურვილი აიძულებდა მათ გადაელახათ უძნელესი დაბრკოლებანი და ხალხი მოდიოდა დედამიწის ყველ-კუთხიდან.

სერგეის გააცნეს ერთი გერმანელი. ეს იყო პატარა კუზიანი. მას მედიდური გამომეტყველება და დინჯი მიმოხვრა ჰქონდა. წარმოშობით ბრაუნშვაიგელი იყო, პროფესიით თერძი. გერმანიის რევოლუციის დროს იგი ბრაუნშვაიგში სამ დღეს მეთაურობდა „დამოუკიდებელ" რესპუბლიკას, რომელიც ვერაგულად გაანადგურეს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა.

თუმცა იგი დაუყოვნებლივ დასთანხმდა დაეხატათ მისი სურათი, იძლეოდა შეკითხვებს და დაწვრილებით სურდა შეეტყო ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლებაზე. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ გააუქმეს ყოველგვარი ვაჭრობა და შემოიღეს საქონლის განაწილება.

ისინი ივანზე იდგნენ და გაჰყურებდნენ პირქუშ მოედანს, რომელსაც ჯერ კიდევ აჩნდა გენერალ იუდენიჩის ჯარებისაგან პეტროგრადის გმირული დაცვის კვალი: ქვაფენილზე მოჩანდა სახელდახელოდ ამოვსებული სანგრები, ბულვარში — მიწაყრილები, მორები, ქვიშით გატენილი ტომრები.

სერგეიმ თქვა: — თავს დაგვესხა მტრის მთელი ხროვა, ერთი საფიქრალი გვაქვს — დავამარცხოთ ისინი.

— მესმის, მესმის, — ქედმაღლურად ამბობდა ბრაუნშვაიგელი და თანაბრად იქნევდა მხრებში ღრმად ჩამჯდარ თავს.—მაგრამ ვერ გამიგია რა აზრი აქვს საწვრილმანო დუქნების დაკეტვას?

— მედუქნეები ჩვენს მტრებს ემხრობიან.

— მესმის, მესმის, მაგრამ იქნებ ღილი ამწყდა, სად ვიყიდო?

ამგვარ მსჯელობას ბოლო არ უჩანდა, სერგეის უცებ მოსწყინდა და იგრძნო, რომ ამ კაცს ვერ დახატავდა.

— იცით რა, შევეცდები თქვენი პორტრეტი ხვალ კონგრესზე დავხატო, — უთხრა მან.

გერმანელი მედიდურად დათანხმდა და მხატვარი სწრაფად დაემშვიდობა.

3.

მეორე დღეს სერგეიმ ჯიბეში ბილეთი ჩაიდო და კონგრესის გახსნაზე გაეშურა. მაგრამ როცა მივიდა, ურიცკის სასახლის დარბაზი სავსე დახვდა და ქანდარებზე უკვე თავების ცოცხალი ზოლი ირხეოდა, იდგა საშინელი გუგული და გაზეთების შრიალი. საშინლად ცხელოდა. იხდიდნენ პიჯაკებს, აფრიალებდნენ ცხვირსახოცებსა და გაზეთებს.

სერგეიმ იპოვა ადგილი ჟურნალისტების ლოჟაში, ტრიბუნის პირდაპირ. აქედან კარგად მოჩანდა პრეზიდიუმის სკამები. გახსნა ალბომი და ხახატავად ნოემზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ქანდარები ახმაურდა და ტაშის გამაყრუებელი გრიალი გაჩაღდა. ყველანი დაცურდა. სერგეი მთელ დარბაზთან ერთად წამოდგა და პრეზიდიუმის ადგილებს დაუწყო თვალიერება. მაგრამ იქ არავინ ჩანდა. გადახედა დარბაზს და უცებ ალბომი ხელიდან გაუვარდა. მან ტაში შემოჰკრა.

პირდაპირ მისკენ შუა დარბაზში სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებს მოუძღოდა ლენინი. იგი ჩქარობდა, თავი დაეხარა, თითქოს ჰაერის გაკვეთას და მიმალვას ლამობდა, რომ ამით ტაშის გრიალი შეეწყვიტა. იგი ავიდა პრეზიდიუმში და, ვიდრე ოვაცია გრძელდებოდა, არ გამოჩენილა.

როგორც კი იგი გამოჩნდა, ღარბაზის ყველა კარი გაიღო და ქანდარებსა და ამფითეატრში შემოიტანეს წითელი მიხაკით სავსე უზარმაზარი კალათები. ყვავილები ხელებში ფარფატებდნენ და სკამების გრძელი რიგები მშვენივრად ეხამებოდა დროშების წითელ კალთებსა და დეკორაციებს. შუმილინმა დარბაზს თვალი გადაავლო და იქვე ახლოს შენიშნა ორი ხანდაზმული მხატვარი. ისინი სულ ცოტა ხნის წინათ მისი მასწავლებლები იყვნენ. ისინი უკვე ისხდნენ თავიანთ ადგილებზე, სერგეი კი ისევ იდგა. ბოლოს გონს მოვიდა, აიღო ძირს ღავარდნილი ალბომი და ფანქარი მოიმარჯვა.

მოულოდნელად, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, ისევ დაინახა ლენინი. იგი ჩქარი ნაბიჯით ადიოდა ზევით ამფითეატრის სკამებს შუა. უცებ ვერ შეამჩნიეს, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრეს, ატყდა ტაში და ხალხით გაიჭედა ასასვლელი, რომელზეც იგი თითქმის არბოდა.

ლენინი მიუახლოვდა ერთ კაცს და მხიარული ღიმილით გაუწოდა ხელი. ისიც როგორღაც გლეხის თავშეკავებული მანერით აუჩქარებლად მიეგება და თავდაჭერილად, ალერსიანად გაუღიმა. ისინი საუბრობდნენ და სულ უფრო ხშირად იხრებოდნენ ერთმანეთისაკენ, რადგან ტაში ძლიერდებოდა და ხალხი მათ მჭიდროთ ეკვროდა.

— ეს მიხა ცხაკაიაა, — მოესმა სერგეის, — ქართველი კომუნისტი. იგი ლენინთან ერთად ცხოვრობდა შვეიცარიაში.

ხალხის რკალი მათ გარშემო თანდათან ვიწროვდებოდა, ლენინმა ამხანაგს ხელი ჩამოართვა, თითქმის გააპო ჯიუტი ბრბო და ტაშის გრიალითა და ოროტრიალით აშკარად შეწუხებული ქვემოთ დაეშვა.

სერგეი თვალს ადევნებდა მის ყოველ ნაბიჯს. ეგონა, რომ ამ დაბალი ტანის, მსუბუქი მიხვრა-მოხვრის ადამიანის მოძრაობაში შეამჩნია რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურებანი და უკვე ხედავდა თავის ალბომში ჩახატულ კალმის წვერით დაჭერილ ამ თავისებურებებს.

ლენინი პრეზიდიუმის ადგილზე მისვლისთანავე ერთი წუთით გაქრა, შემდეგ ისევ გამოჩნდა. სერგეიმ დაინახა, როგორ ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და გასასვლელის საფეხურზე ჩამოჯდა.

ეს მოხდა სწრაფად, უნებლიეთ, უბრალოდ და ამაზე კარგ პოზას ვერც ინატრებდა, ვერ წარმოიდგენდა. მან იგრძნო, რომ იქ მის მეზობლად მხატვრები უკვე ხატავენ. მან ფანქარს თითები მოუჭირა, მაგრამ ლენინს თვალს ვერ აშორებდა.

ასე კარგად მოჩანდა მისი დიდი, არაჩვეულებრივი თავი, რომელსაც ერთ წუთში დაიმახსოვრებდა კაცი. ლენინმა მუხლზე ქაღალდები დაიდო და ნელ-კითხად დაიხარა. მისი მაღალი შუბლი, ყვითელი ხუჭუჭა თმით დაფარული კეფა მკვეთრად გამოირჩეოდნენ მთელ მის გარეგნობაში. სერგეის უნებურად მასგავსებინა ლენინი რომელიმე ხასიათისათვის, რომელსაც ისტორიიდან ან თანამედროვეთა შორის იცნობდა, მაგრამ ლენინი არავის არ ჰგავდა, ყოველი მისი ნაკვთი მარტო მას ეკუთვნოდა.

ბოლოს სერგეი ფანქრით შეეხო ქაღალდს. ერთი რბილი სასინჯი შეხებით მან მოხაზა ლენინის თავის კონტური და აიხედა. ლენინი უკვე იქ აღარ იყო.

4.

სერგეიმ იგი ხელახლა დაინახა, მოხსენებისათვის ტრიბუნაზე რომ ავიდა.

აღფრთოვანებული დაუცხრომელი ოვაციით შეხვდა ხალხი ლენინს. იგი იძულებული იყო ბოლომდე მოეთმინა. დიდხანს ფურცლავდა კათედრაზე ქაღალდებს. შემდეგ ზევით აწეული ხელის ქნევით ცდილობდა დაემშვიდებინა აბობოქრებული დარბაზი. უკმაყოფილოდ და მკაცრად იყურებოდა აქეთ-იქით ამ აზვირთებულ ხმაურში მოქცეული. უცებ მან ამოიღო საათი და აჩვენა აუდიტორიას, თან გაჯავრებული თითს უკაკუნებდა ციფერბლატს. ამაოდ. აღელვებული ისევ შეუდგა ქაღალდების თვალიერებას და გადარჩევას, ვიდრე ოვაცია დაცხრებოდა და გატრუნულ სიჩუმედ გადაიქცეოდა.

ლენინმა დაიწყო ლაპარაკი. სერგეიმ დაინახა ის აზრის გადმოცემის დროს მოძრაობაში. სწორედ ამის დახატვაზე ოცნებობდა სერგეი. რამდენიმე წუთის წინ სრული სიზუსტით დაჭერილი ლენინის ნაკვთები თითქოს გააქრო ლენინმა-ორატორმა, შეცვალა ახლით, განუწყვეტლივ ცოცხალი მონაცვლეობით. ამ მოძრაობას სერგეი თანმიმდევრულად იმახსოვრებდა, მაგრამ ეს თავისებურებანი ჩნდებოდნენ და აღარ მეორდებოდნენ და მას ეშინოდა არ გამორჩენოდა. ხატვას ვერ ბედავდა და უკვე აღარ იცოდა, რას აკეთებდა, ლენინის მოძრაობას სწავლობდა, თუ მის სიტყვას ისმენდა.

ლენინის ჟესტისა და სიტყვის სრულმა შერწყმამ განაცვიფრა იგი.

სიტყვის შინაარსს ლენინი გადმოსცემდა პლასტიკურად, მთელი სხეულით. სერგეის ეგონა, თხევადი ლითონი ჩაუსხამთო ელასტიურ ფორმაში, იმდენად ზუსტად ეხამებოდა გარეგნული მოძრაობა სიტყვას, ისე მქუხარებდა სიტყვის ცეცხლოვანი აზრი.

ლენინი ამხილებდა ინგლისს, რომელიც სრულიად მოულოდნელად გაიმსჭვალა მშვიდობისმოყვარეობით და განადგურებული პოლონეთისა და თეთრი გენერლის ვრანგელის გადასარჩენად მათსა და საბჭოთა რესპუბლიკას შორის თავისი შუამდგომლობა იკისრა.

როდესაც ლენინი შეეკითხა დარბაზს, რად შეიქმნა მთელ ქვეყანაზე „მოუსვენრობა“, როგორც ზრდილობიანად გამოთქვამს ინგლისის ბურჟუაზიული მთავრობა, — მთელი მისი სხეული ირონიულად გამოსახავდა ინგლისისათვის უხერხულ და სათაკილო ამ „მოუსვენრობას“ და ინგლისის პოლიტიკა ყველას წინაშე გამგმირავ სარკასტულ სახედ გადაიქცა.

ლენინი ხშირად იყურებოდა თავის ჩანაწერებში, ბევრ ციფრს ასახელებდა,

მაგრამ ამით ერთი წუთითაც არ ემსგავსებოდა მოსაწყენ პროფესორს, და ყოველთვის მომჯადოებელ ტრიბუნად რჩებოდა. მისი მაღალი ხმა იყო დარეკილავი, მისი ენა — მკაფიო და უბრალო, მისი გამოთქმა — რბილი, ოდნავ ეროვნული ადამიანური ... ანიჭებდა მის სიტყვას და მსმენელებს უადვილებდა მოხსენების გაგებას.

სერგეიმ დაიწყო ხატვა და ეგონა ამ მოხსენების ყოველი ბგერა ესმოდა. მას ქაღალდზე გამოპყავდა ლენინის წამოწეული თავის, წინ გაშვერილი ხელების სწორი, ღონიერი გამართული ზურგის და წამოშვერილი მრგვალი მკერდის მოხაზულობა. იგი თავს ანებებდა ერთ ნახატს, იწყებდა მეორეს: ხან სახე არ გამოუდიოდა, ხან ხელები ან ტანი. იმეორებდა კარგად დახატულ ნაკვთებს, წვალობდა იმაზე, რაც არ გამოსდიოდა, სწრაფად ფურცლავდა ალბომს და, ბოლოს, შეშინებულმა შეამჩნია, რომ დასახული მიზანი ჯერ კიდევ შორს იყო.

გადახედა თავის მასწავლებლებს. ერთი მათგანი დახრილიყო და ნახატს გულმოდგინედ შლიდა საშლელით. მელოტი თავი გასწითლებოდა. სერგეის მოაგონდა, რომ იგი ყოველთვის წითლდებოდა, როცა რამე არ გამოსდიოდა. მეორე მხატვარი ლოჟიდან გავიდა, ტრიბუნის პირდაპირ რიგებში მოიკალათა. ხატვას თავი მიანება და ლენინს უსმენდა.

სერგეის უცებ შეეშინდა, გაიფიქრა, რომ სამუდამოდ გაუშვა ხელიდან საჭირო წუთები, რომ ლენინი მოხსენებას დაამთავრებს და მის ალბომში არც ერთი მთლიანი ჩანახატი არ იქნება. იგი ლოჟიდან გამოვიდა, ძლივს გააღწია კარებში. სადაც ხალხი მჭიდროდ იდგა. იგი დადგა ძირს, გასასვლელში, საიდანაც ლენინი მას უფრო დიდი და მაღალი მოეჩვენა. დარწმუნდა, რომ ეს ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო. მაგრამ აქ მას ხელს უშლიდნენ იუპიტერები, ფოტოკამერებისა და კინოს ობიექტივები, რომლებიც მხატვრებთან ერთად ცდილობდნენ დაეჭირათ ცოცხალი დაუდეგარი ლენინი. წამით გამოკრთებოდა სინათლე, ერთბაშად სჭრიდა თვალს და წყვდიადში ნთქავდა. სერგეი ტრიბუნის მეორე მხარეს გადავიდა. აქედან ლენინი თითქმის სილუეტურად ჩანდა, რადგან უკნიდან უფრო ძლიერი შუქი სცემდა. არა, პირველი პოზიცია ყველას სჯობდა. საჭირო იყო საჩქაროდ დაბრუნებულიყო ლოჟაში.

სერგეის ადგილი დაეკავებინათ. ფეხზე მოუხდა დგომა. მაგრამ ფეხზე მდგომმა მოულოდნელად დაინახა ლენინი მთელი ტანით და ისე სრულყოფილი, როგორსაც ვერ წვდებოდა თვალი, რომელიც ნაწილ-ნაწილ ხედავდა მთლიანობით აღსავსე ნატურას.

სერგეი მაშინვე ხელახლა შეუდგა ხატვას და ახლა გამოადგა მთელი მომზადება, გაუბედავი ვარჯიში. თითქოს საეგებიოდ ბრძად შესრულებული ეტიუდები, ჟესტები, თავის მოძრაობა, სახის ნაკვთები ერთმანეთს ავსებდნენ, ერწყმოდნენ და თანდათან მთლიან ნახატად იქცეოდნენ, უახლოვდებოდნენ ნამდვილ სახეს — ცოცხალ ლენინს. უკვე ალბომს აღარ შორდებოდა, სწრაფად, ძალდაუტანებლად ხატავდა სერგეი.

მძლავრმა გრიალმა გადაუარა დარბაზს. სერგეიმ აიხედა. ერთი ხელის მოქნევით აკრეფილი ქაღალდებით ლენინი სწრაფად ჩამორბოდა ტრიბუნიდან.

სერგეიმ ალბომი დახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომა რომ დამთავრდა, დელეგატებით გარშემორტყმული ლენინი და გორკი გამოვიდნენ სასახლიდან. მოყვითალო სინათლით ნახევრადგანათებული დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ ბრწყინვალე დღე თვალს სჭრიდა. დღის კაშკაშა სინათლით გახარებული ფოტოგრაფები ყველა მხრიდან თავს ესხმოდნენ დელეგატებს და აპარატებს აჩხაკუნებდნენ. ხალხით შეეიწროებული გორკი და ლენინი სასახლის შესასვლელის სვეტებთან დადგნენ. მათ განუწყვეტლივ უღებდნენ სურათებს. გორკის გაპარსული, მზეზე მოელვარე მოციციფრო თავი შორს მოჩანდა. ყველგან მის სახელს იმეორებდნენ. მის წინ ოდნავ ქვემოთ იდგა ლენინი, ისიც თავშიშველი იყო.

სერგეი იქვე იდგა და უნდოდა ეხატა. მაგრამ ისე გაიჭედა ხალხში, არც უფიქრია განძრევა. მთელ დღეს ასე ახლოს არ უნახავს ლენინი. გრძნობდა, რომ ეღიმებოდა და ეს ღიმილი იქნებ უადგილოც იყო, მაგრამ ღიმილი სახეს არ შორდებოდა, თითქოს გახევდაო.

რა თქმა უნდა, ვერაფერი სასიხარულოა, რომ ფოტოგრაფები რამდენიმე ათეულ ცუდ სურათს იღებდნენ, მაგრამ შეშურდა მათი სწრაფი და უდარდელი პროფესია. ხალხი დაიძრა. მოჰქონდათ დროშები და ზევით აწვდილი წითელი ვარდებისა და მუხის ფოთლების სამმეტრიანი გვირგვინები: რევოლუციის მსხვერპლთა მოედანზე ძმათა სასაფლაოსაკენ მიემართებოდნენ.

ლენინი კონგრესის დელეგატებს მიუძღოდა. მის გვერდით წამდაუწუმ იცვლებოდა ხალხი — უცხოელები, რუსები, მოხუცები და ახალგაზრდები. ერთთან რომ მორჩებოდა ბაასს, საუბრობდა მეორესთან, მესამესთან.

მიდიოდა უპალტოოდ, პიჯაკგახსნილი, ხელები ზურგზე, ხან შარვლის ჯიბეში ეწყო. ასე გეგონებოდათ, ქუჩაში უზარმაზარ შენობათა გვერდით კი არ მიდის, არამედ მშობლიური სახლის ოთახში: არაფერს არაჩვეულებრივს არ ხედავდა იგი გარსშემოხვეულ მასაში და უბრალოდ და თავისუფლად გრძნობდა თავს. სრულიადაც არ ბოჭავდა მისდამი ხალხის შეუჩერებელი ლტოლვა.

სერგეი სულ ახლო მიდიოდა ლენინთან. უცებ მან შეამჩნია ნაცნობი კაცი, რომელმაც ხალხი გაარღვია და ლენინთან ამოჰყო თავი. ეს იყო ბრაუნშვაიგელი. იგი დაწვრილებით გამოეცნაურა, ხელი ჩამოართვა და დაიწყო, როგორც ჩანს, კარგად მოფიქრებული ტირადა.

ლენინმა თავი გვერდზე გადახარა, რათა უფრო კარგად მოესმინა ტანდაბალი თანამოსაუბრისათვის. ბრაუნშვაიგელი ლაპარაკობდა და მედიდურად აქნევდა გრძელ ხელს. მას ძვირად უღირდა თავისი მნიშვნელოვანი სიტყვები და ეშინოდა ტყუილად არაფერი ეთქვა. ლენინი ჯერ სერიოზულად უსმენდა, შემდეგ გაიღიმა, თვალები მოხუჭა, თავი გადააქნია. მერე ხელი ჩაიქნია და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამბობდა: სისულელეა, სისულელე! ბრაუნშვაიგელი ხელების ქნევით რაღაცის დამტკიცებას ლამობდა. ლენინმა ნიდაყვში ხელი მოჰკიდა და უთხრა ორიოდე მოკლე საბოლოო და ამომწურავი ფრაზა. მაგრამ ბრაუნშვაიგელი მაინც გაფთრებული ეკამათებოდა. მაშინ ლენინმა მსუბუქად დაჰკრა მხარზე, თითები ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო და სიცილი და-

იწყო. გულიანად იცინოდა და მთელი ტანით ირწეოდა. ნაბიჯს აუჩქარა და აღარ მოუხედავს კაცისათვის, რომელმაც ასე აცინა.

ღილზე ხომ არ დაუწყო ლაპარაკი გაწბილებულმა ბრაუნშვაიგელმა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. — გაეღიმა სერგეის, როდესაც გერმანელ ოფიცერს ცილდა ლენინს და ხალხში გაუჩინარდა. ამ სცენამ სერგეი უცნაურ გუნებაზე დააყენა. ეს სცენა მისთვის მუნჯი იყო, მაგრამ მოძრაობით აღსავსე საოცარი სიმკვეთრით გამოხატავდა ლენინის სისადავეს და იმას, რომ იგი სწრაფად შეიცნობდა და არ ინდობდა სასაცილო ადამიანს. სერგეიმ დაინახა მხიარული, გულიანად გაცინებული ლენინი, უთვალთვალებდა მისი კამათის მანერას — რა სწრაფად იცვლიდა სახის გამომეტყველებას, ეშმაკურად ჭუტავდა თვალს, მისი ჟესტები ნებისყოფითა და მგზნებარებით იყო აღსავსე. ბრაუნშვაიგელთან კამათის სცენას სერგეის ნახატი უნდა შეევსო მისთვის აქამდე უცნობი შტრიხებით.

„ორი თავმჯდომარე, — ფიქრობდა იგი ღიმილით და თითქოს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ორი ფიგურა, — აწ დავიწყებული ბრაუნშვაიგის სამდღიანი მთავრობის თავმჯდომარე და თავმჯდომარე მთავრობისა, რომელიც სამი წელია არსებობს და მუდამ იარსებებს".

სერგეის ტანში გაუჯდა უცნობი, სიამაყის ხელშესახები შეგრძნება და თითქმის იმავე წუთში ჯავრითა და ამაღელვებელი თავხედური სურვილით აუტოკდა გული: რატომ, რატომ მიდის ამდენი ხალხი ლენინთან და ისიც მათთვის დროს პოულობს, სერგეი კი მხატვარია, რომელსაც სურს და ვალდებულია ასეულ-ათასობით ადამიანისათვის სამუდამოდ აღბეჭდოს ლენინის სახე. ნაშ რისთვისღა უნდა უხდებოდეს წუთების გამოძებნა, რათა კარგად შეხედოს, იხილოს მისი ღიმილი, ჰაერში დაიჭიროს მისი მზერა?

სერგეიმ ალბომი გაშალა. ნახატში იყო მსგავსება, გაკვრით შემჩნეული შტრიხები, არც თუ უდავო, მაგრამ რას იტყოდა თვითონ ლენინი?

ამ დროს სერგეის ვიღაცამ წაუბიძგა. იქნებ მოეჩვენა,—იგი თვითონ გაძვრა წინა რიგში და უკვე ლენინის გვერდით მიაბიჯებდა. სული შეეხუთა. სულ ერთი ნაბიჯილა დარჩა მიზნამდე. ისე, რომ არც კი იცოდა ეყოფოდა თუ არა ღონე, მან ის ერთი ნაბიჯიც გადასდგა.

მიუახლოვდა ლენინს.

— მე მინდა, — დაიწყო მან და ძლივს მოფიქრებული ფრაზა წუთშივე დაემსხვრა. — ვლადიმერ ილიას-ძევ, როგორ მოგწონთ ნახატი?

ლენინმა სერგეის თვალი შეავლო, ალბომის კიდეს დასწვდა, დაიხარა და მოხუჭული თვალებით ქაღალდს დააცქერდა. შემდეგ ალბომი დაუბრუნა და მხიარულად გადახედა სერგეის.

— თქვენ კი მოგწონთ? — ჰკითხა მან მეგობრულად.

— არა, — უპასუხა მხატვარმა, — მაგრამ მგონია მსგავსება არის.

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, მხატვარი არა ვარ, — საჩქაროდ უპასუხა ლენინმა.

თვალებში ეშმაკურმა ღიმილმა გაუელვა, თავი უკან გადასწია, სერგეის გამამხნევებლად თავი დაუქნია და მიტრიალდა. მას ვიღაც გამოელაპარაკა.

სერგეის უკან დაახევინეს პირველი და მეორე რიგებიდანაც. აქამდე ადგილად ინარჩუნებდა მოხერხებულ ადგილს და ასე უცებ რატომ დაჰკარგა? რა იყო ეს, წყენა? უხერხულობა? სერგეიმ ხელახლა წარმოიდგინა მდგომარეობა, რომელშიც ის ახლახან იმყოფებოდა. არა, ლენინის არც ხმაში, არც შეხედულებაში არ გამოკრთოდა ისეთი რამ, რითაც შეიძლებოდა შეწუხებულიყო სერგეი. მაგრამ როგორ დაებადა აზრი, ეჩვენებინა ლენინისათვის უვარგისი ნახატი? ეს სულმოკლეობა იყო. მხატვარმა გადაშალა და მაშინვე დახურა ალბომი: ნახატი არაფრად არ ვარგოდა.

მაშინ ვიღაცამ ნიდაყვში ხელი წაავლო და დასწია. შებრუნდა.

მისი ხელი მაგრად ეჭირა ბრაუნშვაიგელს.

— ჩემო მეგობარო, თქვენ აპირებდით ჩემი სურათის დახატვას, — თქვა მან ხმამაღლა. — დღეს ვერ მოახერხეთ, მაგრამ ხვალ შემიძლია მიგიღოთ. — თავს ზევით აწეული, გამხმარი ხელი მხარზე დაჰკრა სერგეის.

— ჯოჯოხეთური სიცხეა დღეს! სულ არა ჰგავს თქვენს დედა-რუსეთს.

— იცით რა, — თქვა სერგეიმ. — მე გადავიფიქრე, თქვენ აღარ დაგხატავთ.

— ო, ძალიან თავაზიანი პასუხია, — მოესმა ზურგს უკან სერგეის, როცა იგი ხალხს მიარღვევდა. უცებ გადაავიწყდა გერმანელი. იმწუთშივე იგრძნო ხელის თბილი ჩამორთმევა. მისმა მასწავლებელმა მხატვარმა, რომელიც მასთან ერთად ხატავდა ლოჟაში, თანაგრძნობით ჩუმად უთხრა:

— გესმით? მე არ გამომდის ნახატი ლენინის სახიდან. თქვენ როგორა გაქვთ საქმე?

— არც მე გამომდის, — უპასუხა სერგეიმ, მოულოდნელად მიიხუტა მკერდზე ალერსიანი ხელი და მგზნებარედ დაამთავრა:

— მაგრამ გაძლევთ სიტყვას, გაძლევთ პატიოსან სიტყვას — უეჭველად გამომივა!

თარგმნა თ. გაიდამაშჩუკმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ესენინი

ლ ე ნ ი ნ ი

ნაწყვეტი პოემიდან

კანონი ჯერაც არ არის მტკიცე,
ზეცა დაფარეს ავდრის ღრუბლებმა.
მოითარეშა ვეება სივრცე
თავაწყვეტილმა თავისუფლებამ.

ჩემო რუსეთო! გულისტკივილი
მტანჯავს და ველარ მომითმენია —
დიდი ხანია აღარ მსმენია
ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი.

სოფლებში მშვიდად ახლა ვინ არი.
არ საუბრობენ ტკბილად ტოლები.
მიდამო, როგორც ნაყვავილარი,
გადათხრილია ცხენის ტორებით.

მოსდევს ოხვრა და გაჩანაგება
ტაჩანკის ქროლვას, საზიდრის
ხრიგინს.
მხოლოდ ზმანება არის ეგება,
რომ შუბოსანი პაჭანიკები
შემოგვსევიან ხროვებად ირგვლივ.
არა! ყველაფერს ვხედავ უკლებლივ.
შემზარავია ხილვა ამგვარი —
მიწას გაკრული ბედაურებით
ზედიზედ მოსდევს ლაშქარს
ლაშქარი.
სად არის ომი? სად იჩქარიან?
არაფერს მეტყვის ეს მინდვრის
წყალი.
ეს რა ანათებს? ნეტავ მთვარეა,
თუ ცხენოსანმა დაჭკარგა ნალი?
თავგზა ამებნა...
და მაინც ვატყობ:
ხმლითა და ცეცხლით რომ იბრძვის
ცხარედ.
ძმა ღვიძლი ძმისკენ მიიწევს
სამტროდ
და იფლითება სამშობლო მხარე.
. . . . . .

რუსეთო!
შენზე ვფიქრობ ნიადაგ.
გშვენის ენძელა და თეთრი არყი.
ნეტავ საიდან შემოგრიალდა
კაცი, სალაშქროდ რომ დასძრა
ხალხი.
მკაცრი გენია! მე სხვათა დარად
არ მხიბლავს ტანით და აღნაგობით —
იგი არასდროს ცხენზე არ მჯდარა
და არც გრიგალის არის გამპობი.
არა სჭერია ხელში ხმლის ვადა,
კაცს არ უშვერდა ლულას თოფისას.
მას ერთადერთი მკვლელობა
სწამდა —
მწყერის დახოცვა ნადირობისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ გმირში მხოლოდ პირობითს
ვხედავთ,
ვერაფერს ვამჩნევთ შავ ნიღაბს
იქით.
მას კი ცინგლიან ბავშვებთან ერთად
უყვარდა თოვლში სრიალი ციგით.
თმა არ ჰქონია კუპრივით შავი
სეედიან ქალთა გულის წარმტაცად.
ის ლანგარივით მელოტი თავით
ჩანდა ყველაზე უბრალო კაცად.
სადა, აღსავსე რიდით და კრძალვით.
მაოცებს, ჩემთვის სფინქსად გადიქცა.
ვერ გამიგია, როგორ, რა ძალით
შეაზანზარა ეს დედამიწა?
და მან ეს შესძლო...
მაშ უფრო მძლავრად
დაატრიალე, გრიგალო, სუსხი,
რომ ეკლესიის და ციხის ჭუჭყი
ღარიბ-ღატაკებს არ ეცხოთ მარად.

. . . . . .

რა წლები იყო... დღე გვადგა შავი.
მბეცის ჭანგები ჩვენზე გაწაფეს.
გლეხკაცს გახადეს სამმაგი ტყავი,
რომ მოელხინათ უძღებ სატრაპებს.

. . . . . .

მონარქია ხომ გახრწნილ ლეშს გავდა!
დაუსრულებელ ნადიმს იხდიდა.
ძალა-უფლება არისტოკრატმა
მრეწველებსა და ბანკირს მიჰყიდა.
რა ტანჯვა იყო, როგორ ბნელოდა,
ხალხი ვიღაცის მოსვლას ელოდა...
და ის მოვიდა.

. . . . . .

მძლავრი სიტყვებით
წაგვიძღვა ყველას და ჩვენც
გვითხრა: ხომ გინდათ გახწორდეთ
წელში?
მაშ ყველაფერი აიღეთ ხელში.
რომ არასოდეს არ დაიტანჯოთ,
უნდა შექმნათო მშრომელთა საბჭო...

. . . . . .

არ გვაშინებდა კორიანტელი,
გვიძღოდა მისი თვალი ნათელი.
მივყავდით, სადაც ჰპოებდა შველას
ყოველი ტომი და ერი ყველა.

. . . . . .

და იგი მოკვდა...
არ გვინდა ცრემლი.
მუზა არ უმღერს უბედურებას.
სალუტი მისცეს უკანასკნელი.
მორჩა, აღარ გვყავს, დავკარგეთ
მხსნელი,
აღარასოდეს არ დაბრუნდება.
თუმც არ დასცალდა, არ დაეხანა,
როდი დაგვტოვა უიმედონი,
დარჩნენ ისინი, ვინაც ქვეყანა
უნდა შეესალტონ რკინა-ბეტონით.
იმათ ვერ ეტყვი:
ლ ე ნ ი ნ ი მ ო კ ვ დ ა.
დედაკაცური წუწუნი დაგმეს.

. . . . . .

და ისე როგორც მამაცებს მოსდგამთ,
მტკიცედ განაგრძეს ლენინის საქმე...

თარგმნა გ. სალუქვაძემ.

ჯემალ შამიღაძე

ლენინის სახელით გულში

მარტის პირველი რიცხვები იყო, გაზაფხული დგებოდა. სოფლის ცენტრში გლეხები თავს იყრიდნენ, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი ერთმანეთს ეკამათებოდნენ, მსჯელობდნენ.

— რაიკომიდან გვესწრებიან? — შეეკითხა ახალმოსული მემედ ცინარიიე ისმაილ ზოიძეს და გვერდით მიუჯდა.

— უეჭველად! — დარწმუნებით უპასუხა ისმაილმა, თამბაქო გაახვია, გააბოლა და გზას გახედა.

— ვითომ არტელი სჯობს მიწის დამმუშავებელ ამხანაგობას? გაგვიჭირდება, ბევრი სიძნელე შეგვხვდება.

— მერე რა! ამხანაგობას რომ ვქმნიდით, მაშინ ცოტა იყო სიძნელე თუ? მაგრამ ხომ დავძლიეთ?

— მართალი ხარ, ისმაილ, სიძნელეები გვექნება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს.

— სანამ უნდა ვიყოთ ასე? გზები არა გვაქვს, სკოლა და ათასი სხვა რამე გვინდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. სხვა სოფლები გვისწრებენ, სირცხვილია.

ეს იყო ასლან კონცელიძე, რომელსაც ერთბაშად უნდოდა სოფლის გარდაქმნა.

— მოდის. — დაიძახა ვიღაცამ.

გლეხები წამოიშალნენ.

უბრალოდ ჩაცმული, წითელი ტალახით ჩექმებგასვრილი შუახნის კაცი გლეხებს მიუახლოვდა, შეჩერდა, ქუდი მოიხადა და ყველას გულითადად მიესალმა.

სტუმარს სკამი მიართვეს. გლეხები მის წინ შეგროვდნენ და მოლზე დასხდნენ.

რაიკომის წარმომადგენელმა გაზეთი გაშალა, სათვალე მოიმარჯვა და შეკრებილთ გააცნო პარტიისა და მთავრობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო არტელების ნებაყოფლობით ჩამოყალიბების შესახებ.

— კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გვირჩევენ ჩვენი სურვილით, ნებაყოფლობით გავაერთიანოთ სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ვენახები, ცოცხალი გამწევი ძალა, კავ-გუთნები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. შევქმნათ მძლავრი კოლექტიური მეურნეობა. მთავრობა დაგვეხმარება მინერალური სასუქებით, ტექნიკით, ფულით და მაშინ ნახეთ, როგორ გაიზრდება თითოეული გლეხის შემძლებულობა!

— დაამთავრა თავისი სიტყვა რაიკომის წარმომადგენელმა.

— ჩემი ბაღი გავაერთიანო? არა, ამას ვერ ვიზამ.

— ჩემი ლომა კამეჩები რიფათას გაგუზიარო?

არ დაეთანხმა მომხსენებელს ზოგიერთი გლეხი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ესმოდათ, თუ რა იყო სასოფლო-სამეურნეო არტელი.

რაიკომის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ დაწვრილებით განმარტა არტელის წევრთა უფლება-მოვალეობანი, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების წესი.

— ძალიან კარგია!

— თანახმა ვართ, დავაარსოთ არტელი.

— თუ კოლექტიური შრომაა, ბარემ მართლაც კოლექტიურად ვიყოთ.

ძალა არავისთვის დაუტანებიათ, არც ვისმესთვის ხვეწნა დაუწყიათ. გლეხების დიდმა უმრავლესობამ გადაწყვიტა და სოფელში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტელი.

ის-ის იყო უნდა დაშლილიყვნენ, რომ ერთმა ახალგაზრდამ სიტყვა ითხოვა.

— თქვი, რაც სათქმელი გაქვს, ამხანაგო ყურშუბაძე. — უთხრა მას რაიკომის წარმომადგენელმა. — იქნებ რაიმე ვერ გაიგეთ?

— არა, ყველაფერი გასაგებია, ოღონდ...

— ოღონდ რა, ამხანაგო ყურშუბაძე?..

— მსურს ჩვენს კოლმეურნეობას დავარქვათ დიდი ლენინის სახელი, იმ ადამიანის სახელი, რომელმაც გლეხებს გვიჩვენა ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი სწორი გზა.

ახალგაზრდა კოლმეურნის წინადადება ერთხმად მოიწონეს და მიიღეს.

ეს იყო 1934 წელს და იმ დღიდან მოკიდებული ლენინის სახელით გულში დაუღალავად შრომობენ და ზრდიან საზოგადოებრივ დოვლათს ჩაისუბნელი კოლმეურნეები.

— რა ვიყავით და რა ვართ! — კმაყოფილებით ამბობს ისმაილ ზოიძე, ოღონდ წარსული გაახსენდება და დღევანდელობას შეადარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლაც, მთლიანად იცვალა სახე ქობულეთის რაიონის სოფელმა ჩაისუბანმა, რომელსაც წინათ დიდი ჯანი ერქვა. კოლმეურნეებმა გაკაფეს ტყე-ჩირგვნარები და უსარგებლო მიწები ხალხის სამსახურში ჩაყენეს. ახლა ყველგან ხაახასებენ ჩაის მწვანე ბუჩქები, რომლებმაც სილამაზესთან ერთად დოვლათიც შემატეს სოფელს. ჩაისუბანი გაიზარდა და დავაჟკაცდა. ყავრით დახურული ფიცრული სახლები ორსართულიანმა ქვის სახლებმა შეცვალეს. ყავარი კი კრამიტმა. სხვებთან ერთად ისმაილ ზოიძემაც დაამთავრა ახალი ორსართულიანი ოდა და მშვენივრად მორთო იგი. არაფერი არ აკლია ახლა მის ოჯახს. ელექტრონიც კი. კოლმეურნეებმა ხომ სოფლის ორივე მდინარეზე ააგეს ელექტროსადგური, რომლებიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფენ როგორც კოლმეურნეობის საწარმოო ნაგებობებს, ისე კოლმეურნეთა ოჯახებს. ახლა ყველგან ბრწყინავს „ილიჩის ნათურა".

რაც მთავარია, სოფელში აღიზარდნენ კოლექტიური შრომის ნოვატორები, წარჩინებული ადამიანები. ერთი მათგანია ასიე ყურშუბაძე, რომელსაც მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი. მაღალი ჯილდო აჭარელმა ქალმა მშობლიური კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაში თავდადებული შრომით მოიპოვა.

მაინც როგორ წინ წავიდა სოფელი, როგორ თანდათან იზრდება მისი დოვლათი! 1939 წელს კოლმეურნეობა მონაწილეობდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში იმ დროისათვის მაღალი მაჩვენებლებით — 2.900 კილოგრამი საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. ახლა კი კოლმეურნეობის

მეჩაიეები ხუთ ტონა ჩაის ფოთოლსაც არ სჯერდებიან საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე. შარშან, მაგალითად, მათ თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 5.311 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ აიღეს. /

რა აქვს ახლა ჩაისუბანს?

არტელის სახნავ-სათეს ფართობებზე, ბაღებსა და პლანტაციებში, მთელ მის ტერიტორიაზე ბუნებას თითქოს მადლიანი კალთა დაუბერტყავს. მის მუდმივ სარგებლობაშია 1.049 ჰექტარი მიწა. ერთი შეხედვით, ეს დიდი არაა, ჩაის პლანტაციებსაც მხოლოდ 111 ჰექტარი უკავია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შარშან კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 478 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო მისი განუყოფელი ფონდი 11 მილიონ მანეთს აღწევს, ცხადი გახდება ამ არტელის ძალა და ძლიერება.

ჩაისთან ერთად კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა ციტრუსები, ტუნგო, მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა. მარტო შარშან ჩაისუბნელმა კოლმეურნეებმა ნაცვლად 55 ათასი კილოგრამისა სახელმწიფოს მიყიდეს 78.800 კილოგრამი ციტრუსოვანთა და 70 ტონის ნაცვლად 75 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ხოლო სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავალმა 30,2 ცენტნერს მიაღწია.

საარტელო მეურნეობის ახალი, მაგრამ მზარდი დარგია მეცხოველეობა. 110 სულის ნაცვლად აქ 148 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ. სულადობასთან ერთად იზრდება პირუტყვის პროდუქტიულობაც. საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან თითოეული საფურაქე ძროხის საშუალო წველადობა წინა წლებთან შედარებით 220 კილოგრამით გაადიდეს და 2.505 კილოგრამზე აიყვანეს.

როგორც ყოველთვის, შარშანაც ბეჯითი შრომით თავი ისახელა და ყველაზე უხვი მოსავალი მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ფიქრეე ყურშუბაძემ, რომელმაც გაპირობებულ ნახევარ ჰექტარზე 6.190 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიბა. გადაჭარბებით მიღებულ ნედლეულში მას 9.700 მანეთი პრემია-წანამატი ხვდა. ასევე საამაყოა ზექიე ბერიძის, ფადინე ყურშუბაძის, ნაილე კონცელიძის, ასლან ბერიძის, მერი ყურშუბაძისა და სხვ. შრომითი მაჩვენებლები.

ამ დღეებში, ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, ბევრი აგიტატორი აწყობს საუბრებს დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აგიტატორები მშობლიური სოფლის მაგალითზე მოუთხრობენ კოლმეურნეებს, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში ლენინის უკვდავი იდეები.

— კომუნისტური პარტია, — თქვა ერთი-ერთი საუბრის დროს აგიტატორმა მურად ყურშუბაძემ, — განუხრელად ახორციელებს უკვდავი ლენინის ანდერძს. სწორედ ამის შედეგია, რომ საზოგადოებრივი დოვლათის განუხრელ ზრდასთან ერთად გამშვენიერდა და გალამაზდა ჩვენი მშობლიური ჩაისუბანიც. სოფლის სკოლა-ინტერნატში ასობით ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერების ძირითად საფუძვლებს. მისი ბევრი კურსდამთავრებული უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და ახლა წარმატებით ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მათ შორის არიან სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვაჟა ყურშუბაძე, მასწავლებელი ნუნუ სეფერთელაძე და სხვ. ბევრი ჩაისუბნელი ახალგაზრდა სწავლობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

მთელი ძალით ჩქეფს სოფლის კულტურული ცხოვრება. დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში სასოფლო კლუბსა

და ბიბლიოთეკაში. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩაისუბნელებმა ღირსეულად აღნიშნეს დიდი ლენინის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავი. თვალსაჩინო ადგილას გამოფინეს ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, აგრეთვე წიგნები და ბროშურები, რომლებიც მკითხველებს მოუთხრობენ საყვარელი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

დიდი ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურისა და ფოტოსურათების გამოფენასთან ერთად კლუბის კედლებზე დიაგრამებითა და პლაკატებით ნაჩვენებია ის სამეურნეო წარმატებები, რაც ჩაისუბნელმა მშრომელებმა მოიპოვეს ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩაისუბნელი კოლმეურნეები გარემოსილი არიან ადამიანისათვის ლენინური მზრუნველობით. ამას მოწმობს სოფლის მოსახლეობის შეძლებული და კულტურული ცხოვრება. სულ უფრო და უფრო მრავლდება ორსართულიანი შუშაბანდიანი სახლები. კოლმეურნეები ყიდულობენ ძვირფას ავეჯს, ტანსაცმელს, რადიოს, საკერავ მანქანებს, ავტომანქანებს, იწერენ ჟურნალ-გაზეთებს, აწყობენ პირად ბიბლიოთეკებს და ა. შ. ან რატომ არ შეიძენენ? მარტო შარშან შრომის ძირითად საზღაურად მათ მიიღეს ორნახევარი მილიონი მანეთი, ხოლო პრემია-წანამატის სახით 461.300 მანეთი. აქედან ილიას კონცელიძის ოჯახს ხვდა 30 ათასი მანეთი,

-ადი ყურშუბაძისა და იბრაიმ ბერიძის ოჯახებს — 32-32 ათასი მანეთი და ა. შ.

საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდასთან ერთად კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას უთმობენ სოფლის კეთილდღეობას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

სოფელს ამშვენებს მოკენჭილი გზები, საკოლმეურნეო კანტორის ორსართულიანი შენობა, ფერმის კაპიტალური შენობები, ჩაის მიმღები პუნქტი, გარაჟი და სხვა საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი. დღისით და ღამით კოლმეურნეთა სახლებიდან გაისმის რადიოს ხმები, რომლებიც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს გულიდან — საყვარელი მოსკოვიდან და მშობლიური თბილისიდან მოდის.

დღითიდღე წინ მიდის სოფელი ჩაისუბანი.

ეს იმიტომ, რომ ლენინის იდეებს დიდი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი ძალა აქვთ. ჩაისუბნელებს უყვართ ილიჩისებური შრომა და ცხოვრება.

და ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა გენიალური ლენინის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავს, ჩაისუბნელი კოლმეურნეები ლენინის სახელით გულში და ლენინის ორდენით მკერდზე სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის XXI ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ აკვეღაძე

ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთულ პოეზიაში

კაცობრიობის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის შთამაგონებელი მხატვრული სახე ჩაუქრობელი ვარსკვლავივით ბრწყინავს პროგრესულ საზღვარგარეთულ პოეზიაში. მოწინავე უცხოელი მწერლები ლენინს სამართლიანად წარმოგვიდგენენ მშრომელი ხალხის მხსნელ გმირად, ბედნიერი ცხოვრების გზაფხულის სიმბოლოდ, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის უძლეველ დროშად. ზოგიერთი მათგანი ლენინის სიდიადის, მისი მოძღვრების უძლეველობის გამოსახატავად მიმართავს ისტორიულ პარალელებს. ადარებს რა მას წარსულის სახელგანთქმულ გმირებს, უდიდეს მოაზროვნეებს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ყოველგვარი ასეთი შედარება ძლიერ ფერმკრთალია და ვერ გამოხატავს ლენინის სიდიადესა და გენიალობას.

სამართლიანად წერდა ამის თაობაზე გამოჩენილი ესპანელი რევოლუციონერი მწერალი არკონადა: სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ფილოსოფოსები სად არ იყვნენ ჭეშმარიტების ოქროს საძებნელად, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ხვდომია წილად ბედნიერება მოეპოვებინა იმდენი წმინდა ოქრო ჭეშმარიტებისა და თავისუფლების სახით, როგორც ეს ლენინმა შეძლო. ვ. ი. ლენინი იყო ყველაზე ძლიერი და უდიდესი ფილოსოფოსთა შორის, ვინაიდან მან არა მარტო მიუთითა წინამორბედთა შეცდომებზე, არამედ ამავე დროს უჩვენა ბედნიერებისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზა. აი ამიტომ არკონადა თავის ლექსებში მოუწოდებს ესპანელ ხალხს გაჰყვეს ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას და მაგალითად უსახავს საბჭოთა კავშირს, სადაც ლაღად ფრიალებს თავისუფლების ძლევამოსილი დროშა. იგი შენატრის იმ დროს, როდესაც მის სამშობლოში დაემხობა ჯალათთა ხროვა და „საბოლოოდ გაიკაფება გზა გაუვალი“. მას სწამს, რომ „მისი მრავალტანჯული სამშობლო“ მხოლოდ ამ გზით მივა „კრემლის მოელვარე ვარსკვლავთან“.

ის სულს აიგზნებს
სიხარულის აღმაფრენითა,
ნახავს ბელადის ძვირფასსა და
საყვარელ სახეს,
მავზოლეუმის კარს შეაღებს,
მივა ლენინთან
და სიყვარულის შუქს აუნთებს
მის უკვდავ სახელს.

(თარგმანი ალ. აბაშელისა)

ასევე მგზნებარედ უმღერიან ვ. ი. ლენინს სხვა ესპანელი პოეტებიც. მათ შორის რაფაელ ალბერტი, პედრო გარფიასი და სხვები.

ლექსში „ლენინი“ პედრო გარფიასი ხოტბას ასხამს ხალხთა დიდ ბელადს, როგორც იმ ადამიანს, რომელმაც ხალხს შეუქმნა დაულეველი სულიერი საზრდო, მისცა ბრძნული მოძღვრება — რევოლუციური მოქმედების სახელმძღვანელო, აღანთო ბრძოლის წადილით და გააღვივა ცეცხლი მის ფერფლში. პედრო გარფიასი უბედნიერესად თვლის იმ დღეს, როდესაც ქვეყნიერებას მხსნელ მესიად მოევლინა დიდი ლენინი. ამ გმირთაგმირის დაბადების დღეს, პოეტის თქმით, „მარქსიც და ენგელსიც ღიმილით შეეგებნენ“ და გენიოსების ამ ღიმილში გამოკრთოდა დიადი მომავლის რწმენა, მათი ხორცშესხმული იდეალები. მართლაც, ლენინის დაბადება კაცობრიობის მარადიული გაზაფხულის მაუწყებელი იყო. როდესაც იგი დაიბადა, ბუნება

ჰყვაოდა და იფურჩქნებოდა, აპრილს მოჰქონდა ვარდების სურნელება და სიცოცხლის კვირტების ფეთქვა, მაგრამ ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნების ზეიმი. ადამიანთა სამყაროში კვლავ უვიცობა და წყვდიადი მეფობდა. ვ. ი. ლენინმა შემდეგ გაჰფანტა ეს ათასწლოვანი წყვდიადი და განთიადის უქრობი შუქით გაანათა მსოფლიო.

ესპანელი ბავშვები თავიანთ სიმღერებში შეჰხარიან აპრილს — ლენინის დაბადების დღეს, აქებენ და ადიდებენ ამ ბედნიერ თვეს. ხოლო გულისწყრომით ახსენებენ იანვარს, რომელმაც კაცობრიობას „წაართვა ლენინი". ასეთია ლაიტმოტივი ბელტრანის გულწრფელი ლირიკული სიმღერისა „ესპანელი ბავშვების სიმღერა ლენინზე".

ესპანელი ბავშვები
ლენინს ასე უმღერის:
— შენ დალეწე დევგმირო,
ტანჯვის მძიმე უღელი.
დაიბადე აპრილში,
იანვარმა ჩაგაქრო,
მაგრამ შენს დიდ ანდერძებს
არ ვიიწყებთ არასდროს.
ცივი მთვარე არ გვინდა
და არც თოვლის ფანტელი.
გაიგონოს სამყარომ
ჩვენი წრფელი სათქმელი:
ჩვენ ვემდურით იანვარს —
მან წაგვართვა ლენინი,
ჩვენ აპრილი გვამღერებს,
ვარდით ტანგაფერილი.

(თარგმანი დ. ახობაძისა)

ლუი დე ტაპიას ლექსი „საბჭოთა ქალებს" შეზავებულია რომანტიკული და ოპტიმისტური აკორდებით. მასში გარკვევით მოისმის ნათელი მომავლის ხმა, ესპანელი ხალხის ხსნის იმედი:

ჯერ ესპანეთი უპყრია სევდას,
ჯერ ვერ შევძელით ფაშიზმის ძლევა,
მაგრამ მე. მაინც აშკარად ეხედავ,
როგორ ბრუნდება საბჭოთა „ნევა".

(თარგმანი ა. მირცხულავასი)

დიდი სამამულო ომის წლებში მოწინავე ესპანელი პოეტები იმედის თვალით შეჰყურებდნენ საბჭოთა კავშირს, მოსკოვს, სჯეროდათ მისი გარდუვალი გამარჯვება. ლექსში „სიმღერა მოსკოვზე", რომელიც 1942 წელს გამოქვეყნდა, პოეტი არეოლა კორტესი სახოტბო სტრიქონებით ამკობს ძლევამოსილ ქალაქს, რომელმაც დაძლია მტრის მოძალება.

შენ პირველი ქალაქი ხარ მომავალი მსოფლიოსი, — წერდა პოეტი ამ ლექსში, — შენი ცეცხლით სამუდამოდ დაიბნელე შენ აჯანყებული ნაპოლეონის ვარსკვლავი... მაშინ შენი კედლები ქვის იყო, ახლა კი ფოლადისაგანაა ნაშენი. შენ, ფოლადის ქალაქო, თავზე დაეფარ[illegible]ალებს უკვდავი ლენინის დროშა. [illegible] სახელოვან შეიღთა შორის მტერმა [illegible] ოვა პეტენი, კვისლინგი ან ფრანკო. [illegible] ვასაქანი შმაგი ტროადის ცხ[illegible]ბით დაერღვია სიმტკიცე შენი. ჩვენ გვესმის შენი ხმა, ამაყი დიდების ქალაქო, უძლეველო მიწავ, მთელ დედამიწაზე ვრცელდება შენი გმირობის ამბავი... გამოვთქვამ რწმენას, რომ მოსკოვი გაიმარჯვებს მტერზე და ზეიმის დღეებში, კრემლის შესასვლელთან ჩვენ დავაწყობთ ცეცხლოვან ვარდებს, რომ მუდამ ყვაოდნენ ისინი...

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქუხილმა სხვებთან ერთად მძლავრი გამოძახილი ჰპოვა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც მან აამოძრავა ფართო სახალხო მასები და პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე გამოჩნდა ახალი დიადი ძალა — პროლეტარიატი, პროგრესულ ძალთა მოწინავე რაზმი. ამ გითარებაში ლათინური ამერიკის პოეტები აქტიურად ჩაებნენ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში და დიდი სიყვარულით ხატავენ ვ. ი. ლენინის სახეს.

შორეული ჩილის უდიდესი პოეტი პაბლო ნერუდა თავის ლექსებსა და პოემებში ალტაცებულ ჰიმნს უგალობს ოქტომბრის რევოლუციის ბელადს — ლენინს, ახალი ქვეყნის აყვავებასა და აღორძინებას. ლირიკულ პოემაში „ვრცელია სამყარო ახალი" იგი დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ დიად გარდაქმნებზე, რაც რუსეთის ვრცელ მიწაზე მოხდა, და წერს: წინათ ამ მიწაზე მეფობდა წყვდიადი, ტანჯვა და შიმშილი. მაგრამ ისტორიაში შემოვიდა ლენინი და ყველაფერი გარდაქმნა. შემდეგ დამყარდა შვიდობა. შრომაში იყო ძალა და სიყვარული. ქვეყნის დიდება გაისმოდა კიდითკიდემდე. დიდმა ლენინმა ზღვიდან ზღვამდე დაამყარა გზაფხული. ამ გზაფხულისაკენ მივდივართ ჩვენც. კაცობრიობის გზაფხული, რომელიც ლენინმა შექმნა, დინჯად მიაბიჯებს ევროპის მიწაზე.

პაბლო ნერუდას გვერდში უდგას სამხრეთ ამერიკის მეორე გამოჩენილი პოეტი ჟორჟი ამადუ. იგი სოციალიზმის ქვეყანას სიტხვისა და თავისუფლების, სიხარულისა და ბედნიერების სამშობლოს უწოდებს. წიგნში „ლუის კარლოს პრესტესი" ამადუ წერდა: „საბჭოთა კავშირი — ეს მსოფლიოს მშრომელების სიმბოლოა. ესაა პოეტების ოცნება. რომელიც მუშებმა და გლეხებმა ლამაზ სინამდვილედ აქციეს. იქ დიდიხანია გათავდა წყვდიადისებური ღამე და ქვეყანაზე უქრობი მზე ამობრწყინდა. ამ მზიური ცხოვრების შემოქმედის სახელია ვ. ულიანოვი, მისი საბრძოლო სახელი — ვ. ლენინი. ეს სახელი დაჰქროდა მთელ რუსეთში.

როგორც გამაცოცხლებელი იმედის ქარიშხალი".

ლენინის, როგორც სახალხო გმირის, უკვდავ მხატვრულ სახეს ქმნის ვენესუელელი პოეტი კარლოს ავგუსტო ლეონი. ერთ-ერთ ლექსში იგი წერს, რომ ვ. ი. ლენინის სიბრძნე დღესაც გზას უნათებსო თავისუფლების მებრძოლთა არმიას, და ოცნებობს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, იქ ლენინური იდეების გამარჯვებაზე. მიმართავს რა ლენინს, ლეონი წერს:

ჰა, არ გძინავს, შენ ცოცხალი ხარ,
მავზოლეუმში შენ ისმენ ახლაც,
თუ როგორ დრტვინავს კიდიდან კიდით
ალშფოთებულთა მრისხანე ტალღა.
ლენინ! შენ მუდამ იცოცხლებ ხალხში,
ჩემი ქვეყანაც შვებას მოელის...
შაჰს გეძახის რუსი, ქართველი,
ფრანგი, ჩინელი თუ ინდოელი.

(თარგმანი ა. მირცხულავასი)

ამავე ლექსში ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის, როგორც ადამიანის, უბრალოება, მისი ღრმა კავშირი მუშებთან, მებრძოლ პროლეტარიატთან.

ლენინის დიადი მოძღვრება ჩაუქრობელი შუქურაა, კაცობრიობის ნათელი ხვალინდელი დღეა. ლენინი სიმართლის გამარჯვებაა, მრავალი მილიონი დაჩაგრული ადამიანის იმედი და საფიცარია მთელ მსოფლიოში, დედამიწის ყველა კუთხეში. არგენტინელი პოეტი გონსალეს ტუნიონი ლენინში ხედავს მშვიდობის მხსნელსა და გადამრჩენელს, „ომის დაღუპვის გარანტიას", ცოცხალ და შთამაგონებელ ძალას მშვიდობისა და სიმართლისათვის ბრძოლაში.

ლენინ, მშვიდობის ხარ გადარჩენა
და ომისათვის — ძალა რისხვისა.
შენ ხალხს უყვარხარ განუზომელად
და კვლავ უნათებ ჩაგრულთ წინსვლის
გზას.
ჩვენთვის როდი ხარ უსულო ძეგლი,
შენით ვდღეგრძელობთ, ვიბრძვით და
ვსწავლობთ.
ხალხთა მფარველო, მრჩეველო, ბრძენო,
ელადიმერ ლენინ — დიადო ძმაო!

(თარგმანი ს. მეტრეველისა)

მრავალმხრივ საინტერესოა ტუნიონის პოემა „მე მჯერა", რომელშიც იგი მკაფიოდ აყალიბებს თავის იდეურ-პოლიტიკურ კრედოს და გამოთქვამს კომუნისტური მყობადის ურყევ რწმენას. „მე მწამს ბრძოლა — უდიდეს გარდატეხათა დედა, მწამს, რომ დამყარდება ახალი, ბრწყინვალეებათა და საოცრებათა სიმდერით აღსავსე სამყარო, საღაც სილატაკე და ომი-ვრობა არ იქნება ცხოვრების მუდმივი ფატალური". აქვე იგი სიამაყის გრძნობით ეუბნება:

ვარეხარ შენ, — ვეუბნები მე ჩემს სამშობლო
სარმენტოს; და ლენინს სამშობლოსაც ვეუბნები მე: „მიყვარხარ, მიყვარხარ შენ!"

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მოწინავე პოეტებიც ასეთივე ძლიერი მხატვრული ექსპრესიით გამოხატავენ დამონებული ხალხების გულისთქმას, მათს მებრძოლ განწყობილებას და იდეალებს. თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს ისინი მიუძღვნიან სწორედ იმ ადამიანს, რომლის სახელთანაც განუყრელად დაკავშირებულია მშრომელთა მასების ფიქრები და მისწრაფებანი მომავალი ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების შესახებ. — ვ. ი. ლენინს.

მექსიკელი პოეტი მუნიოს კოტა წერს:

შენს დიდ სკოლაში აღვიზარდენით,
მომავლისაკენ მიგყავართ ლაღად,
ვით ჩირაღდანი — გვიძღვი ნათელი
და სიყვარულით ჩვენს გულებს აღვებ...
ო, ლენინ, ხმები მილიონების
მავზოლეუმთან მოგესალმება.

(თარგმანი შ. ნიჟარაძისა)

ვ. ი. ლენინის მხატვრულ სახეს დიდი სიყვარულით აქანდაკებენ აგრეთვე ფრანგი, ამერიკელი, იტალიელი და მსოფლიოს ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე პოეტები. ისინი გატაცებით უმღერიან იმ დროს, როცა ლენინური იდეები მათს სამშობლოშიც გაიმარჯვებენ, როდესაც მათი სამშობლოც დაადგება ახალი ცხოვრების გზას.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში კი, საღაც უკვე გაიმარჯვეს ხალხებმა და ძალაუფლება თავიანთ ხელში აიღეს, არ არის პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში ფართო ადგილს არ უთმობდეს ვ. ი. ლენინს, როგორც კაცობრიობის გზაფხულის შემქმნელს, ახალი ცხოვრების ხუროთმოძღვარს, და ყველაზე გულითადი სიტყვებით არ მიმართავდეს მას, არ გამოთქვამდეს უღრმეს მადლობას ლენინისა და მის მიერ შექმნილ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისადმი იმ ძმური დახმარებისათვის, რასაც იგი უწევდა და უწევს მათი სამშობლოს ხალხებს სოციალიზმის დამკვიდრებაში. ვ. ი. ლენინი მილიონთა საბრძოლო დროშა, იმედი და სიხარული, ხვალინდელი ნათელი დღის გათენებაა.

კარლო ღოღიძე

ვ. ი. ლენინი—კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი და გელადი

ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დამსახურება მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის წინაშე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მან მოამზადა და გამოჭედა რევოლუციონერთა მებრძოლი ორგანიზაცია, შექმნა მარქსისტული პროლეტარული პარტია. ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე იგი ხაზგასმით წერდა:

„ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძლიერებით აღმართულია მტრის ციხე-სიმაგრე, საიდანაც ყუმბარებსა და ტყვიებს სეტყვასავით გვაყრიან, რაც ხელიდან გვაცლის საუკეთესო მებრძოლთ. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ, და ავიღებთ კიდევაც. თუ გამოღვიძებული პროლეტარიატის მთელ ძალებს შევაერთებთ რუს რევოლუციონერთა მთელ ძალებთან ერთ პარტიად, რომლისკენაც გაეშურება ყოველივე, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია რუსეთში. და მხოლოდ მაშინ აღსრულდება რუსი მუშა-რევოლუციონერის პეტრე ალექსეევის დიადი წინასწარმეტყველება: „აღიმართება მილიონობით მუშა ხალხის აარღვმაგარი ხელი, და ჯარისკაცთა ხიშტებით დაცული დესპოტიზმის უღელი გაცამტვერდება!“ (თხზ., ტ. 4, გვ. 456).

პირველი ნაბიჯი ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნის გზაზე გადადგა ვ. ი. ლენინმა, როცა 1895 წლის დამლევს პეტერბურგის ყველა მარქსისტული მუშათა წრე გააერთიანა სოციალ-დემოკრატიულ არალეგალურ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“.

„მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ რუსეთის რევოლუციური პროლეტარული პარტიის პირველი სერიოზული ჩანასახი იყო. იგი ხელმძღვანელობდა გაფიცვებს, უშვებდა საagიტაციო ფურცლებს, აწყობდა მუშათა კრებებს, ასწავლიდა მუშებს როგორ დაეკავშირებინათ ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურ ბრძოლასთან და ა. შ. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ რუსეთში პირველი შეუდგა მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთებას.

„ბრძოლის კავშირმა“ გამოსაცემად მოამზადა თავისი ორგანოს — არალეგალურ გაზეთ „რაბოჩეე დელოს“ პირველი ნომერი. ვ. ი. ლენინმა დაწერა რამდენიმე სტატია, მაგრამ გაზეთის გამოცემა არ მოხერხდა. 1895 წლის 20 დეკემბერს ღამით დააპატიმრეს კავშირის ხელმძღვანელობა ვ. ი. ლენინის მეთაურობით, აგრეთვე კავშირის ორმოცამდე აქტიური მუშაკი. ამასთან პოლიციამ კონფისკაცია უყო გაზეთ „რაბოჩეე დელოს“ პირველი ნომრის დასაბეჭდად გამზადებულ მასალებს.

მიუხედავად „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელთა დაპატიმრებისა, პოლიციამ ვერ შეძლო მისი მუშაობის შეჩერება. ვ. ი. ლენინმა საპყრობილიდან დაამყარა ურთიერთობა კავშირის დანარჩენ წევრებთან, ეხმარებოდა მათ, აძლევდა კონკრეტულ მითითებებს, წერდა ფურცლებს, ადგენდა პარტიის პროგრამის პროექტს.

ვ. ი. ლენინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების დაპატიმრების შემდეგ „ბრძოლის კავშირი“ განაგრძობდა თავის საქმიანობას, ხელმძღვანელობდა მუშათა საგაფიცვო მოძრაობას, მაგრამ თანდათანობით მისი შემადგენლო-

ბა შეიცვალა. გამოჩნდნენ ახალი პირები, რომლებიც თავიანთ თავს „ახალგაზრდებს“ უწოდებდნენ და ილაშქრებდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნის წინააღმდეგ, სტიქიურ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის წინააღმდეგ. ისინი მუშებს მოუწოდებდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლით. პოლიტიკური ბრძოლა, ეს ლიბერალების საქმეაო, ამბობდნენ ისინი. ამგვარ შეხედულებათა მომხრეებს შემდეგ „ეკონომისტები“ უწოდეს. ეს იყო პირველი ოპორტუნისტული ჯგუფი რუსეთის მუშათა მარქსისტული ორგანიზაციის რიგებში. „ეკონომისტები“ ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ ლიბერალური ბურჟუაზიისათვის. ისინი ემყარებოდნენ რუსეთში „ლეგალური მარქსისტებისა“ და დასავლეთში რეფორმისტების იდეებს.

პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაზე მთელ რუსეთში. იგი ხელს უწყობდა მუშათა წრეების ასეთსავე კავშირებად გაერთიანებას სხვა ადგილებშიც. მისი გავლენით სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და მარქსისტული ორგანიზაციები შეიქმნა მოსკოვში, ამიერკავკასიაში, ციმბირში, ივანოვო-ვოზნესენსკში, იაროსლავლში, კოსტრომაში, ვლადიმირში, დონის როსტოვში, რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებსა და განაპირა მხარეებში.

დღის წესრიგში დადგა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ პარტიად გაერთიანების საკითხი. ამ მიზნით მინსკში 1898 წლის 1-3 მარტს ფარულად გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელსაც პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და ეკატერინოსლავის „ბრძოლის კავშირების“, ბუნდისა და კიევის „რაბოჩაია გაზეტას“ ჯგუფის ცხრა წარმომადგენელი ესწრებოდა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ შექმნის შესახებ და აირჩია ცენტრალური კომიტეტი, რასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ფაქტიურად პარტია არ შექმნილა, რადგან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ მოქმედების ერთიანი პროგრამა, წესდება და ტაქტიკა. მალე პოლიციამ დააპატიმრა ცენტრალური კომიტეტის ახლად არჩეული ორი წევრი სამიდან და ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დარჩა ერთიანი ხელმძღვანელობისა და იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობის გარეშე.

საჭირო გახდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი გაზეთ „ისკრისა“ და რუს რევოლუციონერთა რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობა, რათა დაეძლიათ უთანხმოება მუშათა მოძრაობის შიგნით მოქმედ ოპორტუნისტულ ჯგუფებთან და მოემზადებინათ პროლეტარიატის მებრძოლი პარტიის შექმნა.

ქმნიდა რა ახალი ტიპის პარტიას, ვ. ი. ლენინმა არა მარტო ააღორძინა, არამედ შემდგომ განავითარა მარქსისა და ენგელსის იდეები პარტიის შესახებ. მან შექმნა მთლიანი მოძღვრება პროლეტარიატის პარტიაზე. ამავე დროს ნაროდნიკების, „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“, წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ იდეურ ბრძოლაში ვ. ი. ლენინი დაუცხრომელ პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა მარქსისტული პარტიის შესაქმნელად.

დიდი ლენინის ეს ჭეშმარიტად ტიტანური ბრძოლა რუსეთის რევოლუციური მუშათა პარტიის შესაქმნელად წარმატებით დაგვირგვინდა რსდმპ მეორე ყრილობაზე, რომელიც 1903 წლის 30 ივლისიდან 23 აგვისტომდე მიმდინარეობდა.

მუშათა კლასის პარტიის რევოლუციური პროგრამა, რომელიც რსდმპ მეორე ყრილობამ მიიღო, გამოხატავდა პროლეტარიატის როგორც უახლოეს ამოცანებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე, ისე ძირითად ამოცანებსაც, რომლებიც ნავარაუდევი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინის ბრძოლამ ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ პროგრამული და ორგანიზაციული საკითხების გამო მეორე ყრილობაზე ზღვარი გაავლო რსდმპ რევოლუციურ ნაწილს — ბოლშევიკებსა და ოპორტუნისტულ ნაწილს — მენშევიკებს შორის.

ვ. ი. ლენინის შეურიგებელი ბრძოლა მარქსიზმისადმი მტრული მენშევიკური იდეოლოგიური და ორგანიზაციული დებულებების წინააღმდეგ და მათი ულმობელი მხილება უძლიერესი ლახვარი იყო მთელი საერთაშორისო ოპორტუნიზმისათვის. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის ყველა ქვეყანაში.

ოპორტუნისტებთან ბრძოლაში ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აშენებდნენ რევოლუციურ-მარქსისტულ პარტიას, ძლიერს თავისი ერთიანობით, რკინისებური დისციპლინით, მშრომელი ხალხის მტრებისადმი შეურიგებლობით, პარტიას, რომელსაც უნარი ჰქონდა მძლავრ რევოლუციურ არმიად დაერაზმა ხალხის მასები.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია არის ახალი ტიპის პარტია. ძველი ტიპის, რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქადაგებდნენ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის

შეთანხმებისა და შერიგების პოლიტიკას, კომუნისტური პარტია გამოხატავს პროლეტარიატის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს.

სწორედ ასეთი მებრძოლი მარქსისტული პარტიის ხელმძღვანელობით ირაზმებოდა რუსეთის პროლეტარიატი 1905–1907 წლების რევოლუციის პერიოდში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საიერიშოდ. ბოლშევიკური პარტია გამოდიოდა როგორც მუშათა კლასის მოწინავე და ორგანიზებული რაზმი, როგორც მისი პოლიტიკური ბელადი.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ცხადყო, რომ თუ არა მარქსისტული პარტია, პროლეტარიატი ვერ შეასრულებდა თავის ისტორიულ როლს ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნასა და ძალთა შემდგომ გადაჯგუფებაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის.

პროლეტარიატის ჰეგემონიამ განაპირობა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წარმატება 1917 წლის თებერვალში, მაგრამ მუშათა კლასი როდი დასჯერდა უკვე მოპოვებულს და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მედგარი ბრძოლა გააჩაღა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუციის დიდი გენიის ვ. ი. ლენინის მეთაურობით რუსეთის პროლეტარიატმა ღარიბ გლეხობასთან მჭიდრო კავშირით, ჯარისკაცებისა და მატროსების მხარდაჭერით უზრუნველყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რითაც კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალისტური წყობილების ნგრევის ერა, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა.

გაიმარჯვა თუ არა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა მოწინავე სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნას — კოლექტივიზაციას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას. ამ ისტორიული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა დიდი ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას. თავისი მოწინავე რაზმი—პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება არა მარტო ძალაუფლების მოსაპოვებლად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, არამედ კიდევ უფრო მეტად იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება, განამტკიცოს იგი სრული კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების მოსაპოვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად იქცა, მას დაეკისრა სრული პასუხისმგებლობა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის უზრუნველსაყოფად მშრომელთა ხელმძღვანელობისა და დარაზმვის საქმეში. „ჩვენ, ბოლშევიკების პარტიამ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რუსეთი დ ა ვ ა რ წ მ უ ნ ე თ, რუსეთი ჩვენ ბრძოლით წავართვით მდიდრებს ღარიბებისათვის, ექსპლოატატორებს — მშრომელთათვის. ახლა ჩვენ რუსეთი უნდა ვ მ ა რ თ ო თ“ (თხზ., ტ. 27, გვ. 283).

ჩვენი ქვეყნის მშრომელები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ კომუნისტური პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც თანმიმდევრულად და ბოლომდე იბრძვის ხალხის ძირეული სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ყველა მშრომელის ბედნიერებისათვის. ამიტომაც, ბუნებრივია, ხალხმა თავისი არჩევანი შეაჩერა კომუნისტურ პარტიაზე და სრული ნებაყოფლობით მთლიანად მიანდო მას თავისი ბედიღბალი. პარტიამ, თავის მხრივ, ბრწყინვალედ გაართვა თავი მის წინაშე მდგომ ამოცანებს და მთლიანად გაამართლა ხალხის იმედი.

„... მხოლოდ იმის წყალობით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი პარტიის IX ყრილობაზე, — რომ პარტია ფიზიზლად იდგა სადარაჯოზე, რომ პარტია უაღრესად მკაცრად იყო დისციპლინირებული, და იმიტომ, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთიანებდა ყველა უწყებასა და დაწესებულებას, და იმ ლოზუნგს, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გადმოისროლა, როგორც ერთი კაცი მიჰყვებოდნენ ათეულნი, ასეულნი, ათასეულნი და საბოლოო ანგარიშით მილიონები, და მხოლოდ იმიტომ, რომ გაუგონარი მსხვერპლი იქნა გაღებული, — მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, რომელიც მოხდა. მხოლოდ ამიტომაა, რომ მიუხედავად ანტანტის იმპერიალისტებისა და მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების ორგზის, სამგზის და ოთხგზის გამოლაშქრებისა, შევძელით გაგვემარჯვა“ (თხზ., ტ. 30, გვ. 539).

ეყრდნობოდა რა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ჭეშმარიტ ცოდნას, კომუნისტური პარტია გაბედულად გაუძღვა წინ საბჭოთა ხალხს სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა წყობილებამ ძველი წყობილებიდან მემ-

კვიდრეობით მიიღო ნახევრად ღატაკი, ეკონომიურად, ტექნიკურად, პოლიტიკურად, კულტურულად უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანა მრავწყლობის ცალკეული კერებით, წვრილი გლეხური მეურნეობებით, — მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველსმძლე მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია არ შეუშინდა სიძნელეებს და მტკიცედ წაიყვანა საბჭოთა ხალხი კომუნისტური მშენებლობის გზით. მან დაარწმუნა მშრომელთა ფართო მასები თავისი გენერალური ხაზის სისწორეში და დარაზმა ისინი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით აღადგინა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობა, განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გრანდიოზული პროგრამა და უმოკლეს ისტორიულ დროში ჩვენი სამშობლო გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად, ჩააყენა მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში, გახადა იგი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბასტიონად.

ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ გატეხა მტრების წინააღმდეგობა, გაანადგურა კაპიტალიზმის ტროცკისტულ-ბუხარინული რესტავრატორები, გადალახა ჩამორჩენილ და სულმოკლე ადამიანთა მერყეობა და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება. სოციალიზმის გამარჯვებამ ულრმესი რევოლუციური გადატრიალება გამოიწვია ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

დიდი სამამულო ომი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოადგენდა საბჭოთა წყობილების, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორის მკაცრ შემოწმებას. მძიმე გასაცდელის ჟამს მშობლიური კომუნისტური პარტია კელავ წარსდგა მსოფლიოს წინაშე როგორც საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მან უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის გამარჯვება დიდ სამამულო ომში, საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ უდიდესი ცვლილებები გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზზე. გაძლიერდა და განმტკიცდა სოციალიზმისა და დემოკრატიის პოზიციები, შესუსტდა იმპერიალისტური ბანაკის პოზიციები. სახალხო რევოლუციების გამარჯვების შედეგად კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდნენ ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი ასზე მეტი წლის წინ წერდნენ: „აჩრდილი დაძრწის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“, ახლა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უკვე მესამედზე მეტი დაადგა სოციალიზმის გზას და აშენებს ახალ ცხოვრებას.

ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული ძირეული მობრუნება კაცობრიობის ისტორიაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, მსოფლიოს მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის უჩვეულო აღმავლობა, მშრომელთა მასების სანუკვარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება ლენინური იდეების უდიდესი ზეიმია. ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანა ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონე, შემდგომ განამტკიცოს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, აღზარდოს საბჭოთა ადამიანები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. დაუშრეტელია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი.

მტკიცედ მიდის რა ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც შემოქმედებითად აკითარებს და ახორციელებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, უკანასკნელ წლებში მიაღწია ახალ წარმატებებს — საბჭოთა ქვეყანა გახდა კიდევ უფრო მძლავრი, განუზომლად ამაღლდა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. გაიზარდა სოციალიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის მიმზიდველობითი ძალა. საბჭოთა მეცნიერების უდიდესმა წარმატებებმა ფიზიკისა და ატომური ენერგეტიკის, რეაქტიული ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის დარგში შემდგომ აამაღლა ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი, ცხადყო საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენია. საბჭოთა კავშირში აშენდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური და ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“, პირველად განხორციელდა დედამიწისა და მზის თანამგზავრების, საპლანეტთაშორისო ავტომატური სადგურის გაშვება და მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათის გადაღება. ეს ჩვენი მეცნიერების, ჩვენი ხალხის

უდიდესი გამარჯვებაა, რაც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალ დონეს, სოციალისტური წყობილების აშკარა უპირატესობას მოწმობს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში უკანასკნელი წლების მანძილზე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობები.

პარტიის XX ყრილობამ, რომლის ისტორიული გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, საბჭოთა ხალხი შეაიარაღა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მარქსისტული ანალიზით, მსოფლიო მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივების სწორი გაგებით. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ეპოქის მთავარი ნიშანი ის არის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში ახალი წვლილი შეიტანა პარტიის XXI ყრილობამ. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ღრმა მეცნიერული გაშუქება ჰპოვა საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესმა პრობლემებმა თანამედროვე ეტაპზე. მათ შორის უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის კანონზომიერებანი, საკოლმეურნეო საკუთრების და საერთო-სახალხო სოციალისტური საკუთრების განვითარებისა და დაახლოების გზები, საზოგადოების წევრთა შორის მატერიალური დოვლათის განაწილება, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელმწიფოებრივი წყობილება და მმართველობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და სხვ.

ყრილობამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირში სოციალიზმმა გაიმარჯვა არა მარტო მთლიანად, არამედ საბოლოოდაც. საბჭოთა ქვეყანა შეეიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ განსაზღვრეს პარტიისა და ხალხის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და აღაფრთოვანეს მშრომელი მასები ახალი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის: ამას მოწმობს ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ საბჭოთა ხალხმა ჯერადან, წარმატებით დაიწყო შვიდწლედი. გადაჭარბებით შესრულდა 1959 წლის გეგმები. გასულ წელს მარტო გეგმის ზევით გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ოდენობა აღემატება რევოლუციამდელი რუსეთის მთელი წლის სამრეწველო პროდუქციას. 1959 წელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილ ... ონი ტონა ფოლადი, ე. ი. დაახლოებით იმდენი, რამდენიც ინგლისში, საფრანგეთში და დასავლეთ გერმანიაში ერთად. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტისა გაიზარდა 11 პროცენტით. თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებული ეს წარმატებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში იმის გარანტიაა, რომ შვიდწლიანი გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდება.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და წარმართავს საბჭოთა ხალხს, რომ გადადგას ვადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, უზრუნველყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება, მიაღწიოს კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან შეჯიბრებაში დროის მაქსიმალურ მოგებას, განუხრელად გაუმჯობესოს მშრომელთა კეთილდღეობა. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალების შემდგომ მძლავრ განვითარებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას და მისი ახალ-ახალი ფორმების გავრცელებას. ვალენტინა გაგანოვას, რომელსაც მრავალი მიმდევარი გაუჩნდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის აჭარაშიც, და წარმოების სხვა მრავალ ნოვატორთა შესანიშნავი შრომითი გმირობა მოწმობს, რომ კომუნიზმის ცოცხალი ყლორტები სულ უფრო მძლავრად ისახებიან მშრომელთა შრომასა და ყოფაცხოვრებაში. კომუნიზმისათვის ბრძოლა გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური შეგნებული საქმე.

სოციალიზმმა დაამტკიცა, რომ მას, როგორც საზოგადოებრივ სისტემას, დიდი უპირატესობა აქვს კაპიტალიზმის წინაშე. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და სხვა სოციალ-დემოკრატიული ქვეყნების მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის დიად ცხოველმყოფელობას.

იმპერიალიზმის იდეოლოგები და მათი ლაქიები მემარჯვენე სოციალისტებისა და რევიზიონისტების სახით ამაოდ ცდილობენ შეალამაზონ კაპიტალიზმი, უწოდებენ რა მას „სახალხოს“, „ჰუმანურს“. მაგრამ კაპიტალიზმი, როგორც სისტემა, განწირულია დასაღუპავად და მისი

•დეოლოგების ვერავითარი ცდა ვერ შეაჩერებს •ისტორიის მსვლელობას. მომავალი ეკუთვნის კომუნიზმს.

მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებს, მიუხედავად მათი ეროვნებისა და პოლიტიკური შეხედულებისა, სარწმუნოებისა და კანის ფერისა, სურთ მშვიდობით იცხოვრონ. კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირებმა, რომლებიც 1957 წლის ნოემბერში გაიმართა, ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ აურაცხელია მშვიდობის ძალები. მშვიდობისათვის იბრძვიან არა მარტო საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები, არა მარტო ის ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალისტური ჩაგვრის უღელს, და კოლონიური ქვეყნები, არამედ თვით კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელებიც.

„ამ მძლავრი ძალების გაერთიანებას, — ნათქვამია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში, — შეუძლია თავიდან აგვაცილოს ომის ატეხა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტი აგრესორი მანიაკები გაბედავენ, მიუხედავად ყველაფრისა, გაიჩაღონ ომი, იმპერიალიზმი დაღუპვას განუმზადებს თავისთავს, რადგან ხალხები ვეღარ მოითმენენ წყობილებას, რომელსაც მათთვის ესოდენ მძიმე ტანჯვა და მსხვერპლი მოაქვს“.

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. ავითარებს და ახორციელებს რა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, კომუნისტური პარტია განუხრელად ატარებს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ სახელმწიფოთა, ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობისა და [illegible]ნამშრომლობის განმტკიცებას, [illegible] მუშათა მოძრაობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის მჭიდროდ შეკავშირებას, მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება კომუნისტური და მუშათა პარტიების ავტორიტეტი, მათი რევოლუციური ბრძოლისუნარიანობა. კომუნისტური მოძრაობა უდიდესი ძალა გახდა. თუ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მარტო ჩვენს ქვეყანაში იყო კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში მხოლოდ რამდენიმე ათას წევრს აერთიანებდა, პარტიის XXI ყრილობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში რვა მილიონ 239 ათასი წევრი და კანდიდატი ითვლებოდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა კომუნისტური პარტიები, რომლებიც მუშათა კლასის მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. ამჟამად მსოფლიოში 83 კომუნისტური და მუშათა პარტია არსებობს, რომლებიც 33 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ.

საბჭოთა ხალხმა ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია იმის მეოხებით, რომ მისი ბელადი და წარმმართველი ძალა არის კომუნისტური პარტია, რომელიც მთელ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით, რომ იგი მტკიცედ მიდის წინ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

ზაბიღო ართიღაყვა

ვ. ი. ლენინი მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ

არსებობის პირველივე დღეებიდან საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას საფუძვლად დაედო სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც პირველად ჩამოაყალიბა და თეორიულად დაასაბუთა ვ. ი. ლენინმა. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინმა კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის ღრმა ანალიზის მეოხებით აღმოაჩინა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო განვითარების კანონი და მის საფუძველზე მეცნიერულად დაასაბუთა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. უკვე აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს სხვადასხვა სოციალური სისტემის ერთდროულად არსებობის გარდუვალობა. რაკი სოციალიზმი გაიმარჯვებს ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, მაშასადამე, სოციალისტური ქვეყანა თუ ქვეყნები გარკვეული ისტორიული პერიოდის მანძილზე იარსებებენ კაპიტალისტური ქვეყნების გვერდით, შეეცდებიან ერთმანეთთან დაამყარონ დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიური და სხვა ურთიერთობანი.

ეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც სოციალისტური და ვერც კაპიტალისტური სახელმწიფო. აკრიტიკებდა რა ე. წ. „მემარცხენე" კომუნისტებს, რომლებიც უარყოფდნენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმებისა და ურთიერთობის აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ თუ „კაპიტალისტურ გარემოცვაში მოქცეული" სოციალისტური რესპუბლიკა უარს იტყოდა კაპიტალისტურ სისტემასთან ურთიერთობაზე, მაშინ „იგი ვერ იარსებებდა, თუ მთვარეზე არ გაფრინდებოდა" (თხზ., ტ. 27, გვ. 66). ამიტომ ვ. ი. ლენინი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მზად არის დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანასთან. ეხებოდა რა საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებას ინგლის-საფრანგეთთან, 1922 წლის ნოემბერში იგი წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სავსებით შესაძლებელია სრულიად მეგობრული ურთიერთობის დამყარება ორივე სახელმწიფოსთან, და ჩვენი მიზანიც ეს არის" (თხზ., ტ. 33, გვ. 452-453). ასევე შესაძლებლად მიაჩნდა ვ. ი. ლენინს მეგობრული ურთიერთობის დამყარება ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ყველა სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან. რუსეთი, ამბობდა იგი. „რასაკვირველია, მზად არის, ისე როგორც ყველა ქვეყანასთან", (თხზ., ტ. 30, გვ. 442) საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ამერიკასთანაც.

მეორე მხრივ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, კაპიტალისტური ქვეყნები, სურთ თუ არა ეს, გვერდს ვერ აუვლიან საბჭოთა რესპუბლიკასთან ურთიერთობას. „არსებობს უფრო ძლიერი ძალა, — ამბობდა დიდი ლენინი, — ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილებაა, ეს ძალაა — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ (კაპიტალის-

ტურ ქვეყნებს — ზ. ა.) დაადგნენ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას“ (თხზ., ტ. 33. გვ. 170). და, მართლაც, ისინი იძულებული გახდნენ დასდგომოდნენ ამ გზას. საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირურთიერთობის გზას და ორი სხვადასხვა სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა რეალური ფაქტი გახდა.

ვ. ი. ლენინმა პირველმა წამოაყენა აგრეთვე დებულება ორი სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ორივე სისტემის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებას, თავდაუსხმელობას და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. არა ომი, არამედ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება — აი რით უნდა ეხელმძღვანელობდეთ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სჯერათ, რომ ასეთი შეჯიბრება სასარგებლოა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, რადგან უამრავი თანხა, რომელიც ახლა გამალებულ შეიარაღებაზე იხარჯება, დაიზოგება და შესამჩნევად ამაღლდება ხალხთა საარსებო დონე. მათ მტკიცედ სჯერათ აგრეთვე, რომ ორი სისტემის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს სოციალისტური სისტემა, როგორც პროგრესული და მოწინავე სისტემა, რომელიც ადამიანებს უქმნის შემოქმედებითი შრომის ყველა პირობას. „... მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ შეგვიძლია გმირობისა და გამარჯვების კიდევ უფრო მეტი სასწაულის მოხდენა, ვიდრე ექსპლოატატორების წინააღმდეგ გამართული ომის ასპარეზზე!“ (თხზ., ტ. 30, გვ. 418).

საბჭოთა ხალხს არ ესაჭიროება და არ სურს ომი. პირიქით, იგი ომის ყველაზე თანმიმდევრული მოწინააღმდეგეა და დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მთელ მსოფლიოში. ჩვენში არ არიან ისეთი კლასები, რომლებსაც ომი აინტერესებდეთ და მისგან მატერიალურ ან სხვა რაიმე სარგებელს მოელოდნენ. ყველა საბჭოთა ადამიანს ესმის, რომ ომი ხელს შეგვიშლის კომუნიზმის აშენებაში, ხოლო მშვიდობა, პირიქით, ხელს შეგვიწყობს ჩვენი დიადი მიზნის განხორციელებაში. ხაზს უსვამდა რა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, დიდი ლენინი ამბობდა: „...მთელი ჩვენი პოლიტიკა და პროპაგანდა მიმართულია სრულიადაც არა იქითკენ, რომ ხალხებს საომრად წავუსისიანთ, არამედ იქითკენ, რომ ომს ბოლო მოვუღოთ“ (თხზ., ტ. 31, გვ. 576). ბოლო მოვუღოთ ომს, დავამყაროთ მტკიცე და სანგრძლივი მშვიდობა — აი რა სურთ და რისკენ ისწრაფვიან საბჭოთა კავშირის ხალხები. მთელი სოციალისტური სისტემის ხალხებმა ეს ეი ეიხსნა, რომ სსრ კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა მილიონობით ადამიანის მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებლობს დედამიწის ყველა კუთხეში.

სკკპ XXI ყრილობამ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხი უაღრესად ერთგულია ლენინური საგარეო პოლიტიკისა, რომლის ქვაკუთხედია სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. განსაზღვრა რა ჩვენი ქვეყნის ამოცანები საგარეო პოლიტიკის დარგში, ყრილობამ დაადგინა კვლავაც თანმიმდევრულად განხორციელდეს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ მიმართული საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე, „ცივი ომის“ შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსი. საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებს სწორედ ასეთ პოლიტიკას, რაც აღაფრთოვანებს კაცობრიობის მთელ პროგრესულ ძალებს ომის გაჩაღების წინააღმდეგ, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. სწორედ მისი ღონისძიებების შედეგად მიღწეულია საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ხალხთა მასების უდიდეს ორგანიზებულ ბრძოლას მშვიდობისათვის, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისადმი მათ მხარდაჭერას, იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობს და ჩქარი ტემპით ვითარდება სოციალისტური სისტემა, რომელიც მსოფლიოს აცვიფრებს არნახული წარმატებებით როგორც ყველა დარგში, ისე კერძოდ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგშიც. ყველაფერი ეს აიძულებს დასავლეთის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც რეალისტურად აფასებენ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, სულ უფრო და უფრო გადაიხარონ ისეთი საგარეო-პოლიტიკური კურსისაკენ, რომელიც აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებიდან.

უკვე დაიწყო მოლაპარაკება საყოველთაო, სრული და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების შესახებ, რაც სსრ კავშირის სახელით მოითხოვა საბჭოთა კავშირის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს. ამხანაგ

ხრუშჩოვის ამ წინადადებას, როგორც ცნობილია, მილიონობით უბრალო ადამიანმა დაუჭირა მხარი მსოფლიოს ყველა კუთხეში. ასევე მოიწონეს მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილება ჩვენი შეიარაღებული ძალების 1.200 ათასი კაცით შემცირების შესახებ. როგორც უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი განიარაღებას განიხილავს არა ძალის პოლიტიკის, არამედ გონების პოზიციიდან.

„ჩვენ თანახმა ვართ შევამციროთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, — ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, — იმიტომ, რომ არა გვსურს ომი, იმიტომ, რომ არავისზე არ ვაპირებთ თავდასხმას, არა გვსურს ვისმეს დავემუქროთ და არა გვაქვს არავითარი დამპყრობლური მიზნები. დღეს გაბერილი არმიები, ისე როგორც თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შორს წინწაწეული სამხედრო ბაზები, განკუთვნილია თავდასხმისათვის, ხოლო თავდაცვისათვის ისინი საჭირონი არ არიან. როცა ჩვენ ვამცირებთ შეიარაღებული ძალების რიცხვს, ამით ცხადვყოფთ, რომ ჩვენს ქვეყანას უაღრესად მშვიდობიანი განზრახვები აქვს და არა აგრესიული. ხომ არც ერთი ქვეყანა, რომელიც აპირებს თავს დაესხას სხვა ქვეყანას ან ქვეყნების ჯგუფს, არ დათანხმდება თავისი შეიარაღებული ძალების ცალმხრივ შემცირებაზე, რამდენადაც თავდასხმისათვის მოუხდებოდა არა მარტო გამოეყენებინა თავისი ცეცხლითი ძლიერება, მათ შორის ატომგულის იარაღი და რაკეტული ტექნიკა, არამედ აგრეთვე დასჭირდებოდა გაედიდებინა არმიის რიცხვი" (გაზ. „კომუნისტი", 15 იანვარი, 1960 წ.).

საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა, ცალმხრივი წესით მიღებული ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ და კვლავაც მოახდენენ საერთაშორისო ვითარებაზე. ახლა სრული რწმენით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენს დროში არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ არ დავუშვათ ომი, გამოვიცხოთ იგი საზოგადოების ცხოვრებიდან.

საბჭოთა მთავრობა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობათა მეთაურების ურთიერთ ვიზიტებს. როგორც ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, გზას იკაფავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებსაც დიდი ხანია და მტკიცედ მოითხოვდა საბჭოთა მთავრობა და როგორიც არის მოლაპარაკება მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებზე, სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტების გაცვლა, ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა, კონტაქტები კულტურისა და მეცნიერების დარგში. კერძოდ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც 1959 წლის სექტემბერში განხორციელდა. ამ ისტორიულმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიპყრო მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება და ხალხებმა მას სამართლიანად უწოდეს მშვიდობისა და მეგობრობის დიადი მისია. ძნელია აგრეთვე გადაჭარბებით შეავფასოთ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტების მნიშვნელობა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსა და საფრანგეთში. ამხანაგ ხრუშჩოვის მოგზაურობა საფრანგეთში გადაიჭცა საბჭოთა და ფრანგი ხალხების შეგობრობის დემონსტრაციად და უდიდესი წვლილი შეიტანა მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ამ უკანასკნელ ხანებში მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკას. ადენაუერი, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც ცდილობს შეაჩეროს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი. დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო იგრძნობა მიდრეკილება გაამართლონ პირსისხლიანი ჰიტლერული რეჟიმი. ადენაუერს, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნა არ გამოუტანია იმ გაკვეთილებიდან, რომლებიც გერმანელმა ფაშისტებმა მეორე მსოფლიო ომში მიიღეს. და თუ მშვიდობისმოყვარე ძალებმა არ აღკვეთეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის საშიში პოლიტიკა, ამან შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები. საქმე ის არის, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულ-რევანშისტულმა წრეებმა ფრთები შეისხეს: დაწესდა საკალდებულო სამხედრო სამსახური, შემუშავდა მომავალი შეიარაღებული ძალების საორიენტაციო სტრუქტურა. შეარჩიეს სამხედრო-საჰაერო ძალები 80 ათასი კაცის რაოდენობით, სათანადო საბრძოლო თვითმფრინავებით. 15-მდე დივიზია მზადყოფნაში იმყოფება, სამობილიზაციო შესაძლებლობანი კი 9 მილიონ კაცს აღემატება. ამას გარდა, დასავლეთ გერმანია ნატოს მთავარი **საატომო და სარაკეტო** პლაცდარმია, მიტერიტორიაზე თავმოყოლილია ძრავალრიცხოვანი „ინტერნაციონალური არმია", ე. წ. ნატოს ჯარები. საქმე იქამდე მივიდა, რომ დასავლეთ გერმანიამ მიიღო შესაძლებლობა განახორციელოს კონტროლი თავისი ევროპელი მოკავშირეებისადმი და ისწრაფის ზეგავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსზე. დასავლეთ გერმანიაში განლაგებულ თავიანთ ნაწილებს ნატოს სხვა წევრებიც — ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვ. ამარაგებენ ატომური იარაღით. ეს აშკარად

ცხადყოფს, რომ დასავლეთ გერმანიაში ბატონობს რევანშისა და აგრესიის იდეები. ამიტომ არის, რომ ადენაუერის საშიშ აგრესიულ პოლიტიკას ერთსულოვნად გმობენ ხალხები და მოითხოვენ შეწყდეს „ცივი ომი“ და გამალებული შეიარაღება, შეწყდეს ომის ყოველგვარი პროპაგანდა და დამყარდეს ნამდვილ, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა.

მშვიდობისათვის ხალხთა მასების სულ უფრო მზარდი მოძრაობით დაშინებული მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგენი, დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსები ამაოდ ცდილობენ შეაფერხონ ეს მოძრაობა ლაყბობით იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი ისწრაფვის ძალად მოახვიოს თავს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებს სოციალისტური სისტემა, რომ თითქოს მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია და სხვ. ამის თაობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიაზე განაცხადა: „ახლა ზოგიერთი პოლიტიკოსი დასავლეთში ცდილობს მოატყუოს და დააშინოს გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ცუდად იცნობენ კომუნისტურ თეორიას, ვერ გარკვეულან ჩვენს კომუნისტურ ფილოსოფიაში. ცდილობენ ასეთი ადამიანები დაარწმუნონ, რომ თუ კომუნისტები აცხადებენ თავიანთ რწმენას კომუნისტური იდეოლოგიის გამარჯვებისადმი და მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის საბოლოო ზეიმისადმი, ეს, თითქოს, ნიშნავს, რომ კომუნისტებს აგრესიული ზრახვები აქვთ, სურთ დაიპყრონ მთელი მსოფლიო, მბრძანებლობდნენ ყველა ხალხს და სხვა ამგვარი. განსაჭიროა იმის მტკიცება, რომ ამგვარი განცხადებანი მოურიდებელი სიცრუე და ცილისწამებაა?

კომუნიზმის მტრები ჩვენს მიზნებს იმიტომ ამახინჯებენ, რომ ეშინიათ გავლენისა, რომელსაც ხალხებზე ახდენს სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა“ (გაზ. „კომუნისტი“, 15 იანვარი, 1960 წ.).

ფაქტები ცხადყოფენ, რომ თანმიმდევრულად იბრძვის რა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, საბჭოთა კავშირი ცდილობს სახელმწიფოებს შორის დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა, არ იყოს ახალი ომის საშიშროება. რომ მშრომელ მასებს არ ეშინოდეთ მომავლისა. საბჭოთა კავშირი იბრძვის კეთილშობილური მიზნის მისაღწევად — ერთხელ და სამუდამოდ ავაცილოთ მსოფლიოს ახალი ომის საშიშროება. მსოფლიოს ხალხებმა კარგად იციან ეს და მთლიანად და სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, როგორც ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ახლა მშვიდობის ძალები ისე გაიზარდნენ, მშვიდობისათვის ბრძოლამ ისეთი გრანდიოზული მასშტაბი მიიღო, რომ ომის გამჩაღებლებს აღარ შეუძლიათ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხები და დაანთონ ახალი ომის ხანძარი. „ახლა, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მსოფლიოში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, ძალთა ისეთი თანაფარდობა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ორი ბანაკის არსებობას, რომ მხოლოდ გიჟებს შეუძლიათ გაბედონ ომის დაწყება სახელმწიფოთა სოციალური წყობილების შესახებ დავის გადასაჭრელად თუ სხვა მოტივებით“ (გაზ. „კომუნისტი“, 13 თებერვალი, 1960 წ.). ხალხები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ სხვადასხვა სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას, რომელიც ლენინმა წამოაყენა და შემოქმედებითად განავითარა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს და, მაშასადამე, იგი გარდუვალად გაიმარჯვებს.

აბელ სურგულაძე

ვ. ი. ლენინი ბათუმის შესახებ

ბათუმს, როგორც მსხვილ სამრეწველო ცენტრს, ვ. ი. ლენინი გაეცნო XIX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა კაპიტალიზმის განვითარების საკითხებზე მუშაობისას შეისწავლა ამიერკავკასიის შესახებ არსებული სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურა. ხოლო უფრო გვიან, კერძოდ, 1896-1897 წლებში „პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მეშვეობით უშუალო კავშირი დაამყარა ბათუმის პირველ მარქსისტულ წრესთან.

ვ. ი. ლენინი ბათუმს პირველად იხსენიებს 1903 წლის 1 თებერვალს გაზეთ „ისკრაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „სომეხი სოციალ-დემოკრატების მანიფესტის შესახებ". სტატიის დასაწყისში ვ. ი. ლენინი მიმოიხილავს კავკასიის მდგომარეობას და 1901-1903 წლების საგაფიცვო მოძრაობასთან დაკავშირებით წერს: „კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა ბაქო, თბილისი და ბათუმი, მათი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებითა და მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტარიატით, ამ მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები". მართლაც, 1902 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტი ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის ლოზუნგით. ე. ი. პრაქტიკულად მოითხოვა ის, რაც ერთი წლის შემდეგ რსდმპ II ყრილობამ უკვე განახორციელა. აი რით აიხსნება, რომ 1901-1903 წლების ამბებთან დაკავშირებით ბათუმი გამოჩნდა ვ. ი. ლენინის სტატიაში.

1905 წლის რევოლუციის დროს ვ. ი. ლენინი ბეჯითად ადევნებდა თვალს ბათუმის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას და, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირი ჰქონდა რსდმპ ბათუმის კომიტეტთან. ამას მოწმობს ვ. ი. ლენინის მიმოწერა ჯავშნოსანთან „პოტიომკინის" ბათუმში წამოსვლის შესახებ.

ცნობილია, რომ 1905 წლის ივნისში აჯანყდა ჯავშნოსანი „პოტიომკინი", მაგრამ ეკიპაჟს ბოლქმედების პროგრამა არ ჰქონდა და მერყეობდა. ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა ოდესაში მიაკლინა მ. ვასილიევ-იუჟინი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დაავალა, როგორმე მოეხერხებინა „პოტიომკინის" დესანტით ოდესის დაუფლება. ხოლო თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ ჯავშნოსანი ბათუმისაკენ წამოეყვანა. ამის შესახებ მ. ვასილიევი წერდა: „მე საგანგებით ვიზიარებდი ილიჩის აზრს... რომ თუ ოდესის ხელში ჩაგდებას ვერ მოვახერხებდით, „პოტიომკინთან" ერთად წავსულიყავით კავკასიის სანაპიროებისაკენ... ბათუმის რაიონში. ბათუმის გარნიზონი და ციხე საფუძვლიანად იყო დაპყრობილი ჩვენი (ბოლშევიკური — ა. ს.) აგიტაციის მიერ. ეს მე კარგად ვიცოდი. ბათუმის მუშებს უკვე არაერთხელ გამოუჩენიათ თავი გმირული ბრძოლით... მე მეჩვენებოდა, რომ ბათუმი, როგორც რევოლუციური ბაზა, მთელი შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე უფრო საიმედო რაიონი იყო".

ცხადია, ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა ბათუმელ მუშათა გმირულ ბრძოლებს, თორემ მ. ვასილიევს „პოტიომკინის" ბათუმისაკენ წამოყვანას არ დაავალებდა.

ჯავშნოსან „პოტიომკინის" ბათუმში მოსვლას და აქაურ რევოლუციონერებთან კავშირში თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ერთობლივ გალაშქრებას, შესაძლოა, დიდი გავლენა მოეხდინა რევოლუციის მსვლელობაზე საქართველოში, მაგრამ ასეთი გაბედული

გეგმა ვერ განხორციელდა. „ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცდა, — წერდა ემ. იაროსლავსკი, — მიემართა აჯანყებული ფლოტი ბათუმის ხელში ჩასაგდებად, სადაც იმ დროს არტილერისტები მზად იყვნენ ჩვენთვის მხარი დაეჭირათ, არ მოხერხდა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვებოდა კარგად მოწყობილი სამხედრო ორგანიზაციის აპარატი და ჯარსა და ფლოტში ადგილი ჰქონდა ერთიანი გეგმის გარეშე მუშაობის წარმოების დაქსაქსულ ცდებს“.

მართალია, 1905 წლის რევოლუცია საქართველოსა და რუსეთში დამარცხდა, მაგრამ მუშათა გაფიცვები ბათუმში 1906–1907 წლებში მაინც გრძელდებოდა. ოფიციალური სტატისტიკა ხშირად არ აღრიცხავდა ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებში მომხდარ გაფიცვებს, მაგრამ ვ. ი. ლენინმა მუშათა მოძრაობის სტატისტიკის დამუშავებისას შეძლო ამ წლებში გაფიცულ ბათუმელ მუშათა რაოდენობის გაანგარიშება.

ვ. ი. ლენინის ცნობით, ბათუმის ოლქის ფაბრიკა-ქარხნებში 1906 წელს 2.096 მუშა ითვლებოდა, რომელთაგან მაშინ 68 გაიფიცა, ხოლო 1907 წელს გაფიცულთა რაოდენობამ 1.473 მიაღწია. როგორც ვ. ი. ლენინის შედგენილი ცხრილიდან ჩანს, მუშათა რაოდენობის მიხედვით ბათუმის ოლქი რუსეთის 19 გუბერნიიდან სულ უკანასკნელ ადგილზეა, მაგრამ 1907 წელს გაფიცულთა რაოდენობით უსწრებდა ფსკოვის, ტვერის, სმოლენსკის, კელეცკის, მოგილევის, თავრიდის, უფის, ვორონეჟის, კალუგის, პენზის, ტულის გუბერნიებს და მხოლოდ პეტერბურგის, ვლადიმირის, კიევის, ვიატკის, ბაქოს, დონისა და ხარკოვის გუბერნიებს ჩამორჩებოდა. ამის საფუძველზე გაიანგარიშა ვ. ი. ლენინმა ბათუმის ოლქის გაფიცულ მუშათა რაოდენობა, რასაც იმ პირობებში დიდი საგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორი მეცნიერული სიზუსტით სწავლობდა ვ. ი. ლენინი ყველა საკითხს, მათ შორის ბათუმის მუშათა მოძრაობის საკითხებსაც.

1913 წლის 29 ოქტომბერს გაზეთში „ზა პრავდუ“ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია IV სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, რომელიც სხვა გუბერნიებთან ერთად გვაცნობს ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციის მდგომარეობასაც სამრეწველო აღმავლობის წლებში. ვ. ი. ლენინის მონაცემებით ჩანს, რომ ბათუმის მუშათა რაოდენობა წინა წლების კრიზისისა და ცარიზმის რეპრესიების შედეგად 1910–1913 წლებში რამდენჯერმე შემცირებულა. ამის გამო მენშევიკებმა აქაურ ორგანიზაციაში უმრავლესობა მოიპოვეს და ბათუმიდან IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მენშევიკი დეპუტატი აღმოჩნდა. ამასთან, ბათუმისა და ყარსის გუბერნიები ცხრილში გაერთიანებულადაა წარმოდგენილი, რადგან პროლეტარიატის მცირეოდენობის გამო მათ ერთი დელეგატის არჩევა შეეძლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, მათ შორის ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციის მოღვაწეობას. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: 1920 წელს ბათუმში დააპატიმრეს პროფკავშირული მოღვაწეები, რომლებსაც დახვრეტა ელოდათ. ამის შესახებ ბათუმის კომიტეტმა ნოვოროსიისკის რევოლუციური ორგანიზაციის მეშვეობით დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს და დახმარება სთხოვა. ვ. ი. ლენინმა ეს დეპეშა დაუყოვნებლივ გადაუგზავნა საგარეო საქმეთა კომისარს რეზოლუციით: „ამხ. ჩიჩერინ! როგორია თქვენი წინადადებანი. საჭიროა უფრო ძლიერ დავაწვეთ“. მართლაც, საბჭოთა მთავრობის ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად დაპატიმრებულნი სიკვდილს გადარჩნენ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიდ ყურადღებას, რასაც საბჭოთა მთავრობა, პირადად ვ. ი. ლენინი იჩენდა საქართველოსა და, კერძოდ, ბათუმის რევოლუციური ორგანიზაციისადმი.

1920 წელს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ განიზრახა უცხოელი იმპერიალისტებისათვის გადაეცა ბათუმი. ამის შესახებ ი. ბ. სტალინმა აცნობა ვ. ი. ლენინს. „საქართველო მზად არის გადასცეს ბათუმი ანტანტას და შეიძლება გზა გაუხსნას ვრანგელს უკან დახევისათვის, აგრეთვე შეტევისათვის ბაქოს მიმართულებით. ეს მოსაზრებანი გულდასმით შემოწმებას მოითხოვს, რაც შესრულებული იქნება ჩემს მიერ ბაქოში, სადაც წასვლას ვაპირებ სამ დღეში“. ვ. ი. ლენინმა მაშინვე გაუგზავნა საპასუხო ბარათი ი. ბ. სტალინს: „უეჭველად მიმაჩნია, რომ საქართველო ბათუმს გადასცემს ანტანტას, ალბათ საიდუმლოდ და რომ ანტანტა წავა ბაქოზე. მოიფიქრეთ და სასწრაფოდ მოამზადეთ ღონისძიებანი ბაქოს მისასვლელების განსამტკიცებლად, ხმელეთით და ზღვით, მძიმე არტილერიის მიზიდვით და სხვ. მაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილება“. ამრიგად, ანტანტისათვის ბათუმის გადაცემით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მორიგი ლაშქრობის შესაძლებლობა იქმნებოდა. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ მენშევიკებს და ანტანტის სახელმწიფოებს მტკიცე პროტესტი განუცხადა, რითაც ბათუმი უცხოელთა ბატონობისაგან იხსნა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საკითხებს, მრეწველობის

აღდგენა-განვითარებას, ახალ საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნას.

ამ პერიოდში ვ. ი. ლენინი ბათუმს ხშირად იხსენიებს ნავთის საკითხთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ პარტიის X ყრილობაზე 1921 წელს იგი დელეგატებს მიმართავდა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ". ვ. ი. ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემსო „გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გავაძლიეროთ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური მოწყობილობა, გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა, სურსათისა და მოხმარების საგნების რაოდენობა ჩვენი მუშებისათვის". მოვლენათა მსვლელობამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის ეს გენიალური წინასწარხედვა. მართლაც, თბილის-ბათუმის ნავთსადენის ამუშავებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებაში.

ამ საკითხს ვ. ი. ლენინი შემდეგაც არაერთხელ დაუბრუნდა. 1921 წლის 2 აპრილს იგი წერდა: „აუცილებელია საოლქო სამეურნეო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბაქო-ბათუმისათვის და სხვ. და რომელიც დამოუკიდებლად, სწრაფად, გაუჭიანურებლად გაუძღვება საქმეს". ეს „საოლქო სამეურნეო ცენტრი" კი იყო ამიერკავკასიის ფედერაცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგომი რესპუბლიკების შემდგომი წინსვლისათვის. ვ. ი. ლენინის სიტყვით, საოლქო ცენტრი და „ერთიანი სამეურნეო ხელმძღვანელობა დაუბრკოლებლად უზრუნველყოფდა ნავთობის ... ბათუმიდან საზღვარგარეთ. ეს იყო ბრძოლა ... ღონისძიება და ვ. ი. ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა მის განხორციელებას. 1921 წლის 11 აპრილს ვ. ი. ლენინმა სპეციალურად აღნიშნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა, რადგან „ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი", რომელიც აუცილებლად „გატანილი უნდა იქნას ბათუმით, საქართველოს ტერიტორიით".

ვ. ი. ლენინი საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების საქმეში. ითვალისწინებდა რა სავაჭრო-ეკონომიური თვალსაზრისით ჩვენი ქალაქის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობას, იგი მოითხოვდა ბათუმის მეშვეობით უცხოეთის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ამიტომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „საჭიროა ბათუმის საშუალებით საგარეო ვაჭრობის გეგმა (და ფონდი)".

ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ვ. ი. ლენინი საფუძვლიანად იცნობდა და ეხმაურებოდა ბათუმელ მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს და დიდად აფასებდა ჩვენი ქალაქის მნიშვნელობას საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

ძნელი კილომეტრები

ჩვენ გვინდა გიამბოთ ერთი პატარა შემთხვევა შოფრების ცხოვრებიდან. მაგრამ სანამ ამ ისტორიას მოგითხრობდეთ, უნდა მოგაგონოთ: ჩვეულებისამებრ, სანამ ქალაქი სასმელ წყალს მიიღებს, იგი იფილტრება და იწმინდება ქლორით. ჩვენ არ შევუდგებით იმის დადგენას, რატომ შემოაკლდა ბათუმის წყალსადენს თხევადი ქლორი. შეიძლება ამაში მომმარაგებლები არიან დამნაშავენი, ან მგეგმავები. ეს კია, მოსახლეობას გაუფილტრავ წყალს ვერ მიაწოდებდნენ.

თუმცა არა, წყალსადენის დირექციაც, ბოლოსდაბოლოს, რომელიმე მეზობელ ქალაქს დაესესხებოდა რამდენიმე ბალონ ქლორს. მაგრამ იქნებ არც სხვებს ჰქონდათ უკეთ საქმე. არადა დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. იმსჯელეს და ყველაზე საიმედოდ ჩათვალეს ქლორის ჩამოტანა მომარაგების ძირითადი ბაზიდან — სუმგაითიდან. ეს ქალაქი კი საკმაოდ შორს, ბაქოს მახლობლად მდებარეობს.

— ჩვენ რომ ახლა იქ კაცი გავგზავნოთ და ვაგონის შოვნას შევუდგეთ, ეს საქმე გაჭიანურდება, რამდენიმე დღეც არ მოესწრება. — ირწმუნებოდა ექსპედიტორი პეტრე რადჩენკო.

ბევრი იკამათეს და საბოლოოდ ასე გადაწყვიტეს:

— ყველაზე სანდო მაინც მანქანების გაგზავნაა. დიდი-დიდი ერთ კვირაში ქლორი ადგილზე გვექნება.

საქმეს მხოლოდ უამინდობა აფერხებდა. ზამთარში შორეული რეისები საერთოდ არ უყვართ შოფრებს, აქ კიდევ სურამის უღელტეხილია გადასასვლელი; გადახვალ კი, რომც წახვიდე? მაგრამ ეს მაინც ერთადერთი გზა იყო. წყალსადენის დირექციამ თხოვნით მიმართა ბათუმის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორას, გამოეყო ორი მანქანა სუმგაითში გასაგზავნად.

კანტორის უფროსმა წყალსადენის დირექციის მიმართვა ჩაიკითხა და დაფიქრდა. ასამდე შოფერი მუშაობს ბაზაში, ერთი მეორეზე უკეთესი ბიჭები. უარს არც ერთი არ იტყვის. მაგრამ დავალება მეტად პასუხსაგებია, მის შესრულებას ყველა ვერ შეძლებს.

— ბერაძეს და ბაზგოიანს გამოუძახეთ!

რამდენიმე წუთში ორი შაეგვრემანი,

ჯმუხი ახალგაზრდა უფროსთან გამოცხადდა.

— ბაქოსაკენ უნდა გაემგზავროთ. წყალსადენის დირექცია გვთხოვს ბალონებით ქლორის ჩამოტანას. დავალება საჩქარო და პასუხსაგებია.

შოფრებმა ერთმანეთს გადახედეს. რახან საჭიროა, წავლენ. პირველად ხიმ არ მიდიან შორეულ რეისში. მათ მხოლოდ იკითხეს:

—როდის უნდა გავიდეთ?

— ხვალ დილითვე. როგორ ფიქრობთ, რამდენი დღე დაგჭირდებათ?

— ექვსი დღე მაინც. — მიუგო ბერაძემ და დაუმატა: — თუ ამინდმა არ შეგვიშალა ხელი.

— მანქანებს დღესვე მოამზადებთ. ხვალ დილით წყალსადენში გაივლით. იქ კონკრეტულად გაგაცნობენ დავალებას. ოთხშაბათისთვის გელოდებით.

ორივე, ვახტანგ ბერაძეც და ხაჩიკ ბაზგოიანიც, თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი შოფერია. მათი მანქანებიც საათივითაა აწყობილი, მაგრამ როცა ასე შორ გზაზე მიდიხარ, ერთხელ კიდევ რომ შეავლო თვალი, საქმეს არ აწყენს. შინ წასვლამდე საფუძვლიანად შეამოწმეს მანქანები, ყველაფერი მოიმარაგეს, შემდეგ კანტორაში რუკას მიადგნენ და მომავალი მარშრუტი დაწვრილებით შეისწავლეს. იქით-აქეთ ორი ათას კილომეტრზე მეტი იქნება. წინასწარ ივარაუდეს კიდევაც, დღეში რამდენი კილომეტრი უნდა გაერბინათ, რომ ოთხშაბათისათვის ბათუმში დაბრუნებულიყვნენ.

...მანქანები წყალსადენის კანტორის შენობას მიადგნენ.

წყალსადენის დირექტორმა აბელ ჯინჭარაძემ დაწვრილებით გააცნო შოფრებს დავალება, მცირე ინსტრუქტაჟიც ჩაუტარა, თუ როგორ ეტარებინათ საშიში ტვირთი.

— ვიცი, მაინცა და მაინც არ გესიამოვნებათ, მაგრამ მანქანაზე არავინ დასვათ. სხვასაც და საკუთარ თავსაც საფრთხეში ჩააგდებთ. თქვენთან ერთად ჩვენი ექსპედიტორი პეტრე რადჩენკო წამოვა. გაიცანით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დირექტორმა ბერაძეს იკითხა: როდის ვარაუდობთ უკან დაბრუნებასო. როცა შეიტყო, ოთხშაბათისთვისო, კეფა მოიფხანა და შოფრებს დაუფარავად უთხრა:

— ბრძანებით ვერ გიბრძანებთ; ვიცი, ეს დრო ნამდვილად დაჭირდება ამ მანქანის გავლას, მაგრამ ვაქკაცურად გთხოვთ, იქნებ ორშაბათისთვის მოახერხოთ ჩამოსვლა! ქალაქს უწყლოდ ვერ დავტოვებთ.

ბერაძემ და ბაზგოიანმა ერთმანეთს გადახედეს და მოკლედ თქვეს:

— ვნახოთ!

შოფრებს საერთოდ არ უყვართ ბევრი ლაპარაკი.

— საქმე რომ წახდეს და ერთ მანქანას რაიმე შეემთხვეს, ერთ-ერთმა მაინც უნდა ჩამოგვისწროს. აბა თქვენ იცით და თქვენმა ბიჭობამ! ბედნიერი მგზავრობა!

ჯერ ჩაისუბანში ავიდნენ, იქ მანქანები ცარიელი ბალონებით დატვირთეს და შუადღის თორმეტ საათზე გავიდნენ ქალაქიდან.

ეს იყო ხუთშაბათს.

წინ ბერაძე მიდიოდა. რადჩენკო ბაზგოიანს ეჯდა მეორე მანქანაში.

მენავთობეთა დაბა, მახინჯაური გაიარეს და მწვანე კონცხის აღმართს შეუდგნენ. გზის ეს მონაკვეთი არ უყვართ მძღოლებს. ძალიან გაჭიანურდა გზატკეცილის გაფართოება, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბევრი აღარაფერი აკლია დამთავრებას. სამაგიეროდ, ისეთი მაგისტრალი იქნება, ბათუმსა და აჭარის საუცხოო კურორტებს რომ ეკავრება.

ქობულეთს გასცდნენ და გაივაკეს. ეს გზა ორივესათვის კარგად ნაცნობია, თვითეული მოსახვევი და აღმართ-დაღ-

მართი ზედმიწევნით იციან; ჯერჯერობით ამინდიც კარგია, შემდეგ თუ არ გაავდრდა.

შემხვედრი მანქანის შოფერმა თქვა, ქუთაისიდან რომ გამოვედი, თოვდაო. მართლაც, ქუთაისში შესვლამდე ჰაერში ათამაშდა თეთრი ფანტელები. მინაზე მონოტონურად ამოძრავდა თოვლსაწმენდი, აცივდა კიდევაც.

ქალაქში არ შეჩერებულან, ისე განაგრძეს გზა. ბერაძესაც და ბაზგოიანსაც უღელტეხილზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდათ. თუ სურამზე მშვიდობით გადავიდნენ, შემდეგ აღარაფერი უჭირთ. ამიტომ შეუსვენებლად უნდა იარონ, სანამ გადასასვლელი ჩაიკეტება.

შორაპანს შემდეგ თოვამ იმატა. უღელტეხილს რომ შეუდგნენ, სვლა თანდათან გაძნელდა. სულ უფრო ხშირ-ხშირად უხდებოდათ პირველი სიჩქარის ჩართვა.

უკვე შებინდდა. სინათლის ორი მძლავრი შუქი საკმაოდ ანათებდა გზას, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი თოვლით ისე იყო გადათეთრებული და გადასწორებული, რომ მძღოლებს სიფრთხილე მართებდათ.

ვახტანგი ხშირ-ხშირად გასცქეროდა კაბინიდან გარეთ გაშვერილ მრგვალ სარკეს, რომელშიც მოჩანდა ასიოდე მეტრით უკან მომავალი ბაზგოიანის გადახურული მანქანა. ხაჩიკი მასზე უკეთეს მდგომარეობაში იყო. ვახტანგის მანქანის მიერ გზაზე გავლებული ორი ზოლი ერთგვარი ორიენტირი იყო მისთვის. მერე კიდევ ხმის გამცემი მაინც ეჯდა გვერდით.

თეთრ ერთფეროვნებაში ზოგჯერ შემხვედრი მანქანის ხმაური და სინათლე შემოიჭრებოდა. ერთმანეთს ჩაუქროლებდნენ და დატოვებულ ნაკვალევს ისე უცბად ფარავდა თოვლი, თითქოს ამ გზაზე ძეხორციელს არ გაუვლიაო.

უღელტეხილის აღმართი აათავეს ოთავქვე დაეშვნენ. მოტორმა შეუყვიტა გუგუნი. მანქანა ახლა რბილად, თოვლის უხმაუროდ მიგორავდა ფაფუკი თოვლით მოგებულ გზაზე. დამორჩილებულ ბინა-ბიბლიოთეკა ... ...

ცილებული. დიდი სამრეწველო ქალაქია.

— ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, ასე თავგამოდებით რომ მივდივართ ამ ქლორის ჩამოსატანად, უმისოდ წყალს მართლა ვერ გაუშვებთ ქალაქში?

დრო ბევრი აქვს და პეტრე რადჩენკოც დაწვრილებით უხსნის ხაჩიკს წყალსადენის მუშაობის პრინციპს.

— ქალაქის მოსახლეობა წყალს მდინარე ლეჩადან და ყოროლისწყლიდან იღებს, მაგრამ რაც არ უნდა სუფთა იყოს მდინარე, მისი გაფილტვრა აუცილებელია. ჩაისუბანში, აი საიდანაც ჩვენ ცარიელი ბალონები წამოვიღეთ, დგას სპეციალური მოწყობილობანი, რომლებიც ფილტრავენ და წმენდენ წყალს.

ხაჩიკი გზას თვალს არ აშორებს, ისე ამბობს:

— ვიცი, იქ სილა დამქონდა მშენებლობაზე.

— მაშინ აუზებსაც ნახავდი. ჰოდა, აი იმ აუზებში ფენებად დევს ჯერ სილა, შემდეგ — ხრეში, ბოლოს კი ქვები. ამ ხელოვნურ ფილტრში იწმინდება მდინარის წყალი, ხოლო იქიდან გაივლის ავტომატურ ქლორატებს. ეს ავტომატები წვეთ-წვეთად, ზუსტი დოზირებით უშვებენ თხევად ქლორს წყალში, რაც ხოცავს მავნე მიკრობებს. მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევთ წყალს მოსახლეობას. ახლა ხომ გესმის, რატომაა აუცილებელი ქლორი ჩვენთვის და რისთვის ვჩქარობთ ასე?

...საქართველოს გასცდნენ და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავიდნენ. თოვლი მიილია. ირგვლივ გამომშრალი, თვალუწვდენელი ველებია.

— აქაურობა ზაფხულშია კარგი სანახავი, — ამბობს ხაჩიკი, — მიმუშავია ამ ადგილებში. ეს მინდვრები ბამბით სულ თეთრადაა გადაპენტილი.

მეწინავე მანქანა შეჩერდა.

ხაჩიკი რომ გაუსწორდა მას, ბორბალთან ჩაცუცქული ვახტანგი დაინახა.

— რა მოხდა? — იკითხა ხაჩიკმა, კაბინიდან გადმოხტა.

— საბურავი დაეშვა.

მანქანა ოწინარით ასწიეს და დაშვებული საბურავი სწრაფად შესცვალეს სათადარიგოთი.

კილომეტრების მაჩვენებელ ბოძთან შეჩერდნენ.

— 712 კილომეტრი გაგვივლია, — თქვა ვახტანგმა.

— კარგი 400 კილომეტრი კიდევ უნდა გავიაროთ, — სწრაფად გაძოთვალა ხაჩიკმა.

ისევ დაიძრნენ მანქანები.

უკან დარჩა კიროვაბადი, ეველახი, შირვანის ველი...

საწვავის შესავსებად პატარა დაბაში შეჩერდნენ.

ბენზინის წერტილთან ტყავისქურთუკიანი, ტანდაბალი ახალგაზრდა „პობედის" მინებს წმენდდა ჩვრით. თეთრი კბილების კრიალით შეხვდა მოსულებს.

—საიდან მოდიხართ, ბიჭებო?

— ბათუმიდან.

— ოჰო!.. ალბათ, ბაქოში.

— არა, სუმგაითში.

— მე კი ბალაჯარიდან. კიროვაბადში. ამაღამვე ხომ არ აპირებთ გამგზავრებას?

— ვაპირებთ, — მიუგო ვახტანგმა.

— არ გირჩევთ.

— რატომ?

— აქედან სულ ახლოს უღელტეხილია. გაგიჭირდებათ ღამით გადასვლა. ისეთი ნისლი იცის, რომ თვალში თითს ვერ მიიტან, მერე კიდევ, როგორც ვატყობ, ამინდიც იცვლება.

ვახტანგი ამხანაგებს მიუბრუნდა:

— როგორ მოვიქცეთ? შოფერი შოფერს არ მოატყუებს.

— პეტრე რას იტყვის, — ახედა ხაჩიკმა ტანმაღალ რადჩენკოს.

ექსპედიტორი ოდნავ შეყოყმანდა.

— ცუდად ნუ ჩამომართმევთ, ბიჭებო... არ იფიქროთ, თითქოს ძალას ვატანდეთ; ვიცი, დაღლილები ხართ, მაგრამ რაც შეეხება ამინდს...—რადჩენკომ ცას გახედა, — არა მგონია გაავდარდეს. ხულოში ერთმა მოხუცმა მასწავლა უღელტეხილებზე ამინდის წინასწარ გამოცნობა. ისეთი ცაა, რომ...

ნახევარი საათის შემდეგ მანქანები ხვნეშით თოკავდნენ უღელტეხილს. „პობედის“ შოფერი სანახევროდ გამოდგა მართალი — რძისფერი ნისლი ჩამოწვა გზაზე. მაგრამ ბერაძესაც და ბაზგოიანსაც მრავალჯერ გადაულახავთ ჯვრის, მამისონის, გოდერძის უღელტეხილები და უფრო სქელ ნისლშიც გაუკვლევიათ გზა.

მთელი ღამე არ შეჩერებულან. წუთში დაახლოებით კილომეტრს ფარავდნენ. ყოველი გავლილი ბოძი აახლოებდათ მიზანს.

გადასახვევი არ გამოპარვიათ. გზაჯვარედინზე დასობილი ბოძი წარწერით „სუმგაითი“ მანქანებს უჩვენებდა მიმართულებას.

სუმგაითში რომ შევიდნენ, ცაზე ვარსკვლავები იცრიცებოდნენ.

მანქანები ქარხნის შესასვლელთან დააყენეს.

ხნიერმა, შავულვაშა მორიგემ ბუზღუნით გამოჰყო თავი სამორიგეოდან.

— ამ დილაადრიან რამ მოგიყვანათ!.. ხეზე ხომ არ გეძინათ!..

რომ შეიტყო საქართველოდან არიან და თან ორი დღე-ღამე თითქმის არ უძინიათო, მორიგე მაშინვე მოლბა და სამივე სამორიგეოში მიიპატიჟა.

— სასტუმრო არა გვაქვს; სამაგიეროდ აქ თბილა, ცოტას დაისვენებთ. ამასობაში გათენდება და უფროსებიც მოვლენ.

სამორიგეოს ვიწრო ოთახი სამოთხეღ მოეჩვენათ. სითბომ სასიამოვნოდ დაიარა ძვალ-რბილში. დაჭიმულ ნერვებს მიესალბუნა, მთელი სხეული მოადუნა. ხაჩიკს ახალმოკიდებული პაპიროსი შეაცივდა ხელში, თავი ჩაქინდრა მაგიდაზე. ვახტანგი და რადჩენკო ვაჟკაცურად ებრძოდნენ ძილს.

— მიწექით მანდ, დივანზე! — ღვიძილში შემოესმათ მორიგის ხმა.

თითქოს სულ რამდენიმე წუთით წათვლიმეს, მაგრამ თვალი რომ გაახილეს ოთახში შუქი უკვე ჩაექროთ; ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შემოდიოდა.

კარებს წამდაუწუმ აღებდნენ. სამუშაო დღე იწყებოდა. ხალხის ხმაურმა გააღვიძა ისინი.

— დირექტორის მოადგილე ამხანაგი რიზაევი უკვე მოვიდა. — აცნობა მათ მორიგემ.

რადჩენკო კანტორაში წავიდა საბუთების გასაფორმებლად. ვახტანგმა და ხაჩიკმა მანქანებს მიაშურეს.

რადჩენკო მალე დაბრუნდა.

— შედარებით ადვილად მოგვარდა საქმე. რიზაევს ჩვენი მგზავრობის ამბავი რომ მოვუყევი, ულაპარაკოდ წამიწერა რეზოლუცია. ცოტა ნორმის ზევითაც დავტყუე. — კმაყოფილებით აცნობა პეტრემ ბიჭებს.

მორიგემ რკინის ჭიშკარი გააღო.

შუადღისას ყველაფერი მზად იყო.

ვახტანგმა და ხაჩიკმა მანქანები აამუშავეს და ბათუმისაკენ დაიძრნენ.

ისევ დაიწყო გაუთავებელი კილომეტრები აზერბაიჯანის გაშლილ ველებს შორის. გზას უკვე იცნობდნენ, მაგრამ ახლა მაინც უფრო ფრთხილად მიჰყავდათ მანქანები. კაბინის გვერდზე დამაგრებული წითელი ალმები და პეტრე რადჩენკო მოაგონებდნენ, რომ მათ მიჰქონდათ საშიში ტვირთი.

ექსპედიტორი ზოგჯერ აჩერებინებდა მანქანებს, ძარაზე აძვრებოდა და გულდასმით ამოწმებდა, ხომ არ მოირყა ფიცრებითა და თოკებით დამაგრებული ბალონები.

მაგრამ მთლად კუს ნაბიჯითაც ვერ ივლიდნენ. წინასწარი ვარაუდით, წუთ-

ში კილომეტრი მაინც უნდა გაეარა, რომ დათქმულ დროზე ჩასულიყნენ ბათუმში.

პეტრე რადჩენკო კვლავ ბაზგოიანთან იჯდა. მგზავრობამ ისიც დაქანცა, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია. მაგრამ ზოგჯერ ძილმორეული თავს მაინც ჩაკიდებდა და მცირე ხნით წათვლემდა. უძილობისაგან თვალებდაწითლებული ხაჩიკი კი ფხიზლობდა. ამიტომ რადჩენკო, ცოტა არ იყოს, უხერხულობას გრძნობდა. მის გასართობად ათას ამბავს ჰყვებოდა, მთელი თავისი ცხოვრება გადმოულაგა, არმიაში სამსახური და ომი მოიგონა. შემდეგ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზეც იმსჯელეს, მთვარე, კოსმოსი და თანამგზავრებიც არ დაივიწყეს.

ასეთი საუბრით გზაც მოკლდებოდა და ძილიც უკან იხევდა.

ვახტანგს კი საკუთარ ფიქრებთან თუ შეეძლო საუბარი.

უძილობა, უამინდობა, ხიფათი შოფერის განუყოფელი თანამგზავრია, მაგრამ ვახტანგ ბერაძე მაინც არაფერზე არ გაცვლიდა თავის ხელობას. აი ახლაც, მესამე დღეა თითქმის შეუსვენებლად მიდიან. ვერც ვერავინ დაძრახავს, გზაში რომ დაისვენონ, კარგად გამოიძინონ, გემრიელად ისადილონ, მაგრამ რახან ნამუსზე შეაგდეს, ბიჭები თავს გადადებენ და პირნათლად ჩავლენ ბათუმში, მით უმეტეს რომ დავალება ასეთი საპატიო. ბათუმში სულ რამდენიმე კაცმა თუ იცის, რომ მოძმე აზერბაიჯანიდან მომავალ მანქანებს მოაქვთ ტვირთი, ურომლისოდაც მოსახლეობა ვერ მიიღებს წყალს. მერე რა მოხდება, რომ ქალაქი უწყლოდ დარჩეს? არა, ეგ შეუძლებელია! ეს იგივეა, რომ ადამიანს ჰაერი შეუწყვიტო.

ასეთი მგზავრობის მსგავსი ისტორია სადღაც წაუკითხავს, თუ კინოში უნახავს ვახტანგს. იქაც, აი ასე, ორი მანქანით მიჰქონდათ საშიში ტვირთი, ასაფეთქებელი მასალა... ჯერ ერთი მათგანი აფეთქდა, შემდეგ კი... ჰო, მოაგონდა, კინოში ნახა სურათი... ცნობილი-ცნობილი მსახიობი ივ მონტანი მონაწილეობდა სურათს, ვგონებ, „შიშის საფასური“ ერქვა. კარგი სურათი იყო, მხოლოდ გული კი დაწყვიტა შოფრების ტრაგიკულმა ბედმა. მაშინ გაბრაზდა კიდევაც რეჟისორზე, რომ ასე უგულოდ გაიმეტა სასიკვდილოდ კარგი ბიჭი, საუკეთესო შოფერი. მერე რა დროს, როცა ტვირთიც გადაიტანა, გასამრჯელოც მიიღო და შეყვარებულისაკენ მიიჩქაროდა.

აი ახლა ვახტანგიც მიიჩქარის შინისაკენ. მასაც ელიან სახლში მშობლები, ცოლ-შვილი, მაგრამ იგი შიშის საფასურად როდი წამოსულა ამ გზაზე, არც საფრთხე ელის, თუმცა სიფრთხილე მაინც საჭიროა...

...კიროვაბადში ღამით შევიდნენ.

— აქ შევჩერდებით. ღამეს გავათევთ და ხვალ დილაადრიან გავუდგებით გზას, — თქვა ვახტანგმა და ამხანაგებს მიუბრუნდა, — თქვენ რას იტყვით?

ბაზგოიანიც და რადჩენკოც ასევე ფიქრობდნენ.

სასტუმროს მიადგნენ. ადმინისტრატორისაგან ჩვეულებრივი პასუხი მიიღეს: „ნომრები არ არის“. მკაცრ ადმინისტრატორს კიდევ როგორმე მოალბობდნენ, მაგრამ სასტუმროს არ ჰქონდა მანქანების დასაყენებელი ადგილი. ტვირთს კი ღამით ღვთის ანაბარა ვერ მიატოვებდნენ.

— რა გაეწყობა! ისევ ცის ქვეშ მოგვიწევს ღამის გათევა, — თქვა ვახტანგმა.

— სუფთა ჰაერზე ძილი სასარგებლოცაა, — ხუმრობდა ხაჩიკი.

„სუფთა ჰაერზე“ კი ტემპერატურა ნოლს ქვემოთ იწევდა.

რადჩენკოს შედარებით თბილად ეცმ-

ვა. ამიტომ ბაზგოიანის გადახურული მანქანის ძარაში მოთავსდა. ვახტანგი და ხაჩიკი კაბინებში დარჩნენ. მოძრაობის დროს კაბინაში კიდევ თბილა, მაგრამ როცა მანქანა დგას, შიგ სიცივე საკმაოდ ატანს. რადჩენკო მაინც ძალზე შეაწუხა ყინვამ, ძარადან ჩამოძვრა და ვახტანგთან ერთად რის ვაი-ვაგლახით მოთავსდა კაბინაში. უძილობამ და დაღლილობამ თავისი გაიტანა, დილამდე ტკბილად ეძინათ. გათენდა თუ არა, ძალამოკრებილნი მაშინვე გავიდნენ ქალაქიდან.

გზის დიდი ნაწილი განვლეს, მაგრამ წინ უღელტეხილზე გადასვლა ელოდათ. ამიტომ ჩქარობდნენ, მთელი დღე თითქმის არ შეჩერებულან.

ხაშურში რომ ჩავიდნენ, ხაჩიკმა რადჩენკოს უთხრა:

— შენ ხომ უღელტეხილზე ამინდის გამოცნობის სპეციალისტი ხარ. ამჯერად როგორია შენი პროგნოზი?

რადჩენკომ ყურადღებით შეათვალიერა ცა და თქვა:

— ამინდი ფუჭდება, უნდა ვიჩქაროთ.

ადგილობრივი მცხოვრებლებიც ირწმუნებოდნენ, დიდ თოვლს უნდა ველოდოთო. შეიძლება ამაღამაც მოეთოვა, მაშინ უღელტეხილიც ჩაიკეტებოდა და ამდენი გარჯაც ამაოდ ჩაივლიდა. დაუყოვნებლივ განაგრძეს გზა.

უღელტეხილზე ხვავიანად თოვდა, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ იყო საშიში. სანამ თოვლი ფეხს მოიკიდებდა, ისინი სამშვიდობოს იქნებოდნენ. მართლაც უღელტეხილი ორ-სამ საათში გადალახეს, შუალამით კი უკვე ზესტაფონში იყვნენ.

— ახლა კი უეჭველად ჩასული ვართ, — თავისუფლად ამოისუნთქა ალბერტმა და ხაჩიკმა. თითქოს ათფუთიანი ლოდი მოეხსნათ ზურგიდან.

— ნამდვილად, — დაემოწმა მათ არანაკლებ გახარებული რადჩენკო.

იმ ღამით სამივემ მთელი მგზავრობის მანძილზე პირველად მოისვენეს ადამიანურად სასტუმროს ქათქათა საწოლებში.

ზესტაფონიდან ბათუმამდე მანძილი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განვლეს. შუადღის თორმეტ საათზე მანქანები ბათუმში შემოვიდნენ. ჩაისუბანში აუხვიეს და წყალსადენს ქლორით სავსე ბალონები ჩააბარეს.

ეს იყო ორშაბათს.

ზუსტად ოთხი დღე-ღამე მოანდომეს ვახტანგ ბერაძემ და ხაჩიკ ბაზგოიანმა სუმგაითში ასვლა-ჩამოსვლას. ზღვიდან ზღვამდე, კიდითკიდემდე გადასერეს მათ ორი მოძმე რესპუბლიკის ტერიტორია. ზამთრის პირობებში ეს ნამდვილად სასახელო საქმე იყო.

როდესაც კანტორის უფროსს ბაქოში გაგზავნილი მანქანების ჩამოსვლა აცნობეს, მან უნებურად კალენდარს შეხედა და პირველად ის გაიფიქრა, ალბათ, ბიჭები უგზოობის გამო უკან დაბრუნდნენო.

მაგრამ როცა ბერაძემ და ბაზგოიანმა მოახსენეს, დავალება შესრულებულიაო, მას ისღა დარჩენოდა, რომ ეთქვა:

— ყოჩაღ, ბიჭებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

1943 წლის ჟურნალ „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი „ისტორიის ახალი გვერდის“ სახელწოდებით. მასში არ არის ლექსი „ტყეები“. რომელიც უადგილობის გამო ამოუღიათ, თუმცა იგი აწყობილი და გვერდად შეკრული ყოფილა. ჩემთან დაცულია ეს შეკრული გვერდი.

მე ეს ლექსი არც სხვაგან მინახავს და, ეფიქრობ, დღემდე დაუბეჭდავია. მართალია, იგი გალაკტიონის საუკეთესო ლექსთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ მისი შემოქმედების ფართო დიაპაზონის მაჩვენებელია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გალაკტიონის ამ ლექსს.

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲛᲔᲑᲣᲙᲔ.

ᲢᲧᲔᲔᲑᲘ

მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური:
შენ სამამულო ომის დღეების
თავდადებული გესმის ხმაური —
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

გესმის გუგუნი მეწყერის ავის,
გესმის ძახილი სიმაღლეების,
გესმის გრიალი მომსკდარი ზვავის —
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

თავისუფლების მოყვარულ ერებს
ვერ დასძლევს ზრახვა ბნელ მახეების.
მთა რომ იმღერებს, გზა რომ იმღერებს —
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

აქ ერთა ძმობა დროშას სწერია,
აქ ხმაა სივრცის და სივრცეების,
ფაბრიკა-ქარხნებს რაც უმღერია, —
სულ სიმღერაა ჩვენი ტყეების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითმფრინავებით მოჭრილ ჰანგების,
ტყვიამფრქვევების, ბატარეების,
გესმის გრიალი მებრძოლ ტანკების —
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

ისმოდეს ბევრი ასეთი ჟღერა,
გმირული საქმის და იდეების.
ეს გამარჯვების არის სიმღერა,
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

გუშინ სდუმდა ტყე. აქ მტრის მიზანი
იყო დანთება ცეცხლის წრეების,
მაგრამ დუმილსაც გრძნობს პარტიზანი —
ეს სიმღერაა ჩვენი ტყეების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა დადიანის გამოუქვეყნებელი ლეგენდა

გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი 1954 წლის ოქტომბერში ბათუმელმა მოსწავლეებმა მიიწვიეს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკში და გულითადი შეხვედრა მოუწყეს. მხცოვანმა მწერალმა პატარა მასპინძლებისათვის საგანგებოდ დასწერა და შეხვედრაზე წაიკითხა ღღემდე გამოუქვეყნებელი ლეგენდა „თეთრი გენია".

ხელნაწერი გამოსაქვეყნებლად მოგვაწოდა რევაზ ბოლქვაძემ.

თეთრი გენია

(პაპუასების ლეგენდა)

ოდესღაც ცხოვრობდა პაპუასების ქვეყანაში ხალხის ერთი წინამძღოლი. მას ხორცის შეჭმა მოუნდა და ამისათვის ფრინველების დასაჭერად ხეზე ბადე გაჭიდა.

როდესაც მივიდა იმის სანახავად — ბადეში მოხვდა რამე თუ არაო — დინახა, რომ ბადეში ადამიანის მსგავსი თეთრი ხორცი გახვეულიყო. ამის შეეშინდა, რადგან იცნო, რომ ეს გენია იყო.

„განმათავისუფლეო", — ვედრებით მიმართა წინამძღოლს „თეთრმა ხორცმა".

„მეშინიაო", — უპასუხა წინამძღოლმა. იმან კი ისევ ალერსიანი ვედრებით მიმართა: „განმათავისუფლე. არაფერ ცუდს არ გიზამ. დაგასაჩუქრებ კიდეცაო".

წინამძღოლი შეცოცდა ხეზე და ძლივს მოასწრო გენია ბადის ხლართისაგან გაენთავისუფლებინა, რომ გენია სწრაფად შეახტა კისერზე წინამძღოლს, კარგა მოიკალათა მის ზურგზე და დაუყვირა: „მალე ჩამოდი ხიდან და შენ ქოხში წამიყვანეო". „კარგიო", — უთხრა წინამძღოლმა, მხოლოდ კისერზე ნუ მაზიხარ, ჩამოდი და ერთად წავიდეთო". გენიამ უარი თქვა და წინამძღოლიც ზურგზე ტვირთმოკიდებული წავიდა თავის ქოხისაკენ.

მივიდნენ ქოხთან. „ეს ვინ მოგიყვანიაო?" — შეშინებული შეეკითხა დედა წინამძღოლს.

— ეს უთუოდ უცხოელი გენია უნდა იყოს. არ ვიცი საიდან არის, ვინ ბრძანდ-
რა უნდა... დამაჯდა კისერზე და ვერ მომიშორებია.

— გეყოფა ლაყბობა, — თითქო დაირგვინაო უცხოელმა, —აქ მოიტანეთ ყველ-
ლაფერი, რაც კი მომარაგებული გაქვს, რაც გაბადია.

შემდეგ კი მოდგა და ჭამა და ჭამა, რაც რომ წინამძღოლს გააჩნდა, თან-
არავის ნება არ მისცა სუფრა გაეზიარებინათ. ამის მადლობის მაგიერ წინამძ-
ღოლს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა: თავზე დააფურთხა.

„ახლა კი თავი დამანებეო,— მიმართა წინამძღოლმა თავის შემვიწროე-
ბელს. — აგერ მარგალიტი, სამაჯურები. წაიღე ყველაფერი ეს და წადი იქ, სა-
იდანაც მოხვედიო“. მაგრამ თხოვნა არ გაუვიდა. იძულებული იყო მძიმე ტვირ-
თის ქვეშ მოხრილიყო, მხოლოდ, როცა დაღამდა, წინამძღოლი წავიდა დასაძი-
ნებლად, მაგრამ ტვირთს მაინც ვერ იშორებდა. მაინცდამაინც როცა თეთრს
დაეძინა, წინამძღოლი გაუსხლტა თავის მაბეზარ სტუმარს და მოინდომა თავის
დახსნა. აიღო თავისი საუკეთესო იარაღი, სამკაულები და მიაშურა სხვა მეგობ-
რულ ტომის წინამძღოლს, რომ მისთვის თავ-შესაფარი მიეცა.

მან უამბო მეზობელს რა უბედურებაც დაატყდა თავს. მეზობელს შეებრა-
ლა, შეივრდომა და დაჰპირდა, რომ თეთრი გენიისაგან დაიცავდა. მაგრამ ატყდა
საშინელი ქარიშხალი, ცა ღრუბლებმა მოიცვა და სტუმართმოყვარე მასპინძელ-
მა შევრდომილი დაითხოვა.

გაძევებულმა ახლა სხვა ტომებს მიაშურა. მას ყველგან ღებულობდნენ,
მაგრამ თეთრი გენია გამოჩნდებოდა თუ არა, აძევებდნენ.

ამგვარად წინამძღოლი მიადგა კუნძულის საზღვარს და აქ ზღვის პირას
ღაინახა ორი ლამაზი ბიჭუნა. შესჩივლა მათ თავის გაჭირვება, იმათაც შეებ-
რალათ და უთხრეს, რომ მათთან ერთად ზღვის სიღრმეში ჩაშვებულიყვნენ.

წინამძღოლი დაემორჩილა და ზღვის ფსკერზე მშვენიერი ქოხი აღმოაჩინა,
სადაც ექვსი ქალიშვილი მზად იყვნენ სტუმრის სამსახურად.

თეთრ გენიას მეტი დევნა აღარ შეეძლო, რადგან ცურვა არ იცოდა. მაშინ
ის ავიდა კლდეზე და დაუწყო ძახილი ყველა ფრინველს და უბრძანა, რომ ზღვა
ღაელიათ. ჩიტები დაემორჩილნენ, ქოხი გაიღო, გენიამ მიაშურა, მაგრამ კარებში
შეჰყო თავი თუ არა, ერთ-ერთმა ბიჭუნამ თავი მოჰკვეთა.

ამ ალეგორიას ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ყველაფერი ცხადია.

თეთრი გენია მოტყუებით შევიდა ველურების საცხოვრებელში და აიძულა,
რომ მოსაგერიებლად მათ სისხლი დაეღვარათ.

აღ. ჩავლეიშვილი

ერთი მოთხრობის ტიპიური პერსონაჟები

ტიპიურის ცნება მოიცავს ერთი რიგი მოვლენებისათვის დამახასიათებელს, მთავარსა და პირველხარისხოვანს.

ტიპიური მხატვრულ ნაწარმოებში ვლინდება სახე-ტიპების საშუალებით. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის" ტიპიური სახეები. ადამიანთა მხატვრული სახე კი მხოლოდ მაშინ არის ტიპიური, თუ იგი მხატვრული სიმართლით არის გადმოცემული ტიპიურ გარემოებაში.

ტიპიური ხასიათი, როგორც ცნობილია, ეწოდება ისეთ ლიტერატურულ პერსონაჟს, რომელშიც კონკრეტულ-გრძნობად ფორმაში განსახიერებულია ადამიანთა ამა თუ იმ სოციალური წრის, ფენისა თუ ჯგუფის დამახასიათებელი არსებითი ნიშან-თვისებები.

აქვე იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ ცხოვრების გარემოება შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებში არ იყოს ასახული და წარმოდგენილი ტიპიურად. ლიტერატურაში წარმოდგენილი გარემოება ტიპიური მაშინაა, თუ მასში ხელოვნების ენაზე, სახეების სისტემით, კონკრეტულ-გრძნობად ფორმაში ნაჩვენებია სოციალური ცხოვრების წამყვანი ტენდენციები, ვახსნილია მოვლენის არსი, შემჩნეულია პირველხარისხოვანი, მთავარი და წამყვანი მოვლენის განვითარებაში.

ეგნატე ნინოშვილმა თავის მთელ რიგ მხატვრულ ნაწარმოებებში მოგვცა 80-90-იანი წლების საქართველოს, კერძოდ, გურიის, სოციალური ვითარების ტიპიური სურათი. აქ ნათლად ჩანს ის ძირითადი სოციალური ფენები, რომლებიც ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდნენ. ამის ნათელი სურათი მოცემულია „ჩვენი ქვეყნის რაინდში". ამ ნაწარმოებიდან, ერთი მხრივ, ირკვევა, რომ იმ სოციალურ ვითარებაში, სადაც ბატონობს უსამართლობა, ძალმომრეობა და სადაც მშრომელი ხალხის მჩაგვრელები განუსჯელად დათარეშობენ, შეუძლებელია მშრომელი ადამიანი ბედნიერი იყოს. კერძოდ, ლამაზი მშრომელი ქალისათვის სილამაზე ქცეულა მის დამღუპველ „უპირატესობად". აქ ლაპარაკია არა ისეთი სილამაზის შესახებ, რომლითაც ზოგიერთ ქალს გადაჭარბებით თავი მოსწონს და რომელი სილამაზეც მას ისე ღუპავს, „როგორც დაღუბა რქებმა ირემი", არამედ იმ სილამაზის შესახებ, რომელიც ადამიანის ძვირფას თვისებას წარმოადგენს და ცხოვრებაში დიდი სტიმულის მომცემია, თუ კი სოციალურად სასარგებლო შრომასთან და ბრძოლასთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ ძველად, ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ლამაზ ქალს არ შეეძლო აწყარად გამოეჩინა თავისი სილამაზე. მასზე ნადირობდნენ უსაქმური მკლავაძეები და ამიტომ ლამაზი ქალი მოფარებული უნდა ყოფილიყო. იმ დროს სილამაზე ზოგიერთი მშრომელი გლეხი ქალის დაღუპვის საბაბი ხდებოდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან" ცნობილია, რომ ყმა პეპიას „ჯეირანივით ლამაზი გოგო ჰყავდა: თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი", მაგრამ ერთხელ ეს გოგო საყდარში გამოჩნდა, მას თვალი შეასწრო ბატონმა და თქვა: „კარგი საპროშტავი ყოფილაო". რო-

გოლ ვიცით, იგი შემდეგ გააუბედურა უნამუსო დათიკომ. ასეთივე ბედი ეწია ნატოს დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ და საერთოდ ასეთი იყო ბედი მშრომელი ქალისა ბატონყმობის დროს. მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც არ გამქრალა ასეთი დამოკიდებულება მშრომელი ქალისადმი.

დესპინეს შეუყვარდა სპირიდონ მცირიშვილი, წაჰყვა მას ცოლად და სიამტკბილობით ცხოვრობენ. პატიოსნად ემსახურებიან ხალხს. „ორივე ისე ზრუნავს სოლისათვის, რაკარც კაი დედ-მამა შვილის აღზრდაზეო“, — ამბობდა ხალხი“.[1] ერთხელ სპირიდონი და დესპინე სოფელში მიდიოდნენ სპირიდონის დედასთან. მატარებლით უნდა ემგზავრათ და აი ისინი ერთ რკინიგზის სადგურში მივიდნენ. დესპინე იყო: „თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალი. ლამაზად მოყვანილი, საშუალოზე ცოტა მომაღლო ტანისა, ფერმკრთალი, სწორი პირსახე, დიდრონი შავი თვალები, მსხვილად დაწნული წელამდე წაბლისფერი თმა ჰქონდა, რაღაც ისეთი, როგორც იტყვიან, სანდომათ იყო შემკობილი, რომ თვალის მოშორება გაგიძნელდებოდათ“ (გვ. 347).

სადგურზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. აქვე იყო ზემოური აზნაური ტარიელ ერეკლესძე მკლავაძე. იგი ქეიფისმოყვარული იყო და ხშირად ჩადიოდა სადგურზე დროის გასატარებლად. ტარიელს ახლდა ამხანაგები. დაინახეს თუ არა დესპინე, „დაიწყეს მის ახლოს სიარული და ისეთნაირად უმზერეტდნენ, თითქოს ეს ქალი კი არა, გასაყიდი საქონელია და ხელიდან არ უნდა გაუშვანო“ (გვ. 347). ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ასეთ თავდასხმას განსაკუთრებით ლამაზი მშრომელი ქალები განიცდიდნენ, რადგან უსაქმური რაინდებისათვის მხოლოდ ასეთი სოციალურად დაჩაგრული ქალები წარმოადგენდნენ დატკბობისა და სიამოვნების წყაროს. მართალია, გაბატონებული კლასისა თუ წოდების ლამაზი ქალების სილამაზეც ხვდებოდა წინააღმდეგობას. ასეთი მდგომარეობაა „ვეფხისტყაოსანში“. აქაც ლამაზი ქალი ცხოვრებამ ქაჯეთის ციხეში მოაქცია, მაგრამ საბოლოოდ მდიდარი ლამაზი ქალების ბედი მაინც ბედნიერებით დამთავრდა, მათთვის მაინც შესაძლებელი გახდა საოჯახო ბედნიერება. ღარიბი მშრომელი ლამაზი ქალის ბედი კი ასეთი ბედნიერებით ხშირად არ მთავრდებოდა და აშაში მდგომარეობს ვითარების ტიპიურობა. აქ ჩანს ეპოქის წამყვანი ტიპიური ტენდენცია.

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“ გარემოების ტიპიურობა გამოვლენილია ტარიელ მკლავაძის ტიპიური ხასიათის მოქმედებით. ტარიელი ტიპია იმიტომ, რომ იგი გამოხატავს [illegible] ურთა წოდების სოციალურ არსს, მაგრამ არა მთელი თავადაზნაურობის, არამედ უმეტესად იმ ფენის არსს, რომლის „თვალში ძველებურ რაინდობას, ესე იგი ძალმომრეობას, ჯერ კიდევ შერჩენოდა გვირგვინი“ (გვ. 353). ხალხს ახსოვდა, რომ მკლავაძეების წინაპრები „სუსტებს და ხელქვეითებს ანადგურებდნენ და აწიოკებდნენ“ (იქვე). პატარა ტარიელს მშობლებმა ხანჯლის ტარება დააწყებინეს. იგი სწავლაში სრულიად სუსტი აღმოჩნდა. როდესაც ტარიელი წამოიზარდა, თანდათან გამედიდურდა და „ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ მას, როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს სრული უფლება აქვს დასტკბეს ამქვეყნად, იგემოს ეს ქვეყანა, თუნდაც ამ დატკბობას სხვების სიცოცხლე და ბედნიერებაც შეეწიროს მსხვერპლადო. ლტოლვილობა დატკბობისა ტარიელისათვის გამოირკვა ორ საგანში — ქალებში და ღვინოში. ეს ორი საგანი შეიქნა ტარიელისათვის სიცოცხლის მიზნად... ძლიერ აწუხებდა ტარიელის თავგასულობა მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლეხკაცობას, თითქოს მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყურებდა ტარიელი გლეხკაცის ქალებს... მეტადრე ცუდი ის იყო, რომ ტარიელმა ძალის ხმარება იცოდა იმ მანდილოსანზე, რომელიც ნებით არ დანებდებოდა. ერთხელ ერთი გლეხის ცოლი ძალად გაიტაცა გზიდან იმ დროს, როცა ამ უკანასკნელს ყანაში მყოფ ქმართან სადილი მიჰქონდა. მეორეჯერ ახლად ჯვარდაწერილ გლეხის ცოლს ძალით შეუმტვრია კარები იმ დროს, როცა იმ ქალის ქმარი სხვაგან იყო, ერთი მეზობელი გლეხკაცის ლამაზი ქალი მოიტაცა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდა სადღაც“ (გვ. 356-357). მოთმინებიდან გამოსულმა გლეხკაცობამ ტარიელს შეუდგინა განაჩენი და მისი თავიდან მოცილება მოისურვა. მაგრამ მთავრობა ტარიელის მხარეზე იყო და ამიტომ ვერაფერი აწყინეს. ასე დათარეშობდა ტარიელი სოფლად და იკლებდა იქაურობას.

აქამდე ავტორი ჩვენ მხოლოდ ჩამოგვითვლიდა ტარიელის მიერ ჩადენილ „სარაინდო“ საქმეებს. მწერალი რომ ამით დაკმაყოფილებულიყო, მაშინ ჩვენ საქმე გვექნებოდა სქემასთან და არა მხატვრულ სახესთან. მწერლის ამოცანა კი ის არის, რომ შექმნას ცოცხალი მხატვრული ტიპიური სახეები, და აი სადგურზე დატრიალდა ამბავი. ტარიელმა დესპინეს სილამაზეს შეუტია და ამით მან კონკრეტულად გა-

1 ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 370 (შემდეგშიც ციტატები მოტანილი იქნება ამ წიგნიდან — ა. ჩ.).

მოაელინა თავისი ანტიხალხური ბუნება.

ტარიელის ამხანაგმა დათიკომ სცადა დესპინეს გაცნობა, მაგრამ ვერ შეძლო და ასე ჩაიშალა პირველი ცდა. ამის გამო ტარიელმა უთხრა დათიკოს:

„— მაშ გაგვიფრინდა ხელიდან? ცოტა აკლია პოეზიაც ჩამოიცლის და, მშვიდობით.

— შე დალოცვილო, ვინც კი მოგვწონება, ყველამ შენს ხელში გაიაროს, ის გინდა? აქ რკინიგზაა, მთელი მილეთის ხალხი მიდი-მოდის, იმათში რამდენი ლამაზი ქალი გამოერევა ყველას შენ ვინ მოგცემს გასათეალად? — შენიშნა ხუმრობის კილოთი ტარიელს დათიკომ.

— ერიჰა, მოჰყევი შენებურად რახუნს! ვინ ამბობს ყველაო! მარა თუ კი ძვირფასი ლალი იაფ ფასად იშოვება და მაინც კი ვერ ახერხებ ხელში ჩაგდებას, გული დაგწყდება, მიხვდი? ამისთანა ლამაზი ქალი მოდის სოფლიდან, მცველად ახლავს ერთი კოღო, რომელსაც ერთი მძლავრად ამოისუნთქო, ჰაერში გააფრენ. აი, ასეთ შემთხვევაში რომ ვერას გახთები, საწყენათ დაგრჩება. თორემ იმ ქალს რომ ერთი დარდიმანდი, შეიარაღებული ყმაწვილი კაცი იახლოს, მაშინ გულიც არ შემექნებოდა მაზე — თქვა ტარიელმა და განაგრძო ამხანაგითურთ ლამაზი ქალის სიახლოვეს სეირნობა. ის ისე უმზერდა ამ ქალს, როგორც მგელი ბატკანს“ (გვ. 350. კურსივი ჩემია — ა. ჩ.).

როგორც ვიცით, დესპინე და სპირიდონი იმ დღეს ველარ წავიდნენ სოფელში, რადგან გზაზე ზვავი ჩამოწვა და მატარებელმა დაიგვიანა. ამის გამო ცოლ-ქმარმა ნაცნობ მეღუმენესთან გაათიეს ღამე. საშინელი იყო ეს ღამე. ჯერ იყო და ტარიელის ამხანაგებმა დესპინეს მოტაცება სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს და ამიტომ ვერ შეუსრულეს სურვილი „გიჟ ტარიელს“. ამის შემდეგ საქმეში ჩაება თვითონ ტარიელი, რომელიც თავისი ამხანაგებითა და არღნით იმავე ღამეს სპირიდონის ოთახს მიადგა, მაგრამ სპირიდონმა ისინი ოთახში არ შეუშვა. გაჯავრებული ტარიელი „აგინებდა სპირიდონს დედას და ცოლს ისე უშვერი სიტყვებით, რომ მაყურებელნი ყურებში თითებს იცობდნენ“. ასეთი ჯოჯოხეთური იყო ის ღამე, მაგრამ მათ უფრო უარესი დღე გაუთენდათ. თითქოს ბუნებამაც იგრძნო ეს უბედურება: „მოღრუბლული დილა იყო და უსიამოვნო ქარი ქროდა“. და სწორედ ამ დღეს გალახა ტარიელმა სპირიდონი. ალბათ, მოკლავდა, რომ მშველელებს არ მიესწროთ: „ამათ სწორედ ისეთ დროს მოუსწრეს, როცა ის იყო, გაცხარებულმა ტარიელმა სტაცა მიწაზე დაცემულ სპირიდონს ცალ ფეხში და მეორე ფეხი თავის ფეხით მიწაზე დაუჭირა და უპირებდა გახლეჩას“ (გვ. 332). ასე გალახლილნი, შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი დაშორდნენ სპირიდონ მცირიშვილი და მისი ლამაზი მეუღლე რკინიგზის სადგურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავია: ეგნატე ნინოშვილმა რატომ აიღო მოთხრობის კვანძად ასეთი შემთხვევითი მოვლენა? განა იმ დროს არ შეიძლებოდა, რომ ლამაზ მშრომელ ქალს თავისუფლად და უხიფათოდ ემგზავრა მატარებლით? ეგნატე ნინოშვილი ტენდენციურად ხომ არ იქცევა, ე. ი. ხომ არ ცდილობს, რომ განგებ წარმოგვიდგინოს არატიპიური ტიპიურად? ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნინოშვილი არ იქნებოდა დიდი ხელოვანი და, თუ მან ლამაზი დესპინე თავის ქმართან ერთად დაუბრკოლებლად არ ამგზავრა მატარებლით, ეს იმიტომ, რომ ამით დაიცვა ტიპიზაციის მარადიული კანონი: ხელოვნებამ უნდა გვიჩვენოს არსებითი, წამყვანი, დამახასიათებელი და ამით გახსნას ობიექტური კანონზომიერება.

რასაკვირველია, დესპინეს შეეძლო დაუბრკოლებლად ემგზავრა იმ შემთხვევაში, თუ კი სადგურზე არ იქნებოდა ტარიელის მსგავსი პიროვნება. მაგრამ რაკი იქ გამოჩნდა ლამაზ ქალებზე მონადირე ტარიელი, მშრომელი ლამაზი ქალი უხიფათოდ ვერ წავიდოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვეოდა ტიპიური ხასიათის ტიპიურ გარემოებაში მართლად გადმოცემის კანონი.. ტარიელის ხასიათის გაცნობის შემდეგ შემთხვევითად აღარ გვეჩვენება ის, რაც დესპინესა და სპირიდონს შეემთხვა. კონფლიქტი გარდუვალი იყო და იგი გამომდინარეობდა ტარიელის ხასიათისაგან. რასაკვირველია, მიზეზი დესპინეს სილამაზეც არის, რადგან დესპინე რომ არ გამოირჩეოდეს თავისი სილამაზით, მაშინ იგი არ მიიპყრობდა ტარიელის ყურადღებას, მაგრამ თუ ეს სილამაზე დესპინეს დაღუპვის საბაბი გახდა, ამაში თვით ექსპლოატატორული საზოგადოებაა დამნაშავე და არა ლამაზი დესპინე.

დესპინესა და სპირიდონისადმი ტარიელის აღვირახსნილი მოქმედება რომ შემთხვევით მოვლენად მიეჩნია მწერალს, მაშინ იგი არც მოთხრობას დაწერდა, რადგან კარგად იცოდა, რომ „მოთხრობის მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასდროს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედააზრათ. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი უნდა იხატებოდეს მოთხრობაში“ (გვ. 602).

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“ გადმოცემული მოვლენა ცხოვრებისეული ფაქტია. მაგალითად, თეიმურაზ ჭიჭინაძის მოგონებიდან ცნობილია, რომ „ს. ბანძაში ცხოვრობდა ერთი თავზე ხე-

ლაღებული, დარდიმანდი, მოქეიფე თავადი, სარდიონ მურზაყანის ძე ფაღავა. ის ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, როცა აკლებული ჰქონდა მთელი ბანძა და სხვა სოფლებსაც სწვდებოდა მისი ავზნეობა... ბანძაში ახლადგახსნილ ერთკლასიან სკოლაში დაუნიშნავთ ახალგაზრდა მასწავლებელი დავით ბზიავა თავის ახლადშერთული მეუღლით, რომელსაც სახელად დესპინე რქმევია. აი, ეს ლამაზი დესპინე, მასწავლებლის ცოლი, თვალში ჩავარდნია გამხეცებულ სარდიონს და დროის შერჩევაც დაუწყია, რომ მოეხერხებია მისი გატაცება"... ერთ დღეს ს. ფაღავამ დესპინე გაიტაცა, მაგრამ სოფლელებმა გზა შეუკრეს და ქალი გადაარჩინეს: „გულწასული, თმაგაწეწილი, ტანსაცმელ შემოხეული დესპინე ქვითინებდა... გაწბილებული ფაღავა ცხენზე მჯდარი შორიდან იმუქრებოდა. ბზიავა მისკენ იწევდა, მაგრამ აკავებდნენ. ეს იყო და მეორე დღესვე დავ. ბზიავა თავისი ცოლით ბანძიდან წავიდა... შემდეგ გავიგეთ, რომ ბზიავა აბაშაში დაბინავებულიყო. მისი მეუღლე დესპინე ამ ინცინდენტის შემდეგ დიდხანს ლოგინად ყოფილა ჩავარდნილი. თუ რა ბედი ეწია შემდეგ, აღარ ვიცით". ეს მოგონება ინახებოდა ზაქარია ჭიჭინაძესთან, „საცა ადვილად შეეძლო ეს კორესპონდენცია წაეკითხა" ეგნატეს. „ამგვარად, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის" სიუჟეტი და გმირთა პროტოტიპებიც მიგნებულად უნდა ჩაითვალოს", წერდა ს. ცაიშვილი თავის წერილში „ეგნატე ნინოშვილის ერთი მოთხრობის სიუჟეტისა და პროტოტიპის შესახებ" (იხ. გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949 წ., 27 მარტი):

ტარიელ მკლავაძის სახე ტიპიურია, რადგან იგი გამოხატავს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თავადაზნაურთა წოდების სოციალურ არსს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამავე წოდების არსს გამოხატავს იასონ უქმაძეც „ქრისტინეში". საკითხავია: თუ კი გამოსახატავი ერთი და იგივეა, მაშინ გამოხატვის შედეგი რატომ არის სხვადასხვაგვარი? საქმე ისაა, რომ ლიტერატურული ტიპი არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სოციალური არსისადმი ადამიანის შესაბამისობას. ასე რომ იყოს, გაქრებოდა ის კონკრეტულ-გრძნობადი, რომელიც ტიპიური სახის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს. ეგნატე ნინოშვილის მხატვრული ოსტატობა მაღალია იმით, რომ იგი თვითეულ სახეს ძერწავს მისი ინდივიდუალური ცხოველმყოფელობით. ერთი სოციალური ფენის პერსონაჟები ერთმანეთის მსგავსი არიან, მაგრამ ამავე დროს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტარიელი და იასონი ორივე პარაზიტია. ორივე აუბედურებენ ლამაზ მშრომელ ქალებს, მაგრამ თვითეული მათგანი სოციალურ [illegible] ინდივიდუალურ ფორმაში [illegible] მაგალითად, თუ მიზნის განხორციელების საშუალებად ტარიელმა უხეში ფიზიკური ძალმომრეობა აირჩია, იასონ უქმაძემ სხვა ხერხს მიმართა. „იასონმა ამოიღო უბიდან წითელ ხავერდში გამოკრული პატარა საჯიბე ხატი... მოხადა პირი, დაიწერა პირჯვარი და დაიწყო:

— ვფიცავ ამ ნაწილიან ღვთისმშობლის ხატს, რომ მე შენს გარდა სხვა ქალი არ შევირთო. ამის მადლი გაუწყრეს შენ მოღალატეს. აჰა, გჯერა თუ არა?" (გვ. 243-244).

აი ამ ცბიერი ხერხით, რელიგიური ცრურწმენით მიაღწია იასონმა საწადელს, მოატყუა ქრისტინე და გააუბედურა იგი.

ამრიგად, ტარიელს იასონისაგან განასხვავებს მისი მკლავღონიერობა, აგრეთვე სხვა ინდივიდუალური ნიშნები, რაც მწერალს საშუალებას აძლევს გვიჩვენოს ტიპიური ხასიათი ტიპიურ გარემოებაში.

2

ტიპიური ხასიათია ტიპიურ გარემოებაში სპირიდონ მცირიშვილიც. იგი მოქმედებს იმავე სოციალურ გარემოში, რომელშიც ტარიელ მკლავაძე. მართალია, იმ დროს სპირიდონის მსგავსი პირები არც ისე ხშირად გვხვდებოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ტიპიური იყვნენ, რადგან ტიპიური შეიძლება იყოს არა მხოლოდ ის, რაც მასობრივია და გავრცელებული, არამედ ისიც, რაც იშვიათია და ნაკლებგავრცელებული. ისინი წარმოადგენენ ისეთ ნაკლებგავრცელებულ დადებითს, რომელთაც ჰქონდათ ტენდენცია გამხდარიყვნენ მასობრივი, მაგრამ ამ გზაზე ხვდებოდათ დიდი დაბრკოლება— მაშინდელი ტიპიური გარემოება ზღუდავდა მათ წინმსვლელობას. სპირიდონ მცირიშვილს წინ გადაეღობა დეგენერატი ტარიელ მკლავაძე და მათი შეჯახება დაიწყო რკინიგზის სადგურზე. ერთი შეხედვით, აქ საქმე გვაქვს წმინდა პიროვნულ კონფლიქტთან — ქმარი გამოესარჩლა შეურაცხყოფილ ცოლს. რასაკვირველია, არ შეიძლება ამ მომენტის დავიწყება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ დესპინე პირველი ქალი როდია, რომელიც ტარიელ მკლავაძემ შეურაცხყო და გააუბედურა. ჩვენ ზევით ვნახეთ, თუ რამდენი გლეხის ქალი შეურაცხყო და რამდენი გლეხკაცის ოჯახი გააუბედურა ტარიელმა. ამდენად, ტარიელისა და სპირიდონის შეჯახება არა მარტო პიროვნული, არამედ სოციალური ხასიათისაა. ტარიელის სახით სპირიდონი ებრძვის ყოველგვარ უსამართლობასა და ბოროტებას საერთოდ.

სპირიდონ მცირიშვილი, როგორც ვიცით, საერთოდ დაჩაგრული ადამიანების დამცველია და მთელი ცხოვრება მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას შესწირა. იგი იყო გლეხაცის შვილი და საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა შორეულ სოფელში. „გავიდა ოთხი წელი, ამ დროს განმავლობაში სპირიდონ მუყაითად შრომობდა, როგორც სკოლაში, შეგირდებთან, ისე თვითონ სკოლის გაუმჯობესებისათვისაც. ხალხს ძლიერ შეუყვარდა სპირიდონი, რადგან დაინახა, რომ სპირიდონი არ სჯერდებოდა ფორმალურად ბავშვების სწავლებას. ის ხალხის მასწავლებელი იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღწვოდა მათი წარმატებისათვის“ (გვ. 366).

როგორც ცნობილია, ეგნატე ნინოშვილმა სპირიდონ მცირიშვილის მხატვრულ სახეში შეიტანა ზოგიერთი რამ საკუთარი ბიოგრაფიიდან. კიდევ მეტი, შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ მთელი თავისი მებრძოლი ცხოვრება მწერალმა სპირიდონ მცირიშვილის სახეში ჩააქსოვა. ამას არც ნინოშვილი უარყოფდა. აი რას წერდა იგი ალექსანდრე თოიძისადმი წერილში: „მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი, მცირიშვილი, ერთ ჩემს ნაცნობს ჰგავსო, ამბობს. რაღა მოთხრობის ავტორს. მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნობით, ისე კი, მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“ (586). მართალია, სპირიდონ მცირიშვილის მსგავსად ეგნატე ნინოშვილს ტყვიით კაცი არ მოუკლავს, მაგრამ მისმა პატარა კალამმა არა ერთი მომაკვდინებელი მახვილი ჩასცა იმდროინდელ სოციალურ ბოროტებასა და უკუღმართობას.

სპირიდონ მცირიშვილი მართლაც ჰგავს ე. ნინოშვილს თავისი ჰუმანიზმითა და ხალხის უანგარო სამსახურით: ეგნატე მეტისმეტად ჰუმანური და გულისხმიერი პედაგოგი ყოფილა, ძალას და ენერგიას არ იშურებდა, რომ მოსწავლეთათვის საფუძვლიანი ცოდნა მიეცა, ბევრ ახალგაზრდას სრულიად უსასყიდლოდ ამეცადინებდა თავის ბინაზე. ეგნატეს ერთი მომსწრეთაგანი იგონებს: „ერთხელ მოზრდილები ლელოს ვთამაშობდით ჩოჩხათში. კარგადაც ვთამაშობდით. ხალხი ინტერესით გვიყურებდა, მათ შორის ეგნატეც. თამაში რომ გათავდა, ეგნატემ რამდენიმეს დაგვიძახა და გვითხრა: „ლელოს თამაში კარგად გცოდნიათ, მარა წერა-კითხვა თუ იცითო“. ჩვენ უარის ნიშნად თავი გავიქნიეთ. „არ გინდათ, რომ წერა-კითხვა ისწავლოთ. განა უსწავლელი კაცი ვარგა ამ დროში?“ ჩვენ ვუპასუხეთ: „კი გვინდა, მარა, ვინ უნდა გვასწავლოს“. მაშინ ეგნატემ გვითხრა: ჩემთან იარეთ ბინაშიო. მართლაც, ყოველ კვირაში რამდენიმე დღეს დავდიოდით მასთან და წერა-კითხვა ყველას შეგვასწავლა. მაგრამ ჩვენი მეცადინეობა მოულოდნელად შეწყდა. როცა [illegible] ბობოლებმა და უვიცმა პირებმა გაიგეს, რომ ჩვენ ეგნატესთან დავდიოდით, ხმა გაავრცელეს: „მაგი (ეგნატე) ურწმუნოა და ყველას გადაარჯულებსო“. იმდენი უჩიჩინეს ჩვენს მშობლებს, რომ იძულებული გაგვხადეს ეგნატესთან მეცადინეობა შეგვწყვიტა“ (მიხ. კეკელიძე, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, იხ. გაზ. „სახალხო განათლება“, 1952 წ. № 48).

ამავე დროს ეგნატე მეტად პრინციპული და უშიშარი ადამიანი იყო და საგულისხმოა, რომ მოთხრობაში ერთ ადგილას სპირიდონ მცირიშვილის შესახებ ამბობს: „არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიში იყო“ (გვ. 366), ე. ი. ნინოშვილის მსგავსად, სპირიდონი იყო გაბედული, პრინციპული და გულმართალი ადამიანი. ეს კარგად ჩანს იმ წერილიდანაც, რომელიც კონფლიქტის მოგვარების მიზნით გაუგზავნა მან ტარიელ მელავაძეს:

„თქვენო კეთილშობილებავ, ტარიელ ერეკლეს ძეს!.. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ წუხელ ვერ მივიღეთ. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ერთმანეთთან გაცნობილი არ ვართ. ამასთან კიდევ თქვენ და თქვენი მეგობრები, უკაცრავად არ ვიყო ამის თქმისათვის, და ღვინისაგან შექეიფიანებულები ბრძანდებოდით. აბა, როგორ უნდა მიგვეღეთ ამისთანა პირობებში, ისეთ უდროო დროს (შუაღამისას ლოგინში მწოლარეს). ასეთ დანაშაულს (თუ კი ეს დანაშაულია), იმედია გვაპატიებთ. რაც შეეხება მას, რომ გიბრძანებიათ — გვლანძღაო, სინდისს გეფიცებით, არ მახსოვს, რომ სალანძღავათ, ერთი სიტყვა რა არის, წამომცდენოდეს თქვენს ან თქვენი ამხანაგების პიროვნებაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებათ არა მაქვს ადამიანების ლანძღვა-გინება. ვინიცობაა გამიწყრა ღმერთი და გაღვიძების დროს უნებლიეთ წამომცთა რამ ავი (კიდევ დავიფიცავ, რომ მე არაფერი მეგულება ისეთი), იმ შემთხვევაში მორჩილათ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე და გთხოვთ მაპატიოთ დანაშაული. იმედი მაქვს, რომ ამ ბოდიშის შემდეგ, როგორც კარგი ვაჟკაცი, აღარ მოიწადინებთ შურისძიებას. თუ მაინცდამაინც არ დაგაკმაყოფილათ ამ ჩემმა ბოდიშმა, იმ შემთხვევაში, გთხოვთ წინდაწინვე გვაცნობოთ ეს, რომ ჩვენც მოვემზადოთ დასახვედრათ. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც კარგი ვაჟკაცი, მოულოდნელათ არ დაგვესხმით თავს. როცა მეცოდინება, რა ვუყოთ, რაც მოსავალია, მოვიდეს. მართალია, მე თქვენთან

ვაჟკაცობაში, ესე იგი მკლავღონიერობაში თავი არ მომჰქვს, მაგრამ თანასწორი იარაღით ბრძოლას არ გავექცევი (რომ გავიქცე, სანამდის უნდა ვიმალო"). (გვ. 379).

ამ წერილში სრულყოფილად ჩანს ეგნატე ნინოშვილის მსოფლმხედველობის ძლიერი და ჩრდილოვანი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, მასში სწორად არის დასაბუთებული სპირიდონის მიერ ტარიელისა და მისი ამხანაგების არმიღების სამი საპატიო მიზეზი (ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, ამასთან ტარიელი და მისი ამხანაგები შექეიფიანებული იყვნენ, იყო სტუმრიანობის შეუფერებელი დრო — შუაღამე), მაგრამ მთავარი ამ წერილში მაინც ეს არ არის. ჩვენ გვხიბლავს სპირიდონის ვაჟკაცური შემართება, მისი გაბედულება: „თუ მაინცდამაინც არ დაგაკმაყოფილათ ამ ჩემმა ბოდიშმა, იმ შემთხვევაში, გთხოვთ, წინდაწინვე გვაცნობოთ ეს, რომ ჩვენც მოვემზადოთ დასახვედრათ". როგორც ვხედავთ, სპირიდონი არ სწერს ტარიელს, თუ თავს არ დამანებებთ, მაშინ იძულებული ვიქნები მთავრობას მივმართო და მისი საშუალებით ჩემი პიროვნების ხელშეუხებლობა უზრუნველვყოო. მაშასადამე, სპირიდონმა არ მიმართა პოლიციას, რადგან, დესპინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოლიცია ვერაფერ მფარველობას გაუწევდა" (გვ. 379). რატომ ვერ გაუწევდა? იმიტომ, რომ პოლიცია მკლავაძეებს იცავდა. „ძველ დროში პატიოსანი ადამიანი თავს ვერ დაიცავდა ისეთი ვიგინდარებისაგან, როგორიც ტარიელი და მისი ამხანაგები არიან. ავტორი ხაზს უსვამს ამ მდგომარეობას, — ლაპარაკია იმ დიდ უფსკრულზე, რაც არსებობდა ძველ დროში ხალხსა და მთავრობას შორის" (ი. ჯიქია, „ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის" ტექსტზე მუშაობა" იხ. „მასწავლებელთა გამოცდილებიდან", 1954 წ. გვ. 78).

მაშ, სად უნდა ეძებნა თავისი ინტერესების დამცველი სპირიდონ მცირიშვილს? ვის უნდა დაყრდნობოდა იმ დროს ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი? იგი ხალხს უნდა დაყრდნობოდა, ხალხი უნდა დაერაზმა. მაგრამ სპირიდონმა ეს გზა ვერ ნახა და ამიტომ ხალხისაგან იზოლირებული აღმოჩნდა. მას მასობრივად არ გამოქომაგებიან. მართალია, ზოგიერთი პიროვნება აჩერებდა ტარიელს, მაგრამ ვერ გაბედეს საკადრისი მიეზღოთ მისთვის და ფეხქვეშ გაითელა სპირიდონის ადამიანური ღირსება. იგი გალახული წავიდა სადგურიდან. „ხალხი დიდხანს ჭიკინებდა ამ შემთხვევის გამო. ვინ სპირიდონს დებდა ბრალს: „წუხელ თურმე სულ რუსულა აგინა ტარიელს და აბა ტარიელ როგორ შეარჩენდა გინებასო". ვინ იმას ამბობდა — „ტარიელ იმან გაიცინეთ, რომ თურმე დუელში გამოიწვია სპირიდონმა"... ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ამბავ-რეს... მხოლოდ ორ-სამგან ჰმუსავდნენ ყაბრეს ტარიელის საქციელზე და ამბობდნენ: — ეს ვაჟკაცობა კი არა, მხეცობა არისო" (გვ. 384). როგორც ჩანს, ხალხის დახმარება მხოლოდ წარბების ჰმუხვაში გამოიხატა და სპირიდონმა თვითონ გაუსწორა ანგარიში ტარიელ მკლავაძეს — რამდენიმე წლის შემდეგ იმავე რკინიგზის სადგურზე მოკლა იგი.

მკელლობისათვის სადგურზე მოსამსახურე ჟანდარმმა (რომელიც თავის დროზე არ გამოექომაგა მცირიშვილს) დაატყვევა სპირიდონი: „შეადგინა ოქმი და წარადგინა სპირიდონითურთ, სადაც ჯერ იყო" (გვ. 394). როგორც ვხედავთ, ჟანდარმმა ოქმი წარადგინა სპირიდონითურთ და არა სპირიდონი ოქმითურთ. ამ ერთი წინადადებით ეგნატე ოსტატურად გვიჩვენებს გულქვაობას ჟანდარმისას, რომელიც ოქმით უფროა დაინტერესებული, ვიდრე უდანაშაულო პიროვნების ბედით. აქედან აშკარად ჩანს, რომ ეგნატე ნინოშვილი დეტალების ოსტატია. დეტალების სწორად გადმოცემა კი რეალიზმის განუყოფელი თვისებაა, ხოლო დეტალების სიმართლის საზომი ის არის, თუ რამდენად უწყობს ხელს იგი ტიპიურის მთელი სისრულით და ცხოველმყოფელობით გამოვლინებას. ეგნატე ნინოშვილი ტიპის ხატვის ოსტატია და ეს ნათლად ჩანს სპირიდონის მხატვრულ სახეშიც. როგორც ვნახეთ, სპირიდონი ინდივიდუალურად გაუსწორდა ტარიელს. „სამსჯავროში სპირიდონი სრულიადაც არ ცდილობდა, რომ გამართლებულიყო. მან მხოლოდ თავიდანვე უამბო მსაჯულებს საქმის გარემოება. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა სპირიდონს ციმბირს გადაგზავნა და იქ მადნებში მუშაობა, მაგრამ მადნამდე ვერ მიუღწევია. სპირიდონი გზაში გარდაიცვალა" (გვ. 394).

ასე შეეწირა სპირიდონი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ მიუღებელია გ. ქიქოძის მოსაზრება, რომელიც მან გამოთქვა თავის წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია. მე-19 საუკუნე." „ქართველი მკითხველისათვის მიუღებელია სპირიდონ მცირიშვილივით ბეჩავი მამაკაცი, რომელიც ცხოვრების საბრძოლო ასპარეზზე მთავარ იარაღად წიგნს იყენებს, რევოლვერს კი მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს, როცა საყვარელი არსება დაჰკარგა" (გვ. 311). ამ ციტატის ბოლო ნაწილი, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი სპირიდონ მცირიშვილს ტარიელ მკლავაძის მაშინვე არმოკვლას უსაყვედურებდეს, არამედ იმას, რომ იარაღი მან მხოლოდ მაშინ გამოიყენა,

როცა მისი ცოლი შეურაცხყვეს და თვითონაც ფეხქვეშ გათელეს. იარაღი სპირიდონს უნდა ეხმარა არა მხოლოდ ახლა, არამედ უწინაც, ისეთი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც სახალხო საქმეს ძირს უთხრიდნენ და მშრომელ ადამიანებს დაუნდობლად ჩაგრავდნენ. მანამდე იგი „ცხოვრების საბრძოლო ასპარეზზე მთავარ იარაღად წიგნს იყენებს“, რევოლვერი კი მხოლოდ მაშინ იხმარა, როცა საქმე პირადად მას შეეხო. ამიტომ, გ. ქიქოძის აზრით, სპირიდონ მცირიშვილი „მკითხველში, ავტორის განზრახვის წინააღმდეგ, სრულიადაც აბსოლუტურ თანაგრძნობას არ იწვევს“ (გვ. 311).

წინააღმდეგ გ. ქიქოძის შენიშვნისა, სპირიდონ მცირიშვილის მხატვრული სახე მკითხველში დიდ სიმპათიასა და თანაგრძნობას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ იარაღს მას შემდეგ მიმართა, რაც საყვარელი არსება დაჰკარგა. ეს უკანასკნელი გარემოება სრულიადაც არ ამცირებს სპირიდონ მცირიშვილს, რადგან დესპინე დაღუპა არა რაღაც ბრმა ფათერაკმა, არამედ საზოგადოების ხორცმეტმა ტარიელ მკლავაძემ. ამიტომ ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია კრიტიკოს სერგი ჭილაიას შემდეგი დასკვნა: „სპირიდონი გვევლინება არა მხოლოდ პირადი შურისძიებით გაბოროტებულ პიროვნებად, არამედ იგი საზოგადოებისათვის, მისი ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანია, რომელსაც გადაუწყვეტია თავისი ხალხის მტერი მოსპოს“ („მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“, 1956 წ., გვ. 86). ის ფაქტი, რომ სპირიდონ მცირიშვილის მოქმედებაში ერთმანეთს დაუკავშირდა პიროვნული და საზოგადოებრივი, კიდევ უფრო ზრდის ამ ტიპის იდეურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას.

სპირიდონ მცირიშვილის, როგორც გმირული სახის, ნაკლოვანი მხარე ის კი არ არის, რომ მან ხალხის მტერი პირადი რანფლიქტის ნიადაგზე მოკლა, არამედ, ის, რომ მისი მოქმედება ინდივიდუალური ხასიათისაა და არ არის დაკავშირებული ხალხის ფფერებასთან. ეს გარემოება მკაფიოდ ცხადყოფს ეგნატე ნინოშვილის მსოფლმხედველობის ჩრდილოვან მხარეს. როგორც ჩანს, მწერალი გადაჭარბებულად აფასებდა განათლებული პიროვნების როლს საზოგადოების გარდაქმნის საქმეში. მარტო სპირიდონ მცირიშვილების წიგნსა და რევოლვერს არ შეეძლო ხალხის ნამდვილი განთავისუფლება. „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ დაიწერა 1893 წელს, ხოლო პირველად დაიბეჭდა 1894 წელს გაზ. „კვალში“. ამ დროს კი საქართველოში უკვე ფაქტი იყო მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობა და მწერალს მოეთხოვებოდა ანგარიში გაეწია ამისათვის. მიუხედავად ამისა, „ნინოშვილი ამ პერიოდის რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. იგი მთლიანად ვერ განთავისუფლდა ნაროდნიკული შეხედულებებისაგან. მას შერჩა რამდენადმე გაზვიადებული წარმოდგენა რევოლუციურ ბრძოლაში ინტელიგენციის როლის შესახებ, ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი ექსპლოატატორული წყობილების ლიკვიდაციის გზებიც, მაგრამ ნინოშვილი მაინც მტკიცე მებრძოლი იყო ცარიზმისა და ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ და დიდი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მობრუნებაში ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ“ („საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, 1957 წ., გვ. 32-33). ასეთი შეფასება, ცხადია, იძლევა ე. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდში“ ტიპიური თავისებურების სწორ ახსნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო სანაძირაძე

ნანა გვარიშვილის პოეზია

ოცი წლის წინათ, 1940 წლის 8 მარტს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაიბეჭდა პატარა ლექსი „სიმღერა“, რომელსაც ხელს აწერდა მაშინ მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი ავტორი ნანა გვარიშვილი. გავიდა ხანი და პოეტმა ქალმა გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ჩემო აჭარავ“ (1948 წ.), ხოლო შემდეგ „მზიური მხარე“ (1950 წ.), „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“ (1953 წ.), „ზღვა და სიყვარული“ (1955 წ.) და, ბოლოს, „ნაკადულები“ (1958 წ.). რომელიც მისი შემოქმედების ოცწლიანი გზის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. ნანა გვარიშვილს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე საბავშვო წიგნი.

ასეთია პირველი აჭარელი პოეტი ქალის ლიტერატურული პროდუქცია. მაგრამ რა არის ყველაზე დამახასიათებელი და ნიშანდობლივი ნანა გვარიშვილის პოეზიისათვის, როგორია პოეტის საყვარელი თემები და მათი მხატვრული ხორცშესხმა, რით განსხვავდება სხვა პოეტებისაგან მისი „ხელწერა?“.

ცნობილია, რომ ყველა პოეტს აქვს თავისი საყვარელი და სანუკვარი თემა (ერთი თუ რამდენიმე), რომელთა დამუშავებისას იგი უფრო ლაღად გრძნობს თავს და უფრო მოქნილად აყენებს ჩანგს. ნ. გვარიშვილის პოეზიაში ასეთი თემებია ქართველი ქალი, ქართული ბუნება და ოჯახი.

ქართველი ქალი! რომელმა პოეტმა (და არა მარტო ქართველმა) არ უმღერა მის კდემამოსილებას, სიტურფეს, ერთგულებას, ვაჟკაცობას... ქართველი ქალი — დედა, მეუღლე, შრომისა და ბრძოლის გმირი — აი, ვის უძღვნა ყველაზე ამაღელვებელი სტრიქონები ნანა გვარიშვილმა:

თუკი გვიყვარს ჩვენი ბუდე,
არწივების ასაფრენი,
ჩვენი ზეცის გალავანი,
ცის სიკეთის დასაყრდენი:
თუკი გვიყვარს საქართველოს
თავჭაღარა მყინვარ-მთები,
ჩვენი თეთრი ბროლის წყარო, —
არასოდეს დავბერდებით.
გამოვზარდოთ ვაჟკაცები
აქუხებდნენ მთების ეხოს,
და შეიკრან ერთად ისე,
რომ ვერავინ გადატეხოს.

ნანა გვარიშვილი განსაკუთრებული გატაცებითა და აღმაფრენით მიმართავს წარსულში დაბეჩავებულ, დღეს კი თავისუფალ აჭარელ ქალებს, რომლებსაც ლექსების მთელი ციკლი „უჩადრონი“ მიუძღვნა. მათგან დიდი გრძნობიერებით გამოირჩევიან ლექსები „ჩემო ბებია“ და „ლურჯი ფარდაგი“, რომელშიც პოეტმა გვიჩვენა წარსულისა და აწმყოს სხვაობა, მოგვცა ძველისა და ახლის დაპირისპირება, ამასთან, რაც მთავარია, თემა გადაწყვიტა არა შიშველი აგიტაციის მეშვეობით, არამედ ჰეშმარიტი პოეტურობით და ბუნებრიობით. იგი იგონებს ბებიას, რომელიც ოდესღაც უსიყვარულოდ გაათხოვეს: „ყურანის წესებს ნორჩი ქალი ვერ აღუდგა, დაემორჩილა, უენო გახდა და მოიკუნტა“. მაგრამ დამკვიდრდა ახალი ცხოვრება და ბებიაც გამოეთხოვა შავ ჩადრს, „ხალიდან ჩაქეში თეთრ მანდილით ჩამოდიოდა“... აი რატომ აღუძრავს პოეტს კეთილშობილურ გრძნობას ბებიასეული სალოცავი ფარდაგის ხილვა:

აი ფარდაგი! ბებიაჩემი
მალიმალ შლიდა ოცნების დარად,

და ვინ იცოდა: ლოცვით და ჩოქვით
დაკარგულ მურაზს ეტრფოდა მარად!
როდი ახსოვდა ლოცვის თავები,
ძირავდა სიღრმე სატრფოს თვალების.
ფარდაგზე სევდის ფიქრები თოვდა,
გუმანს ანდობდა, შენდობას სთხოვდა.

კარგად გააზრებული და კარგადვე შესრულებული ლექსია „დედა საქართველოს“, რომელშიც ქართველი დედა სიმბოლურად სამშობლოს განასახიერებს. აჭარა — პატარა ქართველი დედა მიმართავს დიდ დედა-საქართველოს „შენ ჩემზე ფიქრით და ჩემზე დარდით კავკასიონი გაგიჭაღარდაო“ და აცნობს თავის გულის ნადებს, თავის ფიქრებს.

ამ ციკლის სხვა ლექსებიდან თავისი იდეური გაზრებითა და მხატვრული გადაწყვეტით აღსანიშნავია: „ახლა“, „წინაპრულად წინ ხუ უსწრებ“, „ბალადა შავშეთელი ქალის თავშალზე“, „მერცხლის ბუდე“, „მეკავნე“ და სხვ. ცალკე უნდა გამოვყოთ ხუთი ლექსი, რომლებიც, თავისთავად ცალკე რკალია და მიძღვნილია დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპულ ჰურიე ანანიძისადმი.

დნეპრს ლურჯი ეცვა,
თითქოს ცურავდა დედის მანდილად
ღრუბლის ნაფლეთი
შიგ ჩავარდნილი,
და ლივლივებდა
აჭარის ზეცა.

ამბობს პოეტი და აგონდება გმირი ქალიშვილი წლების შემდეგაც, როცა მას „ცისფერი კაბა მოუხდებოდა ამ გაზაფხულზე“, მაგრამ:

შენ წაგიღო ჰურიე,
გზამ უკვდავმა, ლამაზმა,
ვეღარ ამოიარე
შენი სოფლის შარაგზა.

და რომ უდროოდ არ ჩაქრეს ჰურიესთანა ქალიშვილებისა და ისრაფილ ჯინჭარაძის მსგავსი ვაჟკაცების სიცოცხლე, რომ კეთილმეზობლურად და ურთიერთსიყვარულით იცხოვრონ ადამიანებმა სამყაროში, უნდა მოისპოს ომის ხსენებაც კი ამ ქვეყნად... ამიტომ მიმართავს პოეტი ირანელ, ერაყელ და აჭარელ დებს, „მშვიდობის დიდ ნათელ გზებზე უნდა გავიმარჯვოთო“.

ასე გულწრფელად და მართლად უმღერის ნანა გვარიშვილი ქალს, ქართველ დედას, აჭარელ დედას. მან კარგად იცის, რომ თუ არა ჩვენი დიადი ეპოქა, თვითონაც დღეს ჩადრში იქნებოდა გახვეული და პოეტის სახელზე ხომ ოცნებაც ზედმეტი იყო. ამიტომაა, რომ სიხარულიც და მწუხარებაც, გამოხატული მის ლექსებში, სავსებით ბუნებრივი და თავისთავადია. ამიტომაა, რომ მახლობელმა და გულიდან წამოსულმა თემამ უფრო სახოვანი, უფრო ემოციური სტრიქონები დაიმშვენა. „უჩადროწში“ პოეტმა კარგად დახატა ლირიკული გმირის სახე, სახე დამაჯერებელი, უშუალო და პოეტური. მგონი, საჭირო აღარაა იმის თქმა, რომ ნანა გვარიშვილმა ეს თემა შემდგომ უნდა გაეფართოოს, გააღრმაოს და გაამრავალფეროვნოს.

ნანა გვარიშვილის პოეზიის მეორე ძირითადი თემა საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებაა. ამ ხასიათის ლექსები გაბნეულია ლექსების სულ სხვადასხვა ციკლში „ლეჩხუმურ ღამეებსა“ და „ფერად-ფერადში“, „შემოდგომის ეტიუდებსა“ და „გაზაფხულის მინიატურებში“. ყველაზე მრავალფეროვნად მაინც „გაზაფხულის მინიატურებში“ ჩანს ნ. გვარიშვილის, როგორც მშობლიურ ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის სახე.

პოეტი ქალი არ ისაზღვრება ლამაზი პეიზაჟების სტატიკური ხატვით. იგი ცდილობს ბუნება გვაჩვენოს დინამიკაში, ადამიანის სულიერ სამყაროსთან მჭიდრო კავშირში. აი, პატარა ნიბლია, რომელიც „ჭრელქათიბა ფარჩით შემკობილა“, წვიმის ნაკადულები, რომელთაც „გაუხდიათ ფეხზე თეთრი წუღები“, ქარი, რომელსაც „მარაო მოუპარავს“, ჩანჩქერები და გვირილა, ნუში და წყარო, ზღვა და თოლია, კამელია და მიმოზები, მაგნოლია და პალმა, ტყემლის ხე და მაყვალი... ყველა ამათთვის თითქო სული ჩაუდგამს პოეტს, თითქოს გაუცოცხლებია ისინი და თავიანთ სიხარულსა და მწუხარებაზე აულაპარაკებია. საილუსტრაციოდ მოვიტანთ პაწია ლექსს „ტირიფი და გვირილები“:

ზის ტირიფი, ტირის ჩუმად,
გაშლილ ნაწნავს შვენის გლოვა,
უჩურჩულებს ნაკადულთან
გვირილების მთელი გროვა:
— ნუ იდარდებ, ჩემო კარგო,
ისევ მოვა, ისევ მოვა.

შესანიშნავი სტროფია მეორე ლექსში „ნისლების ქარავანი“:

საით წახვედით, თეთრო ნისლებო,
კვალიც კი აღარ მოჩანს,
რატომ არ დარჩით, არ აღიმართეთ
ჩემი ფიქრების კოშკად.

ციკლი „ლეჩხუმური ღამეები“ გამოირჩევა თემატიკის მრავალნაირობით: დერჩის ტბა და „პატარა ყვავილი ხაშხაში“, ავდარი და პოეტ ლადო ასათიანის გახსენება, ხვამლი და „ნაკაშიძეთა ლამაზი ქალი“... ჩვენი აზრით, საუკეთესო ლექსებია „თონე“ და „ღამე, ბაია და ციცინათელა“. ამავე ციკლს მჭიდროდ უკავშირდება მეორე ციკლი „მერცხლების ქღერტულზე“ და რამდენიმე ლექსი „მეუღლეს ჩემო“, „მეუღლის მამას“ და სხვ.

მესამე და საკმაოდ ძლიერი ნაკადი ნანა გვარიშვილის პოეზიისა არის ოჯახის თემა, სადაც ერთმანეთს ერწყმის მისი შემოქმედების თითქ-

ბის ყველა მოტივი — ქართველქალობა, ბუნების ტრფიალი, პატრიოტიზმი... ამ ლექსების ლირიკული გმირი ლეჩხუმის რძალია და ციკლში „ლეჩხუმური ღამეები“ ნათლად ჩანს მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა ამ კუთხისადმი, მისი ნაზი დამოკიდებულება მოყვრებისადმი. განსაკუთრებით ძლიერია შვილებისადმი მიძღვნილი ციკლი „მერცხლების ჟღურტულზე“. ის დიდი ქართული დედა-შვილური სიყვარული, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, მკაფიოდ გამოსჭვივის ამ ლექსებში.

მე მათი ღიმილის ჩეროში ვინაბვი,
როგორც ჩინარები დგანან.
მე მათი პატარა ჩრდილებიც მეყოფა,
იმედი არ არის განა?

მსუბუქი იუმორით და დიდი შინაგანი სითბოთია დაწერილი სულ პაწია ლექსი „გზად“.

ბუჩქზე, როგორც ნაპერწკალი,
ღვივა კურკანტელა.
გზა, გზა ყვება ცის და ბარის
ჩემი ცრუპანტელა.
ერთი ციდა ქალი არის,
დავუჯერო უნდა.
მოვდივარ და ბაფთიანი
მომდევს ტყუილის გუდა.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რამდენიმე ლექსი ისტორიულ თემაზე. „ბალადა ხვამლზე“, „თამარ ქალის დაირა“, „სხალთის ტაძარი“, „ხირხათის ციხის ყვავილი“, „თქმულება ემრულას ნაბადზე“ — აი, საუკეთესონი მათ შორის.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ცნობილია დიდი ილიასა და ვანო მაჩაბლის პაექრობა... ცნობილია ისიც, რომ რაღაც განგებით მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ თემაზე, მაჩაბლის დაღუპვის გარშემო ბევრი ლექსი დაწერილა. მაგრამ ნანა გვარიშვილმა მეტად თავისებურად გაიაზრა მაჩაბლის ტრაგედია და დაწერა, პირდაპირ ვიტყვით, თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „მაჩაბელი და ილიას უძილო ღამე“. ჩვენ თავს ნებას მივცემთ მოვიყვანოთ ეს ლექსი მთლიანად:

სარკმელთან დიდ მგოსანს ჭაღარით
შემოსილს,
შემოხვდა მტრედისფრად მწუხარე ზეცა,
— ვერ ნახეს? — კვლავ ჰკითხა მდუმარედ
შემოსულს.
— კერპაო, — ჩურჩულით თქვა და
ჩაიკეცა.
ეზმანა, ჩირაღდნად ანთია ლექსები
და მტკვარში მუხლამდე შესულა
მთაწმინდა.
ვერ ნახეს?.. — ბერმუხას აეწვა ფესვები,
მამის მკერდს შვილების კერკალი
აწვიმდა.
ბერმუხას უეცრივ ეტკინა ფესვები
ეკლიან ფეხებით ვიღაც ზეციერი
აღარც ეს აკმარა, ჩამოჭრა ტოტი და
გულზეც არ გაუგდო, რომ ჩახუტებოდა.
ქართველებს ყოფნიდათ ნანატრი თამარის,
სულმნათი რუსთველის საფლავთა ძიება,
რა დავაშავეთო, — ათრთოლდა თავკაცი,
ეს რაა, რა ჰქვიან, რა შურისძიება.
ჭაღარავდებოდა უძილო ღამე და
სტოვებდა ლურჯ სარკმელს ჭადრების
ჩრდილიანს,
დაემხო ლექსებზე მგოსანი ჩურჩულით,
დაკარგულ მაჩაბელს სტიროდა ილია.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ნანა გვარიშვილის საუკეთესო ლექსთა შორის უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე „მესაიდუმლე ჭადრაკი“, „ლამისყანის ბროლის წყაროს“, „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“ (აქ შესანიშნავი სტრიქონია: „ქარი იყავ, ლექსად იქეც“). „ნატო ვაჩნაძეს“ („დილით ლაჟვარდი რომ იხსნის ღილებს, გადაიდარა, თუ ლამაზო, შენ გაიღიმე?“) და „მთაწმინდის დილა“ („დადუმებულან დიდი გულები, შენ ღელვას ბედავ, პატარა გულო?..“):

დასასრულ ორიოდე სიტყვა ნანა გვარიშვილის პოეტური ოსტატობის შესახებ. მისი ლექსები მდიდარია მოხდენილი შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით. ხატოვანი გამოთქმებით. ხატოვანი თქმის ზოგიერთ მაგალითზე ჩვენ უკვე მივუთითეთ. დავუმატებთ რამდენიმეს: „გზად სიბერეც შეგვეყრება, წამოგვიშენს თოვლის გუნდას“, „თოლიასებრ დაფარფატებს, ქალო, შენი თეთრი მკლავი“, „კოხტა ბუდე ცისფერ ოდას დააბნია ღილად“, „ჩემი ბავშვობაც აქ ჰყვავის სადღაც — პატარა მერხებს მოფარებია“ და სხვ.

პოეტ ქალს არ უყვარს ბუნდოვანი, „რებუსული“ თქმები და გაუგებარი სტრიქონები. მისი ენობრივი ქსოვილი სადაა და სიტყვიერი მარაგით მდიდარი. ლექსის მუსიკალური ჟღერა და რიტმის ნაირნაირობა მიმზიდველს ხდის მის პოეზიას.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ნანა გვარიშვილის პოეზია უნაკლო იყოს. სასურველია პოეტმა ქალმა მეტი ყურადღება დაუთმოს მოქალაქეობრივ მოტივებს, ზოგად-საკაცობრიო იდეალებს. ლექსების უკანასკნელ კრებულში არის რამდენიმე უდაოდ სუსტი, მხატვრულად გაუმართავი ლექსი, როგორიცაა, მაგალითად, „უმიან მახაჭაძე“, „უკრაინელი სტუმრები“, „ვაშლოვანი კვლავ ვაშლოვანია“, „ხუცუბნელი გოგონა“, „თქვეს

სიმღერა“, „ჰოი სოფლის გახარებავ, კოლექტიეის ყანავ!“ და სხვ. ეს ლექსები სავსეა ტრაფარეტული სტრიქონებით, რაც მით უფრო დამაფიქრებელია, რომ მათი დიდი უმრავლესობა თანამედროვეობის აქტუალურ თემებზეა დაწერილი.

კარგი იქნება, თუ პოეტი ქალი მეტს იმუშავებს რითმებზე, თორემ არც თუ ისე იშვიათია მის ლექსებში სუსტი რითმები (სურები—სურვილები, ყელში—ხელში, საათი—მანეთი, მამული—ნამული, ჩქარი—ქარი, თვალი—ქალი, ალი—თვალი და სხვ.).

ბევრი შესანიშნავი ლექსის ავტორს სრულებითაც არ გაუჭირდება დაძლიოს მისი პოეზიის ეს ლაქები და მაშინ ნანა გვარიშვილის შემოქმედება უფრო ძლიერად დაიწყებს კაშკაშს პოეზიის მაღალი მზის სხივებზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნ. გვარიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საბავშვო ლიტერატურაშიც. დღემდე მან გამოაქვეყნა ოთხი საბავშვო წიგნი: „თითისტოლა“ (1949 წ.), „მელია და წიწილა“ (1956 წ.), „ორი კიჟი“ (1957 წ.) და „ზღაპარი დედაენაზე“ (1958 წ.). პოეტი ქალის საბავშვო ლექსები ძირითადად განკუთვნილია უმცროსი ასაკისათვის. ისინი გამოირჩევიან თემატიკური მრავალფეროვნებითა და მხატვრული სისადავით. აქ ვერ შეხვდებით მშრალ დიდაქტიკას. ლექსების დიდი უმრავლესობა სიუჟეტიანია და, ამდენად, ადვილად ასათვისებელი და დასამახსოვრებელი.

ნანა გვარიშვილის საბავშვო ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ზღაპარი დედაენაზე“, რომელიც თავისი გაგებით სრულიად ახლებური შეხედულებაა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში და, ჩვენი აზრით, სავსებით მართალია კრიტიკოსი ვლ. ზამბახიძე, როცა ამ ზღაპრისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავდა: „...მწერალი ქალის ნანა გვარიშვილის მიერ ლექსად დაწერილი „ზღაპარი დედაენაზე“... ჭეშმარიტი მხატვრულობითა და პოეტური მომხიბვლელობით, თავისებურად აცნობს პაწია მკითხველებს იაკობ გოგებაშვილის პირმშოს. უკვდავი „დედა ენის“ ბიოგრაფიას“ („ლიტ. გაზეთი, 1959 წ. № 30). ასევე სავსებით სამართლიანად შენიშნავდა იგივე კრიტიკოსი: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ მართლაც შესანიშნავადაა მოფიქრებული ამ ზღაპრის სიუჟეტი, რომელიც ასე დინამიურად და წარმტაცად ვითარდება მკითხველის წინაშე“.

* * *

ნანა გვარიშვილი ჯერ შემოქმედებითი წვის შუა გზაზეც არ არის და მისგან კიდევ ბევრს მოელის ქართული მწერლობა. დაე, მისი ლექსების ნაკადულები გადაქცეულიყოს პოეზიის მძლავრ მდინარედ, თუმცა მისივე გულმართალი სიტყვებით რომ ვთქვათ:

დიდ პოეზიის მადლიან ღელის
წვეთიც რომ იყოს, დასალოცია.

გრიგოლ ნუცუბიძე

დასავლეთის ახალგაზრდობის ტრაგედია

გადაიქუხა მეორე მსოფლიო ომმა. მზემ ისევ ღიმილით გადმოხედა ქვეყანას და ქვეყანაც წელში გაიმართა, თავისუფლად ამოისუნთქა.

ომის დამთავრებისთანავე ჩვენს ქვეყანაში დაისახა მტრის მიერ დაზარალებული რაიონების აღდგენის დიადი გეგმა და საბჭოთა ხალხი არნახული აღფრთოვანებით შეუდგა პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას. დიდი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. ყოველივე ამის შედეგად ახალგაზრდობის წინაშე გადაიშალა მოქმედების, პირადი ნიჭისა და უნარის თავისუფლად გამოყენების უდიდესი პერსპექტივები.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ სამყაროში. ფრანგმა, ინგლისელმა, ამერიკელმა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნის ახალგაზრდობამ, რომელიც ომის ქარცეცხლში, სანგრებში ოცნებობდა ახალ ცხოვრებაზე, განიცადა ილუზიების მსხვრევის სასტიკი სიმწარე. იდეალები, რომლებიც მათ ფრონტიდან ჩაიტანეს, სწრაფად გაცამტვერდა.

ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა, განსაკუთრებით მშრომელებმა, სწრაფად იპოვა ადგილი ცხოვრებაში. იგი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მუშათა მოძრაობაში. მაგრამ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიული ახალგაზრდობა კვლავ ჭაობში მოექცა, კვლავ უიდეალოდ დარჩა, რაც დიდად აწუხებს კაპიტალისტური საზოგადოების მოწინავე ადამიანებს.

ამის დამადასტურებელია მთელი რიგი რომანები, რომელთა ავტორები, გვიხატავენ რა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის სავალალო ბედს, ცდილობენ არა მარტო დააყენონ ახალგაზრდობის პრობლემა, არამედ გამოიტანონ მისი გადაჭრის საშუალებაც.

სხვადასხვა სახელით მონათლეს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის ახალგაზრდები, რომლებიც უმომავლოდ, უპერსპექტივოდ დაეხეტებიან თავიანთ ქვეყანაში, თითქოს უცხოეთიდან გადახვეწილი ლტოლვილები იყვნენ.

ახალგაზრდობის პრობლემა კაპიტალისტურ სამყაროში ახალი არ არის. საკმარისია მოვიგონოთ პრისტლის „სამნი ახალ კოსტიუმებში", ანდა თეოდორ დრაიზერის რომანები „და კერი", „ამერიკული ტრაგედია" და სხვები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწერა.

ახალგაზრდობის თემას მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც მრავალი წიგნი მიეძღვნა, მაგრამ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ სამ რომანზე, რადგან, ჩვენი აზრით, ისინი ერთობ დამახასიათებელია, ყველაზე მკვეთრად და მწვავედ აყენებენ ახალგაზრდობის პრობლემას სამ უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს რომანებია: რიჩარდ ფრედის „სადარბაზო შესასვლელი ე", კინგსლი ემისის „იღბლიანი ჯიმი" და ფრანსუა მორიაკის „გზა არსაითაა".

* * *

ფრანსუა მორიაკი კათოლიკეთა წრეს ეკუთვნის და, გასაგებია, რომ მას გარკვეული მსოფლმხედველობა ამოძრავებს. ამ მხრივ საინტერესოა ერთი აბზაცი რომანიდან „გზა არსაითაა", რომელიც მწერალმა თავის ნაწარმოებს წარუმძღვარა და მთელ მის მსოფლმხედველობას გამოხატავს:

„ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრება მკვდარი გზაა და იგი არსაით მიდის. მაგრამ ზოგიერ-

თმა უკვე ბავშვობიდანვე იცის, რომ მიდის იღუმალი, გამოუცნობი ზღვისაკენ. ისინი გრძნობენ ქარის ქროლვას, უკვირთ მისი სიმწარე, გრძნობენ ტუჩებზე მარილის გემოს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ხედავენ მიზანს, სანამ არ გადალახავენ უკანასკნელ სილახვავს. მაშინ მათ წინაშე გადაიშლება უსაზღვრო, ბობოქარი სივრცე და სახეში შეაყრის ქვიშასა და ზღვის ქაფს. რაიღა უნდა ქნან მათ? უნდა გადაცვივდნენ მორევში ანდა დაბრუნდნენ უკან"...

ასე ასაბუთებს ავტორი რომანის მთავარი გმირის როზას გადაწყვეტილებას წასულიყო სახლიდან, როცა უკანასკნელი იმედი დაკარგა. ასეთია გზადაკარგულ ფრანგ ახალგაზრდათა მსოფლმხედველობა. მათთვის გზა არსაითაა. ან უნდა დაიღუპონ, ანდა „დაბრუნდნენ უკან", ე. ი. შეურიგდნენ არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას, მის მგლურ კანონს: ადამიანის ბედს წყვეტს ფული.

მორიაკი თავის რომანში გვიხატავს ორ ბურჟუაზიულ ოჯახს. ნოტარიუსი ოსკარ რევოლუ მდიდარი კაცია, მისი ვაჟები ჟულიენი და დენი ფუფუნებას, უდარდელ ცხოვრებას, უსაქმობას შეეზარდნენ, ხოლო ქალიშვილი როზა ყველაზე სასურველი საცოლეა ქალაქში. ამ ოჯახის მეგობარია ლეონ კოსტადოს ოჯახი. ლეონი ქვრივია, მაგრამ შეძლებული და შვილებისთვისაც შეძლებულ საცოლეს ეძებს. მის ვაჟს რობერს და ნოტარიუსის ქალიშვილს როზას გატაცებით უყვართ ერთმანეთი. ამით ორივე ოჯახი კმაყოფილია. მაგრამ მოხდა მოულოდნელი უბედურება. ნოტარიუსი გაკოტრდა და თავი მოიკლა. როზა უცებად გაღარიბდა და, თავი რომ ერჩინა, წიგნის მაღაზიაში დადგა გამყიდველად.

ამ ფაქტმა ყველაფერი გამოარკვია. აღმოჩნდა, რომ რობერს როზა კი არა, ნოტარიუსის ფულები უყვარდა. როზამ იმედების საშინელი გაცრუება განიცადა. მისი უფროსი ძმა ჟულიენი ლოგინში ჩაწვა და თავი მოიავადმყოფა, რადგან გაკოტრებულის შვილი ტოლ-ამხანაგებში ვერ გამოჩნდებოდა — ფული აღარ ჰქონდა. „ავადმყოფობა" იქამდე მივიდა, რომ უნიადაგო გზადაკარგული ჟულიენი მალე გარდაიცვალა. უმცროსმა ძმამ დენიმ, რაკი უფსკრულის პირას აღმოჩნდა, „უკან დაბრუნება" არჩია. ე. ი. შეურიგდა ბედს და ცოლად შეირთო გაუნათლებელი, ხეპრე ირენი, რადგან მამამისმა სიღარიბეს გადაარჩინა. დენის სრულიადაც არ უყვარს ირენი და გულახდილად ამბობს: „ის იქნება თუ სხვა, სულერთი არ არის?" მორიგი ჩხუბის შემდეგ დენი ცოლის საწოლ ოთახს დატოვებს და კაბინეტში იძინებს. თან ცინიკურად ეუბნება დას: ნუთუ არ შემიძლია ერთი ღამე მაინც დავიძინო მშვიდად. ეს პატიოსნად დაიმსახურეო...

დენისათვის არ არსებობს რაიმე წმიდანაწმიდა, რისთვისაც ადამიანმა შეიძლება სიცოცხლეც კი გასწიროს. იგი სარგებლობს საკუთარი თავის გაყიდვით მოპოვებული [illegible] [illegible]ით და თან მსჯელობს... „რატომ [illegible] [illegible]ლებურად ტრამვაი? ყველა მატარებელი უნდა გავაჩეროთ, გამოვიყვანოთ ყველა მგზავრი და ვუყვიროთ მათ: „ნუთუ არ იცით, რა გელით? თქვენ ყველანი დაიხოცებით". რატომ კითხულობენ ადამიანები გაზეთებს, რატომ ეძებენ მათში ახალ ამბებს? რა მნიშვნელობა აქვს ამას, რაკი ყველა უნდა მოკვდეს? ამ ამბავთან შედარებით რა უმნიშვნელოა, რა ზედმეტია გაზეთებში მოთავსებული ყველა ახალი ამბავი. რატომ უნდა ისწავლო რაღაცეები, როცა ხვალ მოკვდები და შენ — გახრწნილ, დამპალ მძორს — მიწაში დაგმარხავენ. აი ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება... არის თუ არა კიდევ სხვა რამე, ჩვენ არ ვიცით".

სულიერად ასე გამოფიტულია ოცდაოთხ წლის ყმაწვილი დენი. ასევე იმედდაკარგულია მისი უფროსი და როზა. იგი გულწრფელი გოგონა იყო. მას უყვარდა რობერი, მაგრამ მალე დარწმუნდა — არავის უნდა მისი სიყვარული, ერთგულება, სილამაზე, გულწრფელობა. „ადამიანები აღარ არსებობენ ჩემთვის, — ეუბნება იგი დენის, — ისინი ყველანი რაღაც უცხონი არიან, თითქოს სხვა ქვეყნიდან. მათ არა აქვთ სახე და ლაპარაკობენ უცხო, ჩემთვის გაუგებარ ენაზე".

და როზამ მიატოვა სახლი. მიდის... მაგრამ საით? მისი გზა არსაითაა. იგი მაინც მიდის, საითაც თვალები იხედებიან.

ასე ამთავრებს ფრანსუა მორიაკი თავის რომანს. იგი ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით გვიჩვენებს საფრანგეთის იმ ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს, რომელსაც გზა დაკარგვია, არ იცის რა ქნას, საით წავიდეს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მორიაკი ქადაგებდეს ამ უგზოუკვლობას. ავტორს უყვარს თავისი გმირები, ეცოდება ისინი და უნდა, რომ მათ იპოვონ გზა, იპოვონ ადგილი ცხოვრებაში. ამის მაჩვენებელია რომანის ფინალი, როცა როზა წასასვლელად ემზადება: „ახლა არავინ უწყის როგორ მოეწყობა მომავალში ჩემი ცხოვრება, მაგრამ უნდა ვიპოვო და უთუოდ ვიპოვი გზას", ეუბნება როზა თავის თავს. რა გზა იქნება ეს? მისი ძმის დენის გზა, გზა არსებულთან შეგუებისა, თუ ახალი ცხოვრების გზა? ამაზე ავტორი არაფერს ამბობს. იგი თავის გმირებს ვერ უჩვენებს ნამდვილ გზას, რადგან ვერ ბედავს ბურჟუაზიული საზოგადოების უარყოფას. ხოლო სხვა გზა, ეს ძლიერ კარგად იცის, მათთვის არ არსებობს.

ამ საკითხში ფრანსუა მორიაკის პოზიციის გამოსარკვევად არც მეორე მისი გმირი რობე-

რის ძმა პიერ კოსტადო გამოდგება. პიერს თვითონ უყვარდა როზა, მაგრამ ძმას წინ არ გადაუდგა, მიატოვა სახლი და წავიდა პარიზს. იგი თითქოს პროტესტანტია, უარყოფს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მაგრამ გულდამშვიდებით იღებს ამ საზოგადოებრივი წყობილების პროდუქტს — ფულის ჩეკს, რომელიც მშობლების მიერ დატოვებული კაპიტალის ნაწილია. იგი არ უფიქრდება საიდან არის ეს ფული. რელიგია მას აეჭვებს, არსებული წყობილება არ მოსწონს, მაგრამ გამოსავალს ვერ პოულობს.

„რატომ ვილაპარაკოთ რაღაც გარდაქმნებზე, რევოლუციაზე? — მსჯელობს პიერი. — ეს არაფერს არ მოგვიტანს: სამართლიანობის შიმშილი და წყურვილი დაეჯახება სულ სხვა სახის შიმშილსა და წყურვილს, ყველაზე საზიზღარ ავხორც გულისთქმებს. ჯერ უნდა გავუმკლავდეთ იმას, რაც თვით ადამიანის არსშია ჩამალული, ამ მწვავე ჩირქოვან იარას". სხვანაირად რომ ვთქვათ, ფრანსუა მორიაკი მისი გმირის პირით გვეუბნება, რომ არსებული წყობილება კი არ არის დამნაშავე ახალგაზრდობის გზაკვალის აბნევაში, არამედ ის ბოროტება, რომელიც თვითონ ადამიანში ზის დასაბამიდან, და იმას უნდა ვებრძოლოთო.

ფრანსუა მორიაკის დამსახურება ის არის, რომ მან მწვავედ დააყენა მისი დროისა და ქვეყნის ახალგაზრდობის ტრაგედიის პრობლემა. მისმა დიდმა მხატვრულმა ნიჭმა დაგვიხატა კაპიტალისტური სამყაროს საშინელი სურათები, გვიჩვენა, თუ როგორ ართმევს სულსა და გულს ახალგაზრდობას ბურჟუაზიული წყობილება. მისი სუსტი მხარე ის არის, რომ თავის გზადაკარგულ გმირებს ვერ უჩვენა ბედნიერების ნამდვილი გზა. ეტყობა, ავტორი თავის გმირებთან ერთად თვითონაც იტანჯება. საშინელია შეგნება იმისა, რომ ადამიანს გზა მოჭრილი აქვს. იმ ახალგაზრდობას, რომელსაც ფრანსუა მორიაკი აგვიწერს, და თვით ავტორის ტრაგედია ის არის, რომ ისინი ვერ ხედავენ საფრანგეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილს — მშრომელ მასებს და მის ნათელ გზას, მის ბრწყინვალე იდეალებს. მშრომელი ახალგაზრდობის წინაშე ნათელი და აღმაფრთოვანებელი მიზანია —კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის მშენებლობა. ვინც ამ გზას ვერ ხედავს ან არ ცნობს, იგი უგზოუკვლოდ დაიღუპება.

* * *

უგზოუკვლო ახალგაზრდობის პრობლემა ინგლისელ მწერლებსაც აწუხებთ. იგი ჯერ კიდევ პრისტლიმ აღძრა ინგლისურ ლიტერატურაში. მკითხველს უთუოდ ახსოვს მისი რომანი „სამნი ახალ კოსტიუმებში". სამ მეომარს, რომელიც დაბრუნდა ფრონტიდან (პირველი მსოფლიო ომის შემდეგ) ძალიან არ მოეწონა ის, რაც სახლში ნახა. მათი იდეალები გაქარწყლდა და ესინი განარისხა ამ სულიერმა მარტხმა. ამიერ მოდის ტერმინი „განრისხებული ახალგაზრდობა". გამარჯვებული ინგლისის მაღალი ბურჟუაზიის დოეგამ ყურადღება არ მიაქცია მათ. ისინი გაიფანტნენ პროვინციაში და თითქოს დაიკარგნენ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოირკვა, რომ ახალგაზრდობის განრისხებამ კი არ იკლო, პირიქით, იმატა.

ინგლისელ „განრისხებულთა" შორის განსაკუთრებით დიდი სიყვარულით სარგებლობს კინგსლი ემისის „იღბლიანი ჯიმი", თუმცა იგი ხუთი წლის წინათ დაიწერა და გამოიცა ლონდონში. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ კინგსლი ემისი პირველი გამოეხმაურა ამ თემას, არამედ იმით, რომ ეს რომანი ყველაზე უკეთ გამოხატავს „განრისხებულთა" მსოფლმხედველობას.

კინგსლი ემისი თავის რომანში სატირული ფორმით გვიჩვენებს ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებას, სწავლებას, მეცნიერულ კვლევა-ძიებას, გართობას, სიყვარულს. ავტორი ცხადყოფს, რომ პროფესორები, რომლებსაც ნამდვილ მეცნიერებად მოაქვთ თავი, სინამდვილეში გაფხორილ ინდაურს უფრო გვანან, ვიდრე მეცნიერებს. იგი დასცინის მთელ ამ საზოგადოებას, იქ გამეფებულ წესებს. დასცინის ამას რომანის მთავარი გმირი ჯიმ დიქსონი. მაგრამ ტყუილად ელის მკითხველი, რომ დიქსონი ბოლოსდაბოლოს გამოააშკარავებს ყველას და ყველაფერს და მთელი ეს ამბავი დამთავრდება ტრაგიკულად. პირიქით, ჯიმი კაპიტალისტ გორ-ერკვარტთან თბილ ადგილს იშოვის, ცოლად შეირთავს ამ კაპიტალისტის ნათესავს ჭრისტინას და ამით ამოიწურება მთელი მისი განრისხება. რომანიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ „განრისხებულნი" ეძებენ შემოსავლიან საქმეს, ეძებენ თბილ ადგილს საზოგადოებაში და სრულიადაც არ ფიქრობენ ამ საზოგადოების აფეთქებას. მართალია, ავტორი და მისი მთავარი გმირი აკრიტიკებენ, სატირულ ფერებში აღიქვამენ ბურჟუაზიულ წყობილებას, მაგრამ ეს კრიტიკა შეეხება არა კაპიტალიზმს (გორ-ერკვარტი ძალიან სიმპათიურ ადამიანად ჩანს რომანში), არამედ მის ცუდ მსახურებს.

უდავოა, რომ კინგსლი ემისის მიერ აღწერილი „განრისხებული" არ ამოწურავს ამ თემას. ამას მოწმობს ისიც, რომ მეორე ავტორმა ბრეინმა თავის რომანში „ადგილი ზევით" დაარღვია „განრისხებულთა" ტრადიცია: მის რომანს უკვე ტრაგიკული დასასრული აქვს.

* * *

ახალგაზრდა ამერიკელი მწერალი რიჩარდ ფრედი თავის რომანში „სადარბაზო შესასვლელი ე“ ავრეთვე მწვავედ აყენებს ახალგაზრდობის საკითხს. მისი რომანი ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტობის ცხოვრებას „ეხება. მთავარი გმირია ედ ბოგარდი. იგი ნიჭიერი და პატიოსანი ყმაწვილია, სხვებზე უკეთ ერკვევა მისი ამხანაგების ცხოვრებაში. ბოგარდს მოსწყინდა სტუდენტების უმხიარულო გართობა კვირაობით, ცხოველური ქეიფი და ქალებთან დროსტარება, უნივერსიტეტის დამყაყებული ცხოვრება და სწავლება, რომელსაც არავითარი ნათელი იდეა არ ათბობს. როცა ბოგარდი დაუფიქრდება თავის ცხოვრებას ამ მოსაწყენ გარემოში, შემდეგ დასკვნამდე მიდის: მგონია გადავიქეცე ავტომატად, ისეთ ორგანიზმად, რომელიც მოქმედებს იმის მიხედვით, რაც უთხრეს, და არა თავისი გრძნობებისა და აზრების შესაბამისად. ბოგარდი გრძნობს თავის საშინელ მდგომარეობას, მაგრამ მასში მაგრად აქვს გადგმული ფესვი სხვის საქმეში ჩაურევლობის პრინციპს. ერთმა შემთხვევამ მაინც შესცვალა მისი ბედი. მოქეიფე სტუდენტთა ჯგუფმა ოთახში, სადაც ღრეობა მიდიოდა, შეიტყუა მცირეწლოვანი გოგონა დიანა-სიუ და დაათრო იგი. მთვრალი გოგონა სტუდენტებმა რიგ-რიგობით გააუპატიურეს. ამ ამბის უნებლიე მოწმე გახდა ედ ბოგარდი. იგი დიდად ააღელვა ასეთმა მზეცობამ. სტუდენტური ტრადიცია ედს უფლებას არ აძლევდა გამოეძახებინა პოლიცია. მეზობელ ოთახებში მოქეიფე სტუდენტებიდან კი არავინ ისურვა ჩარეოდა საქმეში. მაშინ ბოგარდი შეეცადა მარტო შებრძოლებოდა გამხეცებულ სტუდენტებს, მაგრამ ვერ შეძლო გოგონას გადარჩენა. აღვირახსნილმა სტუდენტებმა თავისი სურვილიც შეისრულეს და ბოგარდსაც მაგრად სცემეს.

უნივერსიტეტის რეპუტაციის გადასარჩენად ადმინისტრაციამ გოგონას გაუპატიურებაში დამნაშავე სტუდენტები გარიცხა სასწავლებლიდან. მათთან ერთად გარიცხეს ბოგარდიც, „როგორც ხელის შემწყობი“.

რომანის დასასრულს ედ ბოგარდი გზაჯვარედინზე დგას, არ იცის რა ქნას, რა გზას დაადგეს.

ავტორმა ამ რომანში აგვიწერა ის „გულგრილნი“, რომლებიც ნეიტრალიტეტს იცავენ. არაფერში ერევიან, არაფერი აინტერესებთ და არა აქვთ იდეალები. მწერალს აფიქრებს მათი ბედი. მაგრამ რა გზას ურჩევს იგი თავის გმირს? გარკვევით არაფერს, თუმცა რომანში არის მცირე შტრიხი, საკმაოდ განსვავებული. ბოგარდს ჰყავდა მეგობარი ჰოლ კაიფი, რომელმაც უნივერსიტეტს თავი [illegible] [illegible] მუშაობდა, ხშირად შიმშილობდა [illegible] [illegible] გრამ ცხოვრობდა სულ სხვა სამყაროში, სადაც ადამიანები ოცნებობენ და ახორციელებენ თავიანთ ოცნებას, სადაც ბაირონს კითხულობენ როგორც თანამედროვე მწერალს, სადაც არ არის სულიერი სიცალიერე. ჩვენ არ ვიცით, რა გზას აირჩევს ბოგარდი, მაგრამ ის ფაქტი, რომ მას ახსოვს ჰოლ კაიფი, იმედს გვაძლევს, რომ ედ ბოგარდი და მისი მსგავსი „გულგრილნი“ ბოლოსდაბოლოს აირჩევენ ჰოლ კაიფის გზას.

* * *

მკითხველი, რა თქმა უნდა, უკვე მიხვდა, რომ რა სახელიც არ უნდა დაარქვან მწერლებმა ამ ახალგაზრდებს, „განრისხებულნი“, „გზადაკარგულნი“ თუ „გულგრილნი“, არსებითად ისინი ერთი სისხლისა და ხორცისანი არიან და ცხადყოფენ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს—კაპიტალისტური წესწყობილება ახალგაზრდობას არავითარ იდეალს არ აძლევს. ისინი განრისხებულნი არიან თავიანთი უაზრო არსებობით, დაეხეტებიან უგზოუკელოდ და გულგრილად უცქერიან სინამდვილეს, რადგან იგი არაფერს აძლევს მათ. გარდა უაზრო სიცოცხლისა, უხალისო დროსტარებისა, ლოთობისა, გარყვნილებისა, ბანდიტური ფილმებისა და კომიქსებისა. თავის ერთ-ერთ წერილში ჯავაჰარლალ ნერუ წერდა, რომ ხალხმა (იგულისხმება არასოციალისტური ქვეყნების ხალხები) დაკარგა რელიგიის მიერ მიცემული იდეალი, ხოლო სამაგიერო ვერ იპოვა. კომუნისტებმა ხალხს მისცეს იდეალი — კომუნიზმი, ჩვენ კი ვერ მივეცითო. ნერუ სამართლიანად თვლის, რომ უიდეალობა ტრაგიკულია კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობისათვის. კომუნიზმის იდეალს ბურჟუაზიამ ვერაფერი დაუპირისპირა, რადგან კაპიტალიზმმა დიდი ხანია გამოამჟღავნა თავის მგლური არსი და იდეალად იგი უკვე არ გამოდგება, ხოლო სხვა იდეალი, გარდა კომუნიზმისა, ამ ქვეყნად არ არსებობს. ჩვენ შევაბრუნებდით ფრანსუა მორიაკის აზრს და ვიტყოდით, რომ, მართალია, სხვა გზა არ არსებობს: ან სოციალიზმის გზა, ან დაღუპვა. რაც მალე შეიგნებს ამას კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობა, მით უკეთესია მისთვისაც და კაცობრიობის მომავლისთვისაც.

დავით კომახიძე

ქალაქ ბათუმის რეკონსტრუქციის პროგლემები

საბჭოთა აჭარის დედაქალაქი ბათუმი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი საკურორტო და სამრეწველო ცენტრია. იგი განუწყვეტლივ იზრდება და უფრო კეთილმოწყობილი ხდება.

მაგრამ ქალაქის არსებული დაგეგმვა ვერ აკმაყოფილებს ქალაქთმშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ბათუმის შემდგომი სწორი რეკონსტრუქცია, დაგეგმარება და გაშენება.

ბათუმის დაგეგმარებას საფუძვლად უდევს ქუჩების სწორკუთხოვანი ქსელი. ქალაქის მხოლოდ ყველაზე ძველ უბანს — ნავსადგურის რაიონს — შემორჩა ადრინდელი ქაოსური გაშენება.

ქალაქის ქუჩების ქსელი მეტად ხშირია. ცალკეული კვარტალების სიგრძე 100 მეტრს არ აღემატება, ფართობი კი საშუალოდ ერთ ჰექტარს შეადგენს. არის ისეთი კვარტალებიც, რომელთა ფართობი 0,1-0,2 ჰექტარია.

რუსეთთან ბათუმის შეერთებამდე (1878 წ.) ქალაქის გაშენებისას არავითარი საპროექტო მასალები არ დგებოდა, მშენებლობა სტიქიურად წარმოებდა.

ბათუმის გაშენების გეგმა პირველად კ. მ. დაკიჩევიჩმა შეადგინა 1887-1893 წლებში. იმ დროს ქალაქს 350 ჰექტარი ეჭირა — ზღვიდან ახლანდელ ჭავჭავაძისა და საბჭოს ქუჩებამდე, ნაწილობრივ „გოროდოკის" ტერიტორია.

ამ გეგმით, ქალაქი უნდა გაფართოებულიყო სამხრეთ-დასავლეთით, უფრო მოხერხებული ტერიტორიის ხარჯზე. ახალი უბნის გაშენების პროექტი გულისხმობდა უფრო გამსხვილებულ, სწორკუთხოვან კვარტალებს (2-2,5 ჰა) და მოიცავდა ახლანდელი ჭავჭავაძის, გრიბოედოვის, კიროვაკანისა და შაუმიანის ქუჩებით შემოფარგლულ ტერიტორიას.

კ. მ. დაკიჩევიჩის გეგმა ქალაქის 400 ჰექტარამდე გაფართოებას გულისხმობდა, რაც ძირითადად კიდევაც განხორციელდა. მაგრამ მისი ნაკლი ის იყო, რომ ქალაქის საერთო დაგეგმვის სტრუქტურა არსებითად ძველი დარჩა.

ქალაქ ბათუმის დაგეგმვისა და კეთილმოწყობის სამუშაოები ფართოდ გაიშალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

აჭარის ასსრ მთავრობის დავალებით, 1925 წელს დაიწყო ბათუმის წინანდელი დაგეგმარების გადასინჯვა და ქალაქის ახალი საზღვრების დასადგენად სქემის შემუშავება. იყო წინადადება, რომ მომავალში სხვადასხვა სახის მშენებლობა (სამრეწველო, სასაწყობო და საბინაო) სხვადასხვა რაიონში გაშლილიყო, ამასთან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დასახლების მოხერხებულობა, ტრანსპორტის მოთხოვნილება, ადგილობრივი და ნავთობის მრეწველობის საწარმოთა განლაგება და საბინაო მშენებლობა. პროექტს საფუძვლად უნდა დადებოდა დასახლების ადგილის მიზანშეწონილად გამოყენებისა და ბათუმის სანიტარულ-ტექნიკური კეთილმოწყობის პრინციპი.

ეს სამუშაო შეასრულა ქალაქის კომუნალურმა მეურნეობამ 1925 წელს ინჟინერ დ. სვიშჩევსკის ხელმძღვანელობით. სქემის მიხედვით სწორად იყო გათვალისწინებული ნავთობის მრეწველობის საწარმოების განლაგება ქალაქის ცენტრალური რაიონის სამხრეთ-დასავლეთით,

აგრეთვე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა.

აღნიშნული სქემის შესაბამისად 1927 წელს. დ. სვიშჩევსკიმ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის 1.650 ჰექტარზე გაშენებას. ამ პროექტის მიხედვით უნდა მომხდარიყო ახალი ტერიტორიის დაყოფა, ქუჩებისა და გზაჯვარედინების ტრასირება, საცხოვრებელი და სამრეწველო კვარტალების მიჯნების დადგენა. განისაზღვრა აგრეთვე მწვანე ნარგავთა საერთო საქალაქო სისტემა, რომელსაც 105 ჰექტარი უნდა დაეკავებინა — 80 ჰექტარით მეტი, ვიდრე წინათ. ახალი მწვანე ნარგავები ძირითადად უნდა გაშენებულიყო სანაპირო ზოლში, მთავარი მაგისტრალები კი გადიოდა ყილინისა და პავლოვის არხების გასწვრივ, რკინიგზის ვაგზალი უნდა გადატანილიყო მთისძირის ქუჩაზე, ახლანდელი სუვოროვის ქუჩის ბოლოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის ავტორი საკუთრივ სამართლიანად უარყოფდა ნავთობის ახალი საწარმოების სანაპირო ზოლში (მდ. ყოროლისწყლის დაბლობში) გაშენების იდეას. მშვენიერი ბუნებრივი პირობები აქ საშუალებას იძლეოდა ქალაქის ფართო საკურორტო რაიონის შესაქმნელად.

ინჟინერ სვიშჩევსკის წინადადება უყურადღებოდ დატოვა ქალაქის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა სწორედ ამ რაიონში აშენდა, რამაც ქალაქის შემდგომ დაგეგმარებაზე, უსათუოდ, უარყოფითი გავლენა მოახდინა.

სვიშჩევსკის პროექტი იყო პირველი საპროექტო ნამუშევარი, რომელმაც კარგა ხანს შეინარჩუნა აქტუალობა. მაგრამ ამ პროექტით განსაზღვრული არ იყო ქალაქის ცენტრის ადგილმდებარეობა; ამასთან, ძველი, ძალიან მცირე ფართობის კვარტალები უცვლელად რჩებოდა; არასწორად იყო განლაგებული აგრეთვე ზოგიერთი სამრეწველო საწარმო და ა. შ.

დროთა განმავლობაში სვიშჩევსკის პროექტი მოძველდა, იგი ვეღარ უპასუხებდა სწრაფი ტემპით განვითარებულ ქალაქთმშენებლობის მოთხოვნილებებს და ამიტომ გადაწყდა ქალაქ ბათუმის დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის ახალი პროექტის შედგენა. ეს სამუშაო დაიწყო „კომუნალსტროის“ საპროექტო ტრესტმა 1933 წელს.

ახალი პროექტის შედგენაში მონაწილეობდნენ საქართველოს თვალსაჩინო არქიტექტორები ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე, რ. აგაბაბიანი, ა. ნიკოლაიშვილი და ნ. კირკესალი. პროექტი დგებოდა დროდადრო და მნიშვნელოვანი შეფერხებებით. ომის დაწყების გამო იგი აღარ განხილულა სათანადო ინსტანციებში. ომის შემდეგ კი მკვეთრად შეიცვალა ქალაქების დაგეგმარების ნორმები და მოთხოვნილებანი. ამიტომ აუცილებელი გახდა ბათუმის რეკონსტრუქციისა და გაშენების ახალი პროექტის შედგენა.

ამ პროექტის შემუშავება დაიწყეს არქიტექტორებმა ა. ნიკოლაიშვილმა, ლ. სუმბაძემ, ნ. ფერემუზოვამ და კ. ჯავახიშვილმა 1956 წელს. იგი ქალაქთმშენებლობის უახლოეს მონაცემებს ეყრდნობა და დიდი წვლილი შეაქვს ბათუმის მომავალი კეთილმოწყობის საქმეში.

პროექტი ითვალისწინებს ქალაქთმშენებლობის მთელ რიგ ღონისძიებებს: უპირველეს ყოვლისა, ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან რკინიგზის სამგზავრო სადგურის გადატანას და ამასთან დაკავშირებით ჭავჭავაძისა და თბილისის ქუჩების განთავისუფლებას რკინიგზის ხაზებისაგან, რაც საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ ქალაქის ორ ნაწილად გაყოფას — ზღვიდან მთისძირისაკენ მიმავალი ქუჩების რკინიგზის ხაზით გადაკეტვას.

რკინიგზის ვაკისისაგან განთავისუფლებული თბილისისა და ჭავჭავაძის ქუჩები უნდა გადაიქცეს ქალაქის ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალად, რომელსაც ექნება ფართო ბულვარული გამწვანება.

ნავსადგურის რეკონსტრუქციის მიზნით პროექტში გათვალისწინებულია ახალი აუზის აგება წინანდელი კაბოტაჟური ნავსადგურის აქვატორიის ხარჯზე, აგრეთვე სამგზავრო გემმისადგომის გაფართოება.

ახალი პროექტით, საზღვაო ვაგზალი მოთავსდება № 12 გემმისადგომთან. ამასთან დაკავშირებით წარმოებს სანაპირო ქუჩის გაფართოება და გამწვანება. ახლად დაპროექტებული საზღვაო ვაგზლის ცენტრთან უფრო მოხერხებულად დაკავშირების მიზნით დასახულია გორკის ქუჩის გაგრძელება სანაპირომდე.

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე არსებული კვარტალების გამსხვილებას. ის ქუჩები, რომლებიც ამ კვარტალების შუაში ხდება, გადაიქცევიან კვარტალშიგა გასასვლელებად, რომლებზეც საერთო საქალაქო ტრანსპორტი არ იმოძრავებს.

ქალაქის მაგისტრალური ქუჩების გასწვრივ მდებარე უბნებში გამიზნულია აიგოს სამ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ხოლო გამსხვილებული კვარტალების შუაში — ერთი ან ორსართულიანი შენობები.

სამ-ოთხსართულიანი შენობების მთლიანი ზონა დაპროექტებულია ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე. ინდივიდუალური მშენებლობა ძირითადად უნდა გაიშალოს ბათუმის ჩაის ფაბრიკასა და კიროვაკანის ქუჩას შორის მდებარე ნაკვეთებზე, აგრეთვე მთის ფერდობებზე.

დაბლობების ამოშრობისა და წვიმის წყლე-

ბის დატბორების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებულია წყალსარინი არხების ქსელის რეკონსტრუქცია და რამდენიმე ახალი არხის გაყვანა.

დასახულია მწვანე ნარგავთა ფართობების გადიდება და ახალი პარკის გაშენება ქალაქის დასავლეთ ნაწილში. ამ ტერიტორიის დანიშნულებისამებრ ათვისება არ არის ძნელი.

სამრეწველო და სასაწყობო ტერიტორიების უკეთ ორგანიზაციის მიზნით გათვალისწინებულია მათი კონცენტრაცია ერთ რაიონში — ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც მოხერხებულადაა დაკავშირებული რკინიგზის და ავტოსატრანსპორტო მაგისტრალთან. ეს რაიონი დასახლებული ტერიტორიისაგან მწვანე ზოლით უნდა გამოიყოს.

არსებულ საწარმოთა უმეტესობა, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოები, წინანდელ ადგილზე დარჩება, წვრილი საწარმოები კი (ავტოსარემონტო, ლიმონათის, ღვინისა და პურის ქარხნები) გადაინაცვლებენ ახალ სამრეწველო რაიონში.

ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის უფრო მასობრივად ჩაბმის მიზნით გათვალისწინებულია სპორტული კომპლექსის შექმნა „ბურუნტაბიეს“ კონცხის ტერიტორიაზე. დასახულია აგრეთვე სპორტული ბაზების განლაგების მეორე ვარიანტი ქალაქის დასავლეთ ნაწილში, კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკში.

დიდი ყურადღება ეთმობა მოედნების მშენებლობას ახალ საცხოვრებელ რაიონში (ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში), დრამატულ თეატრთან, რკინიგზის მომავალი ვაგზალის ტერიტორიაზე და საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობის წინ (ეს მოედანი დაპროექტებულია, როგორც ქალაქის ცენტრალური მოედანი, სადაც მოეწყობა მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციები).

ბათუმის დაგეგმარების ამ ბოლონდელი პროექტის დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ მას ღირსებებთან ერთად ბევრი ნაკლოვანებაც აქვს. ასე, მაგალითად, პროექტის სამოქმედო პერიოდში ნაჩვენებია სანაპირო ხაზის ერთი და იგივე კონფიგურაცია, მაშინ როდესაც ზღვის ნაპირი ჭოროხის შესართავიდან ქალაქის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილამდე არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს სტატიკურ წონასწორობაში. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ქალაქის სამხრეთ სანაპიროს იმ ტერიტორიის ჩარეცხვის ფაქტი, რომელიც № 5 სამშენებლო ტრესტს უკავია. 1950-1957 წლებში ზღვამ ამ ადგილას ნაპირი 90 მეტრამდე ჩამორეცხა. ამგვარად პროექტში ნაჩვენებია ქალაქის ტერიტორიის არარეალური მოხაზულობა ზღვის სანაპირო ზოლში. აქ შენობების აგება, პარკის გაშენება და სხვა ღონისძიება არ უნდა განხორციელდეს სანაპირო ხაზის ცვალებადობის გაუთვალისწინებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ქალაქის [illegible], ისევე როგორც კახაბრის დაბლობი, წარმოადგენს ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალისაგან, რომლის ტრანსპორტირება ხდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით (ზღვის დინების მიმართულებით). ამიტომ ჭოროხის რეგულირების ყველა ახლად წარმოებული სამუშაო აუცილებლად გავლენას მოახდენს სანაპირო ზოლის მდგრადობაზე. ეს კი არ არის გათვალისწინებული პროექტში.

ახალი პროექტით, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამიზნულია პარკის გაშენება და ტბა-ლაგუნის ლიკვიდაცია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ტბის ამოვსება, რადგან ის, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად გაალამაზებს ახალ პარკს და მეორეც, ბუნებრივი მარეგულირებელი ფაქტორია ხშირი წვიმების დროს (ქალაქის მნიშვნელოვან ტერიტორიას იცავს შეტბორებისაგან). ამიტომ ტბა-ლაგუნა უნდა შევინარჩუნოთ, გავაფართოოთ და ჩავრთოთ (როგორც აუცილებელი ელემენტი) წვიმის წყლების განმრინებელი არხების ქსელში. ტბის გაღრმავებისა და გაფართოების დროს ამოღებული გრუნტით უნდა მოვმიწნოთ ირგვლივ მდებარე დაჭაობებული ადგილები.

ერთ-ერთი არსებითი და ყველა პროექტში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხია ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქცია.

იმის გამო, რომ წარსულში ბათუმმა მრავალგზის განიცადა უცხოელ დამპყრობთა თავდასხმები, რაც ხშირად ანადგურებდა მნიშვნელოვან ნაგებობებს, აქ დღევანდლამდე არ არის მკვეთრად გამოსახული ქალაქის ცენტრი.

ქ. ბათუმის ცენტრალური ბირთვის ჩამოყალიბება (სწორკუთხა კვარტალების სახით) XVIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. თავდაპირველად კვარტალების განლაგება ხდებოდა ნავსადგურის გასწვრივ.

ბათუმში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქალაქში, XVIII-XIX საუკუნეებში ვიწრო და მრუდი ქუჩები იყო. ქუჩების პროფილს განსაზღვრავდა ადგილის ტოპოგრაფია. მიწისა და შენობების კერძო-მესაკუთრული ექსპლოატაციის პირობებში კი კვარტალები შემთხვევით იგეგმებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

უკანასკნელ დრომდე ბათუმის დაგეგმვისა და გაშენების დროს პრაქტიკულად ხორციელდებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის მხოლოდ ცალკეული ელემენტი — კეთდებოდა ბულვარი, პარკი, სკვერი და ა. შ. დიდი დაგეგმვითი კომპოზიციური ამოცანები, რომლებიც განსაკუთრებით ქალაქის ცენტრის ორგანიზაციასთან

არის დაკავშირებული, აქამდე სერიოზულად არათუ არ გადაჭრილა, წამოყენებულიც კი არ ყოფილა.

ქალაქის რეკონსტრუქციისას ცენტრისათვის უნდა შეკარჩოთ ეკონომიური თვალსაზრისით მიზანშეწონილი ადგილი მოედნებისა და საზოგადოებრივი შენობების გათვალისწინებით ისე, რომ ნაკლებ შენობებს მოუწიოს აღება, ამასთან შეიძლებოდეს ცენტრის საერთო სისტემაში არსებული მაგისტრალების, სკვერების, ბულვარებისა და სხვა ელემენტების ჩართვა.

ზღვისპირა ქალაქის ცენტრი, ჯერ ერთი, ახლოს უნდა მდებარეობდეს ნავსადგურთან და საზღვაო ვაგზალთან, მეორეც, მოხერხებულად უნდა უკავშირდებოდეს რკინიგზის ვაგზალს და ქალაქის მთავარ მაგისტრალებს. გარდა ამისა, ვაგზლებთან ცენტრის დამაკავშირებელი ქუჩები მონუმენტურად უნდა იყოს გაშენებული. ამაშია ბათუმის, როგორც ზღვისპირა ქალაქის, დაგეგმვის თავისებურება.

მიზანშეწონილია აგრეთვე, რომ ქალაქის საერთო სილუეტში ცენტრი გამოირჩეოდეს მაღალი, მრავალსართულიანი შენობებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სანაპირო ქალაქის აღქმისათვის შორიდან, განსაკუთრებით ზღვიდან.

ჩვენი აზრით, ერთი ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნებოდა ქალაქის საერთო ცენტრის გაშენება მთავარი ქუჩების (ლენინის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილისა და კალინინის) გადაკვეთის ადგილას. აქ დიდი ხარჯების გაუღებლად შეიძლება მოეწყოს ქალაქის ცენტრალური მოედანი, რომელიც ფართო ბულვარით ადვილად შეიძლება შეუერთდეს სანაპირო ქუჩას, ხოლო ბულვარის პირდაპირ ჩაიდგას საზღვაო ვაგზალი (საზაფხულო პავილიონი) და, ამგვარად, მოედნის მთელი მიმდებარე რაიონი გადაიქცევა ერთ-ერთ კეთილმოწყობილ კუთხედ.

ქალაქის ახალი ცენტრის მთავარი ნაგებობა უნდა იყოს მთავრობის სახლი, რომლის აგების საჭიროება რესპუბლიკისათვის კარგა ხანია მოწიფდა. სხვა მნიშვნელოვან ნაგებობებთან, აგრეთვე მდიდარ მცენარეულობასთან და კეთილმოწყობის სხვა ელემენტებთან ერთად, იგი საფუძველად დაედება ქალაქის ცენტრალურ ანსამბლს.

ბათუმის ცენტრალური რაიონის რეკონსტრუქციის საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს რკინიგზის ახალი სამგზავრო სადგურის ადგილის შერჩევას. უფრო მიზანშეწონილია რკინიგზის სამგზავრო ვაგზლის აშენება ფრუნზეს ქუჩის რაიონში. ეს საშუალებას მოგვცემდა კომპოზიციურად კარგად შეგვეკრა ახალი ვაგზლის ტერიტორია ჩვენს მიერ წარმოდგენილი ცენტრის მთელ სისტემასთან.

ზემოთ მოყვანილ წინადადებათა განხილვების შედეგად ბათუმი მიიღებს თანამედროვე სამრეწველო-სანავსადგურო ქალაქის დასრულებულ სახეს.

ქალაქის მთელი სტრუქტურის სწორად ორგანიზაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ქუჩების ქსელის მიზანშეწონილად გადაწყვეტას და მის სწორ განაშენიანებას.

ბათუმის ქუჩების მრავალფეროვანი განაშენიანება შეიძლება ტიპიური საცხოვრებელი სახლების სხვადასხვანაირი განლაგებით. მთავარი ქუჩებისა და მაგისტრალებისათვის შეიძლება მივიღოთ მთლიანი ანუ ხაზობრივი გაშენება, ხოლო საცხოვრებელი ქუჩებისათვის — თავისუფალი, წყვეტილი გაშენება. ამ შემთხვევაში აუცილებელია სწორად გამოვიყენოთ სახლების ბლოკირების ხერხები, საჭიროების შემთხვევაში ვისარგებლოთ ანაწყობი ნაგებობებით, აგრეთვე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა ჩადგმებით.

საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია დიფერენცირებული ქუჩებისა და გზების თანამედროვე სისტემის შექმნა.

ქალაქის რეკონსტრუქციის პრინციპები მოითხოვენ იმ ქუჩების ტრასირებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, რომლებიც ზღვის მახლობლად მდებარეობენ. აქ უფრო ლოგიკურია გაკეთდეს ფართო ქუჩები, მაქსიმალურად გაიხსნას არსებული ჩიხები და აშენდეს არქიტექტურულად კარგად გაფორმებული შენობები, რადგან ნავსადგურის რაიონი — ეს ქალაქის ფასადია ზღვის მხრიდან.

ქუჩების დაგეგმვის სქემის შედგენისას უფრო მიზანშეწონილია ორიენტაცია ავიღოთ ქალაქის რაიონებს შორის უკეთესი და მოხერხებული კავშირის დამყარებაზე ისე, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ რეკონსტრუქციის სამუშაოები მოცემულ რაიონში.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ქალაქის ძირითადი მოედნების სისტემის სწორად გადაჭრა.

ამგვარად, ბათუმის ახლანდელი ქუჩების ქსელისა და მოედნების განლაგება არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ქალაქის რეკონსტრუქციის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბათუმის გაშენება მიმდინარეობდა გენერალური გეგმის და ქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფის გარეშე. მრეწველობისა და საცხოვრებელი შენობებისათვის ადგილს არჩევდნენ ცალკეული დამპროექტებლებისა და მშენებლების შეხედულებისამებრ, ხშირად ქალაქის საერთო განვითარების პერსპექტივისა და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად. ამი-

ტომ ახლა აუცილებელია განვახორციელოთ უკანასკნელი პროექტით დასახული დაგეგმვა და ქალაქის ტერიტორიის დაყოფა ზონებად.

ბათუმის ტერიტორიის რაციონალურად განაწილებისა და მისი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე მშენებლობაზე ხარჯების შესამცირებლად და მრეწველობის ტრანსპორტით, კომუნალური და ენერგეტიკული მომსახურების მეტი მოხერხებულობის შესაქმნელად უფრო მიზანშეწონილია სამრეწველო საწარმოებისა და საწყობების განლაგება არა გაფანტულად, არამედ მათი დაჯგუფება სამრეწველო და სასაწყობო რაიონებად.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ქალაქის შემდგომი ტერიტორიული გაფართოება. ახალი უბნების გასაშენებლად, პირველ რიგში, უნდა გამოვიყენოთ საინჟინერო კომუნიკაციებით აღჭურვილი კეთილმოწყობილი ტერიტორიები, რადგან ეს მეტად რენტაბელური და ეკონომიურია. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული ტერიტორიები საკმაოდ მჭიდროდაა გაშენებული, არ შეიძლება მოიხსნას მათი შემდგომი რეკონსტრუქციის საკითხი.

ამ ბოლო ხანებში ბათუმს ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო შეემატა, რასაც ახალი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მოჰყვება. ამიტომ ძველი ქარხნების გაფართოების ან ახლის მშენებლობის საკითხი უნდა გადაიჭრას კომპლექსურად, იმ მცხოვრებთა მოხერხებულად დასახლების გათვალისწინებით, რომლებიც დასაქმებული არიან ამ საწარმოებში.

ბათუმის რეკონსტრუქციის ყველა პროექტით ქალაქის შემდგომი გაფართოება დასახული იყო სამხრეთ-დასავლეთით. ეს სავსებით სწორია, რადგან, ჯერ ერთი, სხვა ხელსაყრელი თავისუფალი ტერიტორია ბათუმში არ არის, რამდენადაც ქალაქი სხვა მხარეებიდან გარშემორტყმულია მთებით, ზღვითა და კურორტებით; მეორეც, ეს ტერიტორიები მეტად ხელსაყრელია სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით, აგრეთვე მოხერხებულად უკავშირდება ტრანსპორტით ქალაქის ძირითად ბირთვს.

ამჟამად ქალაქის ზონებად დაყოფასა და სამრეწველო საწარმოთა განლაგებაში გვიჭირს მთელი რიგი ნაკლოვანებები ტერიტორიის შემდგომი კეთილმოწყობისა და გაფართოების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, [illegible] ერთ-ერთ არსებული სამრეწველო რაიონები შევინარჩუნოთ ძველ ადგილას. უსარგებლო იქნებოდა გველაპარაკა ახლა ნავთობგადამამუშავებელი ან მანქანათსაშენი ქარხნების სხვა ადგილას გადატანაზე.

არსებულ სამრეწველო რაიონებში არ უნდა დავუშვათ ახალ საწარმოთა მშენებლობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, განკუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში შეიძლება ზოგიერთი მათგანის გაფართოება და რეკონსტრუქცია. ახალ საწარმოთა ასაგებად კი საჭიროა გამოიყოს ნაკვეთები ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ახალი სამრეწველო რაიონის იზოლირება საცხოვრებელი კვარტალებისაგან შეიძლება მწვანე დამცველი ზოლით. იგი უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე მოხერხებული მისასვლელი გზებითა და რკინიგზის ტრანსპორტით. ამ რაიონს ძალიან ხელსაყრელი მდებარეობა აქვს გაბატონებული ქარების მიმართაც. მისი ტერიტორიის ფართობი სავსებით აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნებს. ამის გარდა, აქ კიდევ მნიშვნელოვანი ტერიტორია რჩება საწარმოთა მოსაწყობად.

ახალი სამრეწველო ტერიტორიის დასავლეთით უნდა გაშენდეს დიდი საცხოვრებელი რაიონი.

ქალაქის ახალი განაშენიანების ამოცანების გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე მისი გაფართოება მთების მხარეზეც.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ქალაქის ამ ბუნებრივ ამფითეატრზე აგებულიყო არქიტექტურულად კარგად გაფორმებული შენობები — დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, ტურისტული ბაზები და სხვ.

მთების ლანდშაფტთან ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ჰარმონიული შეხამება, ცხადია, განსაკუთრებულ სილამაზეს შემატებს ჩვენს ქალაქს.

პავლე ხმაღაძე

პოეზი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე

მიმდინარე წლის 9 აპრილს ქუთაისში გაიმართა პოეტის, მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი სამხარაძის შემოქმედებითი საღამო მისი დაბადების ორმოცდაათ და სამწერლო მოღვაწეობის ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

გიორგი სამხარაძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალში „აფრა", რომელიც ქუთაისში გამოდიოდა. მას შემდეგ პოეტი დაუცხრომლად მუშაობს ლიტერატურულ ასპარეზზე და დღემდე ლექსების ოთხი კრებული გამოაქვეყნა: „საქართველოს ლაჟვარდები", „ლექსები", „სიყვარულის თაიგული" და „სიხარულის ბარათები". ბევრი მისი ლექსი თარგმნილია რუსულად და გამოქვეყნებული რუსულ პრესაში, მათ შორის გაზეთ „პრავდაშიც".

ნაყოფიერ პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად გიორგი სამხარაძე დაუღალავად ეწევა სამეცნიერო-კვლევითსა და საზოგადოებრივ მუშაობას. 1941 წელს მან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია საბჭოთა ფოლკლორის საკითხებზე და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ამავე წლიდან იგი ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორია და არაერთი მეცნიერული ნარკვევი გამოაქვეყნა ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე. მათგან აღსანიშნავია „აკაკი წერეთელი და ქართული ფოლკლორი", „იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკა", „გმირობა და პატრიოტიზმი ძველ ხალხურ პოეზიაში", „მაქსიმ გორკი და ფოლკლორის საკითხები" და სხვ. ცალკე წიგნად გამოვიდა გ. სამხარაძის საინტერესო მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში". ამას გარდა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ბევრი გამოკვლევა ხალხური შემოქმედებისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე, ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები, თეატრალური რეცენზიები და კრიტიკული სტატიები.

პოეტურ და მეცნიერულ მუშაობას გიორგი სამხარაძე უნარიანად ახამებს საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლის შემდეგ არ ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი საქმე, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. ამჟამად იგი არის ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი, კულტურის უნივერსიტეტის დირექტორი და ენერგიულად იბრძვის დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

გიორგი სამხარაძის პოეზიის უმთავრესი მოტივია ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. იგი მღელვარედ, მთელი მგზნებარებით უმღერის სოციალისტურ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას და მის გენიალურ დამაარსებელს დიდ ლენინს. ბევრმა მისმა პატრიოტულმა ლექსმა პოპულარობა მოიპოვა მკითხველთა შორის, ხოლო ზოგიერთი სიმღერადაც იქცა. მათგან აღსანიშნავია ლექსები „ჩემი უბანი", „დაფნის ქალაქი ვარდობის თვეში", „ქუთაისო, ჩემო დედავ", „საქართველოს სიყვარული", „მეგობარი", „ვაჟა-ფშაველა იმერეთში" და სხვ. ხალხი დღესაც მღერის მის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „სამგორის ლაჟვარდები".

ბუნებრივია, რომ გიორგი სამხარაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქუთაისს, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს

ქალაქს, სადაც მან ფეხი აიდგა როგორც პოეტ-
მა და მკვლევარმა. მას გულწრფელად ახარებს
მშობლიური ქალაქის განახლება-წინსვლა და
სიამაყით წერს: „სულ სხვა იერი დაჰკრავს ჩემი
ბავშვობის ქალაქსო". ერთ-ერთ ლექსში, იმი-
სათვის, რომ ცხადეყო ახალი ქუთაისი —
ეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების სანუკვარ
ოცნებათა ხორცშესხმაო, პოეტმა საინტერესო
მხატვრული ხერხი გამოიყენა: თანამედროვე
ქუთაისი დაათვალიერებინა ქართული პოეზიის
სიამაყეს აკაკი წერეთელს და მამია გურიელს.
მოხუცი აკაკი ამაყად დადის მისი საყვარელი
ქალაქის ბაღში, ყველაფერს შეხარის და ეტრ-
ფის, ხოლო მამია გურიელი უქიმერიონიდან გა-
დასცქერის დედა-ქუთაისს, მოხიბლული მისი
მშვენებით. გ. სამხარაძემ კარგად იცის, რომ ეს
ახალი იერი ძველთა-ძველ ქუთაისს მისცეს
ადამიანებმა, ქალაქის მშრომელებმა და მთელი
გატაცებით უმღერის მათ. არაერთ ლექსში იგი
აქებს და ადიდებს ქუთაისელ მშრომელებს,
რომლებიც შრომის ეახტზე დგანან და საგმირო
საქმეებით შორს გაითქვეს სახელი.

თვალსაჩინო წარმატება ხვდა გ. სამხარაძის
საბავშვო ლექსების წიგნს „სიხარულის ბარა-
თები" (რედაქტორი კონსტ. ლორთქიფანიძე).
ამ კრებულიდან ჩანს, რომ ავტორი საფუძვლი-
ანად იცნობს მოზარდი ბავშვის ბუნებას, მის
ფსიქოლოგიას. პატარებმა განსაკუთრებით შეი-
ყვარეს მისი ლექსები „მანანა და ყვავილები",
„სიხარულის ბარათი" და სხვები, რომლებიც დი-
დი უშუალობითა და გრძნობით [illegible]
საბჭოთა ბავშვების განცდებსა და [illegible]
ებს. მათში არ იგრძნობა არც განყენებული,
მშრალი დიდაქტიკა და არც სქემატური რიტო-
რიკა.

ღირსებებთან ერთად გიორგი სამხარაძის პო-
ეზიას, რა თქმა უნდა, აქვს ნაკლიც. ლექსების
ერთ ნაწილში იგრძნობა მხატვრული ხარვეზები,
არის ბუნდოვანება, უსახო თქმები.

ამჟამად გიორგი სამხარაძე პოეტური სიმწი-
ფის ასაკშია და ქართველი მკითხველი მისგან
სამართლიანად მოელის ახალ მხატვრულ ნაწა-
რმოებებს, რომლებშიც ასახული იქნება ჩვენი
მამაცი ადამიანების დაუღალავი შრომა საბჭო-
თა სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგო-
მი განმტკიცებისათვის, კაცობრიობის ნათელი
მომავლის — კომუნიზმის აშენებისათვის.

წინ არის პოეტურ აზრსა და სიტყვაზე და-
ძაბული შემოქმედებითი მუშაობის წლები. ეჭ-
ვი არ არის, მშრომელი ხალხის, ჩვენი საბჭოთა
ადამიანების ყოველდღიურობასთან მჭიდრო
კავშირში გიორგი სამხარაძე შეძლებს შექმნას
ახალი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებე-
ბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმენ ცქვიტინარია

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი

1920 წელი მთელ რუსეთში სასიხარულო მოვლენებით დაიწყო. გმირმა წითელმა არმიამ წარმატებით მოიგერია ანტანტის ახალი ლაშქრობა, გაანადგურა ინტერვენტთა და შინაური კონტრრევოლუციის სამხედრო ძალები და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას შესვენების საშუალება მიეცა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის მშრომელებისათვის: წითელი არმიის სახელოვანმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო მათ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დაასუსტა რა იმპერიალიზმის ძალები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

კერძოდ, 1920 წლის გაზაფხულზე აჭარის მშრომელებმა ახალი ძალით შეუტიეს ინგლისელ ოკუპანტებს, რომლებიც ამ მხარეში ბატონობდნენ. მოსახლეობამ მტკიცედ და გადაჭრით მოსთხოვა ოკუპანტებს დაეტოვებინათ აჭარა, მაგრამ ანტანტა ვერ ელეოდა ბათუმს, რომელიც მას პლაცდარმად ესაჭიროებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმისათვის, რომ ბათუმი არ დაეკარგათ, ოკუპანტებმა გადაწყვიტეს იგი პორტო-ფრანკოდ გამოეცხადებინათ და ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1920 წლის 24 თებერვლის სხდომაზე მიიღო სათანადო დადგენილება, რომლითაც ბათუმი მომიჯნავე ტერიტორიით ერთა ლიგის „მფარველობაში" გადადიოდა და ქალაქი უნდა დაეკავებინათ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის რაზმებს.

ანტანტის ამ გადაწყვეტილებას აჭარის მოსახლეობამ მძლავრი საპროტესტო მოძრაობით უპასუხა, რომელსაც ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. საპროტესტო მოძრაობაში აქტიურად ჩაება აგრეთვე „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" მემედ აბაშიძის მეთაურობით. ბათუმის ოლქში იმართებოდა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები, ხოლო ადგილობრივ ქართულ გაზეთში ხშირად ქვეყნდებოდა ანტანტის აგრესიის მამხილებელი სტატიები, წერილები, ლექსები და სხვ. ერთ-ერთი ლექსი, რომელიც მიეძღვნა იმპერიალისტთა აგრესიისაგან ბათუმის დაცვას, შემდეგი სიტყვებით თავდებოდა:

არ დაღონდე, შენ ჩვენი ხარ,
ჩვენ ვერ გაგვყრის ვერრა ძალა...
დღეს ტყვედ ქმნილი ციხეს ზიხარ,
თავისუფალს გნახავთ ხვალა.[1]

ამავე პერიოდში კონტრრევოლუციონერებმა ახალ მანევრს მიმართეს. აზერბაიჯანელი ხანების წარმომადგენელმა ეფენდიევმა მოითხოვა აჭარის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მიუხედავად ეფენდიევის აგენტურის დიდი საგიტაციო მუშაობისა, მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ კატეგორიულად უარყო ეს მოთხოვნა. ქობულეთელმა ხასან თხილაიშვილმა დაბეჭდა ლექსი „მესხეთს", რომელიც მიმართული იყო ეფენდიევის წინააღმდეგ და ასე თავდებოდა:

დაძრწიან ყოველ სოფელში
უვიცნი, მოქრთამულები,
მტრებს გვერდში ამოდგომიან,
ჩაუჯიბავენ ფულები.
ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს
განადგურებას ლამობენ,
და მტრები ფერხულს უვლიან,
ჩვენი წვალებით ხარობენ.
განა არ გვეყო ცრემლები,
განა არ კმარა გოდება?

1 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო", № 335, 1920 წ.

რომ დღესაც არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება...
ისტორიულად ნაქებო,
მეხსეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო
გამოიღვიძე მალეო.[1]

მალე თურქეთის აგენტების, აზერბაიჯანელი მუსავატელებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ბნელი საქმიანობით აღშფოთებულმა მოსახლეობამ, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში ოკუპანტთა ათი ათასიანი ჯარი იდგა, იარაღს მოჰკიდა ხელი.

ბრძოლამ ინტერვენტების წინააღმდეგ მეტისმეტად დაძაბული ხასიათი მიიღო. აჭარის მოსახლეობის ამ აჯანყების შესახებ აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს ერთ-ერთი წევრი შემდეგს წერდა: „ანტანტის ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციამ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია... აჯანყებულებს შეუერთდნენ აჭარის მუსლიმანები. აჯანყებულებთან შეტაკების დროს მოკავშირეთა ჯარებმა 300-მდე კაცი დაკარგეს. მაგრამ უპირატესობა მაინც საოკუპაციო რაზმების მხარეზე დარჩა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა მეტისმეტად მკაცრად. ამჟამად მოსახლეობა საყოველთაოდ განწყობილია ანტანტის წინააღმდეგ და მხოლოდ წითელი არმიის მოსვლას უცდის, რომ ხელახლა აჯანყდეს“.[2]

მოსახლეობის ამ აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდა აჭარის კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც 1920 წლის გაზაფხულისათვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია იყო მთელ საქართველოში. განუწყვეტლივ იზრდებოდა მისი წევრებისა და თანამგრძნობთა რაოდენობა. წარმატებით მუშაობდა ოცდაორი კომუჯრედი. მათგან ყველაზე დიდ როლს ასრულებდა ჭაობას კომუჯრედი. ბოლშევიკების განკარგულებაში იყო ბათუმის პროფსაბჭოს ორგანო გაზეთი „გოლოს ტრუდა“, რომელიც სისტემატურად აშუქებდა მიმდინარე მომენტის საკითხებს და მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ამან განაპირობა კომუნისტური გავლენის შეუჩერებელი ზრდა. 1920 წლის თებერვლიდან ბოლშევიკები უკვე აშკარად იწვევდნენ მშრომელთა კრებებსა და მიტინგებს. „იმ მარცხის შემდეგ, — წერდა მენშევიკური გაზეთი „ერთობა“, — რომელიც ბოლშევიკებმა საქართველოში განიცადეს (1920 წლის დამდეგს თბილისში დაიწყო კომუნისტების მასობრივი დაპატიმრება — ბ. ც.). მათ მთელი თავისი ენერგია გადმოიტანეს ბათუმში და მის ოლქში. ბათუმში სრულიად აშკარად ეწყობა მიტინგები, რომლებზედაც ბოლშევიკი აგიტატორები მუშაობდებენ ხალხს საბჭოთა რუსეთისადმი ერთგულებას“.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებული აჯანყების მომზადების მნიშვნელოვანი რგოლი იყო საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც ბოლშევიკური ლოზუნგებით ჩატარდა. ამ დემონსტრაციისათვის მზადება ჯერ კიდევ მარტში დაიწყო. 1920 წლის 24 მარტს პროფსაბჭომ განიხილა საკითხი მიმდინარე მომენტის შესახებ და საბჭოს ოცდათექვსმეტი წევრიდან ოცდათხმა ხმა მისცა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. 29 მარტს გაიმართა პროფკავშირთა გამგეობისა და საქარხნო კომიტეტთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა იგივე საკითხი, რაც პროფსაბჭომ თავისი 24 მარტის სხდომაზე. კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აჭარის მშრომელებისათვის ერთადერთი მისაღები ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლება არისო.

ინგლისელი ოკუპანტები, აგრეთვე ქართველი მენშევიკები ვერ იომენდნენ იმას, რომ ბათუმის პროფსაბჭო კომუნისტური პარტიის პოლიტიკას ახორციელებდა. სამხედრო გუბერნატორმა მკაცრად გააფრთხილა იგი, რომ ხელი აღო პოლიტიკური საკითხების განხილვაზე, მაგრამ პროფსაბჭო საოკუპაციო ხელისუფლებას აღარ ემორჩილებოდა. განმათავისუფლებელი წითელი არმია აზერბაიჯანს უახლოვდებოდა და კონტრრევოლუციონერ მუსავატელთა რეჟიმის დღეები იწურებოდა. საქართველოს მშრომელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ახლო მომავალში საბჭოთა ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში გაიმარჯვებდა.

ასეთ ვითარებაში 1920 წლის 22 აპრილს გაიმართა პროფკავშირთა, საქარხნო კომიტეტებისა და აჭარის რაიონების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც მოისმინა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში. გამოირკვა, რომ პრეზიდიუმი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ზოგჯერ ვერ იჩენდა სათანადო პრინციპულობას, რისთვისაც კონფერენციამ გადაახალისა პრეზიდიუმის შემადგენლობა. პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კომუნისტი დ. მახარაძე, მოადგილედ — მ. თუმანოვი.

პროფსაბჭოს ახალი ხელმძღვანელობა ენერგიულად შეუდგა საპირველმაისო დემონსტრაციის მომზადებას. შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა დემონსტრაციის ჩატარების ხელმძღვანელობა. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი მ. ბელენკი (იგივე ბელინსკი).

1 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, № 375, 1920 წ.

2 გაზ. „ეიზნ ნაციონალნოსტეი“, № 12, 1920 წ.

1 გაზ. „ერთობა“, № 42, 1920 წ.

26 აპრილს გაიმართა პროფსაბჭოს პლენარული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი საპირველმაისო დემონსტრაციისათვის მზადების შესახებ. გამოირკვა, რომ მენშევიკებს უკვე შეუქმნიათ „განხეთქილების ბიურო“ („ორგანიზაციული ბიურო“) და სურდათ დემონსტრაციაზე გამოსულიყვნენ საკუთარი დროშებითა და ლოზუნგებით, ბოლშევიკებისაგან დამოუკიდებლად. სხდომამ დაგმო ბათუმელი მენშევიკების გამთიშველურ-მოღალატური საქმიანობა და მოიწონა კომისიის მიერ წარდგენილი გეგმა.[1]

ქართველი მენშევიკების ცდა — ცალკე მოეწყოთ დემონსტრაცია სამარცხვინოდ ჩაიფუშა. მიუხედავად იმისა, რომ აიოლო, წულაძე, გოგოლაძე და სხვა მენშევიკები ემუქრებოდნენ მუშებს და მოუწოდებდნენ მონაწილეობა არ მიეღოთ ბოლშევიკების დემონსტრაციაში, მუშები მაინც გაჰყვნენ კომუნისტებს და მენშევიკები სავსებით იზოლირებული აღმოჩნდნენ. საწყმუნო ცნობებით, დემონსტრაციაში მონაწილეობდა 25-30 ათასამდე კაცი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტები და ბოლშევიკური ლოზუნგები.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ აზიზიეს მოედანზე (ახლა ლენინის მოედანი) შედგა გრანდიოზული მიტინგი. მიტინგმა ერთსულოვნად მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში. საღამოს, ე. წ. რკინის თეატრში გაიმართა კონცერტი-მიტინგი სამ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში მოხსენებებით გამოვიდნენ პროფსაბჭოს მიერ გამოყოფილი ორატორები. მოხსენებათა თემები იყო: 1) პირველი მაისი, 2) რევოლუციური მოძრაობის ისტორია ბათუმში და 3) მიმდინარე მომენტი. ამ განყოფილების დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იყო ცოცხალი სურათი „ინტერნაციონალი“, რომელიც შეასრულა ორკესტრმა და მომღერალთა საუკეთესო ძალებმა.

მეორე განყოფილებაში მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ლუნაჩარსკის, ბლოკისა და სხვა მწერლების ნაწარმოებებიდან.

მესამე განყოფილება მთლიანად მიეძღვნა კონცერტს. მასში მონაწილეობდნენ საუკეთესო მსახიობები ვროისკი, მარკოვი, მიხაილოვსკი, დანილოვი, სლავინა, სლავინი, ჯონსონი, ალფეროვა, შილკოვი, დალსკი, ალბრეხტი და სხვები.[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საპირველმაისო მიტინგმა, რომელიც აზიზიეს მოედანზე გაიმართა, ერთსულოვნად მოითხოვა კომუნისტ ს. გუბელის განთავისუფლება ციხიდან.

როგორც ცნობილია, ანტანტის იმპერიალისტებმა ბათუმი დენიკინისა და ვრანგელის კონტრრევოლუციური ჯარების მომპარავებლად გადააქციეს. ისინი ბათუმიდან ... ... მარტო სათბობს, არამედ ცოცხალ ძალასაც „მოხალისე“ ოფიცრებისა და ჯარისკაცების სახით. აჭარის მოსახლეობა იმთავითვე შეუპოვრად ებრძოდა დენიკინისა და ვრანგელის აგენტებს. ჯერ კიდევ 1919 წლის ზაფხულში ბათუმში მოკლეს დენიკინის წარმომადგენლები — გენერალი ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი. თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ სახალხო მოძრაობამ ისე ფართო ხასიათი მიიღო, რომ დენიკინის აგენტები იძულებული გახდნენ დროებით შეეწყვიტათ მუშაობა. შტაბის უფროსი დიბენკო ბათუმიდან გაიქცა.

ამ მასობრივ საპროტესტო მოძრაობაში კომუნისტურ ორგანიზაციას აქტიურად ეხმარებოდა აჭარის მოწინავე ინტელიგენცია მუმედ აბაშიძის მეთაურობით.

1920 წლის დამდეგს თეთრგვარდიელთა მუშაობა ბათუმში კვლავ გაძლიერდა. ვრანგელისათვის დახმარების ორგანიზაციას სათაეში ჩაუდგა აჭარის მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი ჯალათი გენერალი ლიახოვი, რომელმაც „სახელი გაითქვა“ რევოლუციის ჩახშობით ირანში, აჭარის მოსახლეობის რბევა-აწიოკებითა და ხოცვა-ჟლეტით მსოფლიო ომის პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობითა და პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჩამოხრჩობით ჩრდილო კავკასიაში და სხვ. ამიტომ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა იგი და აი სერგო გუბელის ხელმძღვანელობით 30 აპრილს ბათუმში მოკლეს გენერალი ლიახოვი.[1] გუბელი დაპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მას დახვრეტა მოელოდა. ამიტომ ბათუმის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა მისი განთავისუფლება. მ. ბელენკი მოითხოვდა, რათა წინადადება მიეცათ სამხედრო გუბერნატორისათვის დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა ს. გუბელი. უარის შემთხვევაში კი თავს დასხმოდნენ ციხეს და ეხსნათ უშიშარი რევოლუციონერის სიცოცხლე. ამის გარანტია იყო ბათუმის კომიტეტის მებრძოლი რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პარტიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლები ს. გუბელი, მ. ბელენკი, გ. ჩანგიშვილი, აგრეთვე ა. სურგულაძე, გ. ჯიბლაძე, კ. ბერძენიშვილი, კ. თავბერიძე, პ. ნოდია, ვოლკოვი, მ. ჩაკალოზიანი, მ. თუმანოვი, დ. მახარაძე, მ. ქავთარაძე, გ. რამიშვილი, ა. დმი-

1 გაზ. „გოლოს ტრუდა“, № 102, 1920 წ.
2 გაზ. „გოლოს ტრუდა“, № 104, 1920 წ.

1 ლიახოვის მკვლელობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აკაკი სურგულაძე, გერმანე ჯიბლაძე, მიხა ქავთარაძე და სხვ.

ტრიეეიჩი, ალ. დუმბაძე, გ. ჩანტლაძე, ფ. მეშკოვი, ნ. ნოვიკოვი და სხვ. მაგრამ ციხეზე თავდასხმა საჭირო აღარ გახდა. მიტინგის მოთხოვნით სამხედრო გუბერნატორი იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა სერგო გუბელი.

ამრიგად, საპირველმაისო დემონსტრაციამ და მიტინგებმა ცხადყო, რომ აჭარის მშრომელები თავის ბედს მტკიცედ უკავშირებდნენ რუსეთის მუშათა კლასს და ხსნას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ხედავდნენ. ერთი სიტყვით, საპირველმაისო დემონსტრაციამ მკვეთრი გარდატეხა მოახდინა ხალხის შეგნებაში და გააძლიერა მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი. ეს მისწრაფება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება (1920 წლის 28 აპრილი). ამ დიდმა ისტორიულმა მოვლენამ გაამხნევა აჭარის მშრომელები და აღაფრთოვანა ისინი ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამის თაობაზე ბათუმის მუშათა კონფერენციის მისალმებაში თავისუფალი აზერბაიჯანელი მშრომელებისადმი ნათქვამი იყო: „მუშათა კონფერენცია... კომუნისტურ სალამს უძღვნის აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს, რომელთაც... დაამხეს ხანებისა და ბეგების საზიზღარი ბატონობა: მუშათა კონფერენციას სჯერა, რომ იწურება ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის არსებობის საათი, ახლოვდება დღე პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისა.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში!"[1]

ბათუმის ამბებთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძე 1920 წლის 8 მაისს ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს უდეპეშებდა, რომ „ბათუმის მუშათა უდიდესი უმრავლესობა ჩვენსკენაა".[2]

ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა აჯანყების მოწყობა და ძალაუფლების დაპყრობა. დაარსებულ იქნა არალეგალური რევკომი აჯანყების ხელმძღვანელობისათვის. მის შემადგენლობაში შეეიდნენ კ. ბერძენიშვილი, მ. ბელენკი, დ. მახარაძე, ი. პევცოვი, ვოლკოვ-უსაგინი და სხვები. მიღებული ცნობებით, 10 მაისს ინგლისის ჯარი ბათუმიდან მიდიოდა და მთელ ძალაუფლებას საქართველოს მენშევიკურ მთავრობას აძლევდა. ამიტომ რევკომმა აჯანყება 10 მაისისათვის დანიშნა.[3]

1 გაზ. „გოლოს ტრუდა", № 105, 1920 წ.

2 დოკუმენტების კრებული „ბორბა ზა პობედუ სოვეტსკოი ვლასტი ვ. გრუზიი", გვ. 569.

3 გაზ. „იზვესტია", № 41, 1921 წ.

იგრძნეს რა საშიშროება, ვაჭრებმა და სპეკულანტებმა დაიწყეს ყოველგვარი საქონლის საზღვარგარეთ გატანა. ისინი მტვირთავ მუშებს ორ-სამმაგ ხელფასს აძლევდნენ. მაგრამ ბათუმის პროლეტარიატმა ამის უფლება [illegible] [illegible]ცა. პროფსაბჭომ შექმნა კომისია (სამეული) პ. ნოდიას მეთაურობით, რომლის ნებადაურთველად ბათუმიდან არაფრის გატანა არ შეიძლებოდა. თვითონ ინგლისელი ოკუპანტებიც იძულებული გახდნენ საქონლის გატანაზე ნებართვა კომისიისაგან მიეღოთ.[1]

მუშებს მხარში ამოუდგნენ მეზღვაურებიც. 4 მაისს გაიმართა ბათუმის ნავსადგურის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კრება პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მეზღვაურებმა პროტესტი განაცხადეს ბათუმიდან საქონლის გატანის წინააღმდეგ და დაადგინეს— გემები წაეყვანათ მხოლოდ საბჭოთა რუსეთის ნავსადგურებში.

ამრიგად, მაისის პირველ დღეებში ძალაუფლება ბათუმში ფაქტიურად ბოლშევიკური პროფსაბჭოს ხელში იყო. ბათუმის მუშები საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებას საეალდებულოდ არ თვლიდნენ, ისინი მხოლოდ პროფკავშირებს ემორჩილებოდნენ.

1920 წლის 8 მაისს დანიშნული იყო პროფკავშირთა გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტების საგანგებო კონფერენცია, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი მიმდინარე მომენტის შესახებ. ეს კონფერენცია ფაქტიურად წარმოადგენდა რევოლუციურ ძალთა გენერალურ შემოწმებას შეიარაღებული აჯანყების წინ.[2]

ამრიგად, კომუნისტების მიერ ძალაუფლების დაპყრობა გარდუვალი ჩანდა, მაგრამ არც რევოლუციის მტრებს ეძინათ. გენერალ კუკ-კოლისის მოთხოვნით კონსტანტინოპოლიდან გამოიწვიეს ინგლისის დრედნოუტები და კრეისერები, სომარ მზადყოფნაში მოიყვანეს ყველა გვარეობის საოკუპაციო ჯარები. ინგლისის მთავრობის დავალებით, ბათუმში ჩამოვიდა ჯალათი გენერალი ტომსონი. საგანგებო მზადების შემდეგ 8 მაისს სამხედრო გუბერნატორმა კუკ-კოლისმა უპრეცედენტო ვერაგობა ჩაიდინა. მან თვალთმაქცურად თავის რეზიდენციაში მიიწვია პროფკავშირთა ხელმძღვანელები. ამ მიწვევის მიზეზად დასახელებული იყო დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების განხილვის აუცილებლობა. მაგრამ როგორც კი პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები გუბერნატორის რეზიდენციის შესასვლელ კარებთან მივიდნენ, მათ თავს დაესხნენ იქ ჩასა-

1 ორცსა, ფ. 130, ს. 496, აჭარის ასსრცა, ფ. 74, ს. 49.

2 გაზ. „ეიზნ ნაციონალნოსტეი", № 31, 1920 წ.

ფრებული ინგლისელი ოფიცრები, სწრაფად დაადეს ბორკილები და სამხედრო ბადრაგის თანხლებით სამხედრო გემზე გადაიყვანეს.[1]

იმავე დროს ინგლისელ მეზღვაურთა ძლიერმა რაზმმა და ინდუსთა ასეულმა დაარბიეს პროფსაბჭოს ბინა და გაზეთ „გოლოს ტრუდას“ რედაქცია. თავდამსხმელებმა გაიტაცეს პროფკავშირთა საქმეები, საბეჭდი მანქანები, ბეჭდები და სხვა ქონება. საოკუპაციო ჯარის სხვა ნაწილები მთელ ქალაქში აწარმოებდნენ ჩხრეკას. სულ დააპატიმრეს 18 პროფკავშირული ხელმძღვანელი. ყველა ისინი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს და ჩანაკ-კალეს საპყრობილეში მოათავესეს.[2] საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით, 1920 წლის ნოემბერში ყველა დაპატიმრებული გაათავისუფლეს.

1 გაზ. „გოლოს ტრუდა“, № 110, ორცსა, ფ. 130, ს. 496.

2 გაზ. „იზვესტია“, № 41, 1921 წ.

რკპ (ბ) ბათუმის კომიტეტის წევრებმა, რომლებიც დაპატიმრებას გადარჩნენ, გადაწყვიტეს მოეწყოთ საპროტესტო გაფიცვა, მაგრამ მენშევიკების მიზეზით გაფიცვა დამარცხებით დამთავრდა. დაიწყო საშინელი რეაქცია. იგი კიდევ უფრო გაძლიერდა ივლისიდან, როცა აჭარაში მენშევიკების დიქტატურა დამყარდა. ქართველი მენშევიკები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ მათი ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა. მენშევიკური საქართველო მძიმე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ამავე დროს კომუნისტური პარტიის გავლენა მასებში არაჩვეულებრივად იზრდებოდა. მალე, 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა, ხოლო 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება აჭარაშიც დამყარდა. ასრულდა აჭარის მშრომელთა დიდი ხნის ოცნება. მთელი ძალაუფლება მათ ხელში გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯურნირი დამთავრდა

საქართველოს XXI საჭადრაკო ჩემპიონატის შესახებ

წარსულის კარგი ტრადიცია, როდესაც დიდი საჭადრაკო შეჯიბრებები მხოლოდ საკურორტო ქალაქებში ტარდებოდა, უკანასკნელ წლებში (და სრულიად უსაფუძვლოდაც!) დავიწყებულ იქნა. ამიტომ მხოლოდ მისალმების ღირსია რესპუბლიკის საჭადრაკო ორგანიზაციის გადაწყვეტილება საქართველოს მორიგი, XXI ჩემპიონატის ბათუმში ჩატარების შესახებ. ეს, ცოტა არ იყოს, არ ეჭაშნიკათ ჭადრაკის თბილისელ გულშემატკივრებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში „ძალიან განებივრდნენ". თბილისელი მაყურებელი შარშან გაეცნო საბჭოთა კავშირის უძლიერეს გროსმაისტერებს, ხოლო წელს „ესწრება" ბოტვინიკ-ტალის მატჩსაც, რომლის პარტიების დემონსტრირება რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს. ცოტა ხნის შემდეგ თბილისში ორი თვალსაჩინო საჭადრაკო „სპექტაკლიც" მოეწყობა. ჯერ რესპუბლიკის უძლიერესი ოსტატობის კანდიდატები მოწვეულ ოსტატებთან ერთად ითამაშებენ საკლასიფიკაციო ტურნირში (სადაც შეიძლება ოსტატის ნორმის შესრულება), ხოლო შემდეგ პირველად საქართველოში მოეწყობა საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის.

საქართველოს მორიგმა ჩემპიონატმა შემთხვევით როდი გამოიწვია დიდი ინტერესი — მასში მონაწილეობდა რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე. ორი ოსტატი, ცხრა ოსტატობის კანდიდატი და ცხრა უძლიერესი პირველთანრიგოსანი ერთი თვის განმავლობაში იბრძოდა საქართველოს ჩემპიონობისათვის. მონაწილეებს სხვადასხვა საზრუნავი ჰქონდათ: ზოგს (პირველ რიგში ოსტატებს) მხოლოდ პირველი ადგილი აკმაყოფილებდა, ზოგი ისწრაფოდა მოხვედრილიყო საქართველოს გუნდში, რომელსაც წელს ორი საინტერესო მატჩი მოელის რუმინეთის ნაკრებთან (თბილისსა და ბუქარესტში). პირველთანრიგოსნები ოცნებობდნენ შეესრულებინათ ოსტატობის კანდიდატობის ნორმა (11 ქულა 19 შესაძლებლიდან). საინტერესოა ისიც, რომ შეჯიბრების ოცი მოწვეულიდან ცხრამეტს სხვადასხვა დროს უკვე უთამაშია საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, და მხოლოდ ერთი, შეინსვიტი იყო „უცნობი № 1". ამასთან ცნობილი იყო, რომ ის საკმაოდ გამოცდილი პირველთანრიგოსანია და უკრაინის ყოფილი ჩემპიონიც ჭაბუკთა შორის. უნდა ითქვას, რომ შეინსვიტმა კიდევაც გაამართლა მოლოდინი და მთელი ტურნირი აღმავლობით ჩაატარა.

შეჯიბრების დასაწყისში ფიქრობდნენ, რომ „გენერალური ბრძოლა" პირველი ადგილისათვის ოსტატებს გურგენიძესა და ბუსლაევს შორის უნდა გამართულიყო. გურგენიძემ სერიოზული სპორტული მარცხი განიცადა საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ჩემპიონატის ფინალში. ამიტომ იგი მთელი ძალით შეეცადა აეღო „ნაწილობრივი რევანში". ამჯერად იგი ყველაფრით ჭარბობდა თავის ახალგაზრდა თანამემამულეებს. გურგენიძის უპირველესი საჭადრაკო ღირსებაა ვარიანტების ‘მორს და ზუსტად გათვლა. ამ მხრივ იგი ტოლს არ უდებს თვით გამოჩენილ მოჭადრაკეებსაც კი. პირველი ტურიდანვე გურგენიძე შეუდგა მეტოქეების „შემუსვრას". პირველ ათ ტურში, ერთი ძველი ჟურნალისტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ ლასკერ-იანოვსკის მატჩის შესახებ მსოფლიო პირველობაზე, „ხან გურგენიძე იგებდა, ხან მისი მეტოქეები აგებდნენ". აქ კიდევ ერთხელ გამართლდა მოჭადრაკეთა წრეებში გავრცელებული აზრი, რომ ტურნირში პირველი ადგილის დასაკავებლად სა-

ჭიროა დიდი აღმავლობით თამაში, მონდომება და ცოტაოდენი „ბედიც“. სწორედ ეს „ბედი“ გახსენდებათ, როდესაც იგონებთ გურგენიძის პარტიებს გამრეკელსა და ვეტოხინთან. ამ სტრიქონების ავტორს, რომელსაც გურგენიძესთან სამი ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მეტოქის ძლიერი ციტნოტისას „თავში ჩაუჯდა“ უხეირო აზარი, მოეგო რაც შეიძლება ჩქარა. ამიტომ შავებმა (მათ ნახევარი საათი დრო ჰქონდათ) შეწყვიტეს ფიქრი და შეეცადნენ გამოეყენებინათ მეტოქის ციტნოტი. ბოლოს, ლათინური კამოთქმისა არ იყოს, „იუპიტერმა დასაჯა უგნური“. დროის დიდი გასაჭირის მიუხედავად, გურგენიძემ მახვილგონიერი კომბინაცია განახორციელა და მოიგო. დიდი შეუპოვრობა გამოამჟღავნა გურგენიძემ ვეტოხინთან. თითქმის უძმედო პოზიციაში მან კარგად გამოიყენა ტაქტიკური შანსები და ეფექტურ ყაიმს მიაღწია.

გურგენიძემ უკვე მეოთხედ შეინარჩუნა საქართველოს ჩემპიონობა. ამასთან უკვე სამი წელია მას პარტია არ წაუგია. იგი უდავოდ უძლიერესი მოჭადრაკეა ჩვენს რესპუბლიკაში და ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატიც საბჭოთა კავშირში. მისი წარმატებები საკავშირო ასპარეზზე საკმაოდ თვალსაჩინოა. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა, რომელიც ნიჭიერმა ოსტატმა დაუმარცხებლად ჩაატარა და თავის დაფაზე გაასწრო თვით მსოფლიო ჩემპიონ ბოტვინიკს. გურგენიძისაგან ქართველი საზოგადოებრიობა მეტს მოელის და მან დაუღალავად უნდა იმუშაოს, რათა სრულყოს თავისი ოსტატობა. მაშინ იგი საახიფათო მეტოქე გახდება უძლიერესი გროსმაისტერებისთვისაც კი.

მთელი ტურნირის მანძილზე დავა მეორე ადგილისათვის, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას იძლევა, წარმოებდა ოსტატობის კანდიდატებს ბლაგიძესა და ჯანოევს შორის. ეს დავა ჯერჯერობით გადაუჭრელი დარჩა. მათ 13,5 ქულით გაიყვეს მეორე-მესამე ადგილები (ორი ქულით ჩამორჩნენ გურგენიძეს) და მატჩი უნდა ითამაშონ. ბლაგიძემ ძალზე უფერულად დაიწყო შეჯიბრება, მაგრამ შემდეგ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. იგი დიდი ხანია თამაშობს ოსტატის ძალით, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეძლო რომელიმე ტურნირში ნორმის შესრულება. ამ არც თუ მცირე გამოცდილების მოჭადრაკეს წარსულში დიდი მიღწევები ჰქონდა. ამიტომ სასიამოვნოა, რომ ბლაგიძეს დაძლია ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისი და კვლავ ჩადგა რესპუბლიკის წამყვანი მოჭადრაკეების რიგებში. ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკე ჯანოევი საგრძნობ შემოქმედებით წინსვლას ამჟღავნებს. იგი შესანიშნავად იცნობს საჭადრაკო თეორიის უკანასკნელ მიღწევებს, თამაშობს გაბედულად და შინაარსიანად. განსაკუთრებით საშიში იგი მწვავე პოზიციებში, სადაც ზოგჯერ ძალიან შესამჩნევ და მეტოქისათვის მოულოდნელ სვლებს პოულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ადგილზე გამოსული შეინსვიტი გამოირჩევა უაღრესად შეუპოვარი თამაშით. მაშინაც კი, როდესაც პოზიცია უიმედოა, იგი მხნედ განაგრძობს თამაშს და არც თუ უსაფუძვლოდ. შეჯიბრების რამდენიმე მონაწილემ (გერსამია, გიორგაძე, ბუსლაევი, იზვოზჩიკოვი) არა თუ ვერ შეძლო შეინსვიტთან თვალსაჩინო უპირატესობის გამოყენება, არამედ მარცხიც კი განიცადა. შეინსვიტმა 12,5 ქულა მოაგროვა. ე. ი. ერთნახევარი ქულით გადაამეტა ოსტატობის კანდიდატობის ნორმას, რაც უდავოდ თვალსაჩინო სპორტული გამარჯვებაა.

მეხუთე პრიზიორი გამრეკელი (11,5 ქულა) სუსტად თამაშობდა ტურნირის დასაწყისში (2,5 ქულა 7-დან), მაგრამ შემდეგ თანდათანობით შეეიდა ფორმაში (9 ქულა 12-დან). მან გიორგაძესთან ერთად საუკეთესო შედეგი უჩვენა ბოლო ხუთ ტურში (4 ქულა). მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს შეჯიბრების უხუცესმა მონაწილემ ბრეიტმანმა და ჭაბუკმა ოსტატობის კანდიდატმა იზვოზჩიკოვმა. ხანდახანმულობის მიუხედავად, ბრეიტმანი საკმაოდ მწვავედ და საინტერესოდ თამაშობდა. მაგრამ მუდამ აკიანურებდა წინააღმდეგობას სრულიად უიმედო პოზიციებშიც კი და ზედმეტ „მხიარულებას“ იწვევდა დარბაზში. იზვოზჩიკოვმა საუცხოოდ ჩაატარა შეტევა გიორგაძესთან და ვეტოხინთან, მაგრამ მთელ რიგ შეხვედრებში უხეშ შეცდომებს უშვებდა.

ამით შეიძლება დავამთავროთ ლაპარაკი ტურნირში გამარჯვებულებზე. ძალიან ცუდად ითამაშა ოსტატმა ბუსლაევმა (მეცხრე ადგილი 10 ქულით). ასეთი დაბალი შედეგი მას არასოდეს ჰქონია საქართველოს ჩემპიონატებში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბუსლაევმა, რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია ოსტატის საპატიო წოდება, ამჯერად ოსტატობის კანდიდატობის ნორმაც კი ვერ შეასრულა. მან ჩინებულად დაიწყო შეჯიბრება, მაგრამ შემდეგ ავად გახდა და მთელ რიგ პარტიებში (შეინსვიტთან, იზვოზჩიკოვსა და არნშტეინთან) უხეში შეცდომები დაუშვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ისეთი ძლიერი ოსტატი, როგორიც ბუსლაევია, კვლავ არაერთხელ მოიპოვებს დიდ წარმატებებს.

გაკვირვებას იწვევს თბილისის ჩემპიონის ოსტატობის კანდიდატის კიკიანის შედეგი (მე-12-14 ადგილები 9 ქულით). მიმდინარე წლის იანვარში ამ ნიჭიერმა მოჭადრაკემ თბილისის პირველობაზე გამართულ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში დამსახურებულად მოიპოვა

ჩემპიონის წოდება, შემდეგ კარგად ითამაშა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში და ფინალურ შეჯიბრებაში თამაშის უფლება მოიპოვა. ასეთი დიდი წარმატების შემდეგ ყველა ელოდა, რომ კიკიანი უდავოდ იქნებოდა პრიზიორთა შორის. ტურნირის დასაწყისში მას მართლაც ჰქონდა თავისი გულშემატკივრების იმედების გამართლების საშუალება, მაგრამ შემდეგ არაერთი დამარცხება განიცადა. კიკიანი ტურნირისათვის არასაკმარისად მომზადებული აღმოჩნდა თეორიულადაც. მთელ რიგ შეხვედრებში (ჯანოევთან, გაგუასა და გამრეკელთან) მან დებიუტიდანვე მძიმე პოზიცია მიიღო. ასეთმა დიდმა სპორტულმა ჩავარდნამ კიკიანს გული არ უნდა გაუტეხოს და მეტი მონდომებით იმუშაოს თავისი ოსტატობის დასახვეწად.

საოცარი „რეკორდი“ დაამყარა თენგიზ გიორგაძემ — 2.5 ქულა პირველ ათ ტურში და შვიდი (!) ქულა მომდევნო ცხრაში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს გამოცდილი მოჭადრაკე თამაშობდა ნახევარი წლის შესვენების შემდეგ. რასაც არ შეეძლო არ ემოქმედა სპორტულ ფორმაზე.

აჭარის არაერთგზისი ჩემპიონის ჭანტურიას თამაშს, ბუნებრივია, ბათუმელები ყველაზე უფრო მეტი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს. საქართველოს გასული წლის ჩემპიონატში წარმატებითი დებიუტის შემდეგ, როდესაც მან სძლია ოსტატ შიშოვს და ყაიმით დაამთავრა ძნელი შეხვედრა ოსტატ ბუსლაევთან, მისგან მეტს მოელოდნენ. მაგრამ ამჯერად ჭანტურია გაუბედავად, უფერულად თამაშობდა და სერიოზული მარცხი განიცადა. ამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ მისთვის აუცილებელია გამოცდილ მწვრთნელთან მუშაობა. აჭარის ორგანიზაციებმა სათანადო ნაბიჯები უნდა გადადგან ამ მიმართულებით, რათა ისეთი სახელოვანი სპორტული ტრადიციების ქალაქში, როგორიც ბათუმია, იყოს ოსტატი თუ არა, ოსტატობის კანდიდატი მაინც.

ტურნირში არაერთი პარტია ჩატარდა მაღალ დონეზე, გათამაშდა რამდენიმე ჩინებული კომბინაციაც. ულამაზეს პარტიად ცნობილ იქნა არნშტეინ-ვეტოხინის შეხვედრა, რომელმაც ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ ჯილდო დაიმსახურა. ამ შეხვედრაში არნშტეინი კარგ-ვეულ მომენტამდე მკაცრი პოზიციური ტექნიკით თამაშობდა და ხელსაყრელ უკიდურესობაში [illegible] ფიგურები. შემდეგ მხედრის ეფექტური მეყარ-ვით არნშტეინმა ცენტრში გამორიყა შავების მეფე და დაამამათა იგი. ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ჯილდო მიეკუთვნა ოსტატობის კანდიდატ გამრეკელს ბერაძესთან ჩატარებულ პარტიაში. ორი სპეციალური ჯილდო მიიღო ოსტატმა გურგენიძემ. როგორც ტურნირში გამარჯვებულს, მას გადაეცა აჭარის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ჯილდო. მანვე მოიპოვა გამარჯვებათა ყველაზე მეტი რაოდენობა (12), რისთვისაც სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ჯილდო მიიღო. ტურნირში რობინ გუდის როლს ასრულებდა ოსტატობის კანდიდატი ვეტოხინი, რომელმაც ე. წ. „აუტსაიდერებთან“ მარცხი განიცადა, მაგრამ ჩინებულად ჩაატარა შეხვედრები ლიდერებთან. ხუთი პრიზიორის წინააღმდეგ ვეტოხინმა მოაგროვა 3.5 ქულა და აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური ჯილდო დაიმსახურა. ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის დაჯილდოვდნენ ოსტატობის კანდიდატები გამრეკელი და გიორგაძე (გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ პრიზი). ახალგაზრდა მონაწილეებს შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ოსტატობის კანდიდატ ჯანოევს (კომკავშირის საოლქო კომიტეტის პრიზი). გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ დააჯილდოვა პირველთანრიგოსანი შეინსვიტი, რომელმაც ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატების წინააღმდეგ.

ბათუმელები ერთი თვის განმავლობაში დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეების ბრძოლას. განსაკუთრებით სასარგებლო გამოდგა იგი ნორჩი მოჭადრაკეებისათვის, რომელნიც ახლოს გაეცნენ ჩვენი უძლიერესი ოსტატების შემოქმედებას. საერთოდ ტურნირი უდავოდ ხელს შეუწყობს ამ უძველესი, მაგრამ მარად ახალი და მომხიბლავი თამაშის შემდგომ პოპულარიზაციას აჭარაში.

გ. გამრეკელი,
ოსტატობის კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებითი დებიუტი

ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია ისტორიული თემების დაძებნისა და შერჩევის ცოტა შესაძლებლობას როდი აძლევს მხატვრული სიტყვის ოსტატებს. მაგრამ ამ თემაზე მომუშავე მწერალს ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეს, რომ იგი ვალდებულია სწორად და მართლად ასახოს კონკრეტული ისტორიული სინამდვილე და ხელი შეუწყოს ხალხის, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დიად საქმეს. ერთი სიტყვით, ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული მწერალმა უნდა აღიქვას თანამედროვეობის სიმაღლიდან. გამოეხმაუროს ღრმაშინაარსიან, სისხლსავსე დღევანდელ დღეს.

ჩვენც სწორედ ამ თვალსაზრისით გვინდა მიმოვიხილოთ იუსუფ ფაღავას პირველი მხატვრული ნაწარმოები „ჩაუმქრალი კერა“.

სარეცენზიო წიგნში, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ავტორმა მთელი სიმძაფრით დაგვიხატა საქართველოს წარსულის ერთ-ერთი ტრაგიკული, ავბედითი ხანა — XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე თურქ მოძალადეთა მიერ ჩვენი შშობლიური მიწაწყლის ნაწილის — სამხრეთ საქართველოს პროვინციებისა და, კერძოდ, აჭარის მიტაცება, ხალხის გამუსლიმანება-გათურქების პროცესი და ჩვენი ქედუხრელი წინაპრების გმირული შემართება მომხდური მტრის წინააღმდეგ.

ნაწარმოების უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ავტორი წინა პლანზე წარმოაჩენს ხალხს, როგორც ისტორიის შემოქმედს. ნაწარმოების პერსონაჟთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ამბოხებული მოსახლეობის ერთ-ერთი მეთაური უბრალო გლეხი ნოდარ გობრონიძე; თავადი დარისპან შერვაშიძე, რომელიც ღრმად განიცდის დამონებული სამშობლოს უბედურებას, რაზმავს თანასოფლელებს მომხდური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და სტამბოლის ცის ქვეშ მსხვერპლად ეწირება თავის საყვარელ ქვეყანას; დამპყრობთა წყალობით გადიდკაცებული თავადი უაფლან ბეჟანიძე, იგივე იბრაჰიმ ბეგ ბეჟანოღლი, რომელიც მოწამლულმა საზოგადოებრივმა ატმოსფერომ, ცოლისა და ერთადერთი ქალიშვილის ტრაგიკულმა ბედმა სიგიჟემდე მიიყვანა; ახალგაზრდა ქალი, ნოდართან გულწრფელი სიყვარულით გამიჯნურებული ეთერ ნიჟარაძე, რომელიც ყურადღებას იპყრობს თავისი სულიერი სისპეტაკითა და კდემამოსილებით, ხასიათის სიმტკიცითა და ჭირთამტანობით; ქედის კაზეს კიამაკამი — თურქი მოხელე საფარ-ბეგი, მრისხანე და დაუნდობელი ფადიშაჰი — სულთან მურად მეოთხე.

რაც შეეხება დანარჩენ პერსონაჟებს, ისინი მეტ-ნაკლები ოსტატობით გამოუკვეთავს ავტორს. სამწუხაროდ, ნაწარმოებში ისეთ პერსონაჟებსაც ვხვდებით, რომლებიც, ჩვენი აზრით, არაფერს ჰმატებს სიუჟეტური რკალის შეკვრას და არ არის რაიმე იდეურ-ესთეტიკური ფუნქციით შეპირობებული (მახარა, ირაკლი ზაქარიაძე, გამაჰმადიანებული თავადი სელიმ-ბეგი, თეთრწვერა ხოჯა, ზაბითი კასაბოღლი და შეიძლება კიდევ სხვაც).

ავტორთან შედავების საბაბს გვაძლევს აგრეთვე დღემდე ჩვენთვის ისეთი უცნობი მხატვრული ხერხი, როცა მწერალს ნაწარმოებში სხვადასხვა პერსონაჟი ერთი და იგივე სახელით შეჰყავს. აი, ზოგიერთი მაგალითი: თინათინი, იგივე ესმე და ალი-ფაშის ცოლი — ესმე-ხანუმი, გამაჰმადიანებული სელიმ-ბეგი და ჰარამხანის გამგე სელიმ-ბეგი, ირაკლი ზაქარიაძე და ირაკლი ნიჟარაძე, ახალციხის ფაშა საფარი და კიამაკამი საფარ-ბეგი, უაფლან ბე-

ჟანიძე, იგივე იბრაჰიმ-ბეგი და სულთან მურადის ძმა — იბრაჰიმი.

ლიტერატურული ნაწარმოების უტყუარ საზომად, როგორც ცნობილია, ძირითადად მისი მხატვრულ-ესთეტიკური მხარე ითვლება და ამიტომ ჩვენც არსებითად ამ კუთხით გვინდა მივუდგეთ „ჩაუმქრალ კერას“.

განსახილველ ნაწარმოებში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მხატვრულმა შედარებებმა მიიპყრო. ბევრ შემთხვევაში ავტორს მიუგნია მკაფიო და ზუსტად მიმნიშნებელი შედარებები, რომლებიც აძლიერებენ აზრს, ხელს უწყობენ ხასიათებისა და სურათების გამოძერწვას, ემოციების აღძვრას. უხვად ვხვდებით აგრეთვე ხალხურ ხატოვან სიტყვა-თქმებსა და იდიომატურ გამოთქმებს. ასევე ხშირად მომართავს ავტორი აფორიზმებსა და ანდაზებს, რომელთაც ორგანულად აქსოვს თხრობაში. რაც მთავარია, ანდაზები ლექსიკურად და ფორმით მისადაგებულია ამა თუ იმ ამბავთან. ამ მიზნით ი. ფაღავა მიმართავს ანდაზის პერიფრაზირებასაც. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ანდაზა თუ ხატოვანი სიტყვა-თქმა ავტორისა უნდა იყოს: დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: „ვაქკაცს ულვაში ამშვენებს, დიაცს კი მანდილი“, „კალმახი ჭიას გაეკიდა და ფაცერში ჩავარდაო“, „წყალი თევზით ფასდება, მამული ვაჟკაცობით“, „დათვმა სკა გადმოაგდო და თაფლი ვიხილეო“ და სხვ.

საკმაო დამაჯერებლობითა და მხატვრული ზომიერებით გვიჩვენებს ი. ფაღავა აჭარის ქართველობის გამუსლიმანება-გათურქების მძიმე სურათებს. თურქმა დამპყრობლებმა, იანიჩრების, ზაბითების, ჩაუშებისა და „თხაპარვია“ ასკერებისაგან შემდგარმა დამსჯელმა ექსპედიციებმა ერთიანად გადაბუგეს, გაძარცვეს და ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დატოვეს „ოსმალობის“ პერიოდის ქართული სოფლები; მიტაცებული სოფლების ცენტრებში თავსაკვეთები დადგეს, სახრჩობელები აღმართეს.

ქართველი ხალხი თავისი ძნელბედობის გრძელ მანძილზე არასოდეს არ შერიგებია ამ ისტორიულ უსამართლობას და შეუნელებლად იბრძოდა დაკარგული მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნებისთვის. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა თავისი ტანჯული სიცოცხლე თავსაკვეთებთან და სახრჩობელებზე დაამთავრა, ნაწილმა ამბოხებულთა რაზმებში ტყეს შეაფარა თავი, ხოლო ერთი ნაწილი გამწესებულ იქნა თურქეთის შორეულ ვილაეთებში ტყვეთა სახით.

ნაწარმოებში კარგადაა აღწერილი სისხლისმღვრელი ბრძოლები ადგილობრივ მოსახლეობასა და თურქ ჯარისკაცთა და მოხელეთა შორის, ქართველობასა და მტრის ურდოთა ჭარბ ძალებს შორის. აღწერილია დანდალო-გობრონეთისა და ზვარის ის ბრძოლები, რომლებიც ისტორიული წყაროებიდანაცაა ცნობილი.

„აჭარაში, — ვკითხულობთ სოფელ ...ის მცხოვრებ ავალიანს ნაამბობ „...ის წიგნში“, — გათათრების. გამო ყველაზე დიდი ბრძოლა დანდალოს ხალხმა გამოიარა... ოსმალნი ათასობით დახოცეს“ („ქართველების გამაჰმადიანება“, თბილისი, 1907 წ., გვ. 16).

ამბოხებულთა რაზმების ხელმძღვანელები დარისპან შერვაშიძე, ნოდარ გობრონიძე, შერმანდინ დიასამიძე, ირაკლი ნიჟარაძე და ყარამან დევაძე კარგი მხატვრული სახეებია. ისინი უყოყმანოდ ეშვებიან ბრძოლის მორევში, რადგან მათ მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ყველაზე სანუკვარი და სამართლიანია.

ღირსებებთან ერთად ი. ფაღავას „ჩაუმქრალი კერა“ არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. აქა-იქ გვხვდება მხატვრულ-ლოგიკური შეუსაბამობანი, გაურკვეველი და ბუნდოვანი ფრაზები, ორთოგრაფიული ნორმების დარღვევის შემთხვევები.

ჩვენ გაკვრით ზევითაც აღვნიშნეთ, რომ ძნელი ასახსნელია, რა იდეურ-ესთეტიკური ფუნქციისათვის არის შემოყვანილი რომანში შეშლილი მახარა. მართლაც დაუჯერებელია, რომ მოქმედი პირის ტიპიზაციისათვის ფსიქოლოგიურ მოტივაციად გამოდგეს ავტორის ასეთი მსჯელობა: „ბევრს ახსოვდა მისი (მახარას — **შ. ნ.**) ახალგაზრდობა. ერთ დროს იგი გონებამახვილი ვაჟკაცი იყო. მრავალი წიგნი წაეკითხა, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ბერძნულ ფილოსოფიაშიც ერკვეოდა. ამბობდნენ ჭაბუკობა ათინაში გაატარაო... მაჯახლის ხეობაში ერთ-ერთი ბრძოლის დროს სამი შვილი დაეღუპა. ცოლი და ქალიშვილი (ქალიშვილი შვილად არ ეკუთვნოდა თუ?! — **შ. ნ.**) საფულემ გამოაცალა და მოხუცებულობის ჟამს მარტოხელა დარჩა“ (გვ. 40). როგორც შემდგომ აღნიშნავს ავტორი, „მახარა ხან დალაგებულად მსჯელობდა, ბრძნული და მოსწრებული სიტყვებით მსმენელი განცვიფრებაში მოჰყავდა, ხან კი სისულელეებს როშავდა და ნამდვილად შეშლილის შთაბეჭდილებას ტოვებდა“ (იქვე).

მაშ ასე: მახარა ათენში ბერძნულ ფილოსოფიას ეზიარა, ოჯახური ტრაგედიის გამო ჭკუიდან შეიშალა, ხან სისულელეებს როშავდა და ხან ბრძნული შეგონება-სენტენციებით თანასოფლელებს ყურს უჭედავდა. არა გვგონია, რომ რაიმე შინაგანი ფსიქოლოგიური გამართლება ჰქონდეს მოქმედი პირის ასეთ მსჯელობას: „— ღელეს ნაკადულები ავსებს, შვილო. — კვერი დაუკრა მახარამ, — თუ ჭკუა არ ამერია (!) ფაცხას მაინც დაგიცავთ“ (გვ. 71).

ნაწარმოებში თითქოს ერთ-ერთი ნათელი საზეა თინათინი, მაგრამ სრულიად დაუჯერებელი. შინაგან სიმართლეს მოკლებულია ინანიჩრებს შორის ჩაყენებული დედოფალი როგორ გაიტაცა ულაყმა და ცოცხალ-მკვდარი ტყისკენ გაქროლა. თურმე ნუ იტყვით, ქორწილის დღეს ისე მოულოდნელად გაუჩინარდა დედოფლის ცხენი, რომ სასიძოს (მემეჯ-აღა ქომურჯოლლის — **შ. ნ.**) მის საძებრად ინანიჩართა დამატებითი რაზმის გაგზავნა დასჭირდა. და მხოლოდ მეორე დღეს მოასვენეს დედოფლის ცხედარი მამამისის თანდასწრებით სასახლეში. რომ არაფერი ვთქვათ დადებითი პერსონაჟის უაზრო დაღუპვის ფაქტზე, თავისთავად ასეთი ეპიზოდი ზღაპარს უფრო შეშვენის, ვიდრე ისტორიულ ნაწარმოებს. სამწუხაროდ, ასეთი დაუჯერებელი ეპიზოდი სხვაგანაც გვხვდება.

მწერალი ზოგჯერ თავს ვერ აღწევს პლაკატურობას, გვხვდება გაურკვეველი, სტილისტიკურად საჩოთირო და ბუნდოვანი ფრაზებიც, რომელთა შორის არც თუ იშვიათად შეინიშნება აზრობრივ-ლოგიკური შეუსაბამობანი:

„ინით შეღებილი წვერულვაში... მის ს

აღარ გადმოსულა ქართველთა ხელში.

ნაშრომში მეცნიერული თანმიმდევრობითაა განხილული ბათუმის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლები. მისი საბოლოო განთავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1878 წელს, როცა მეფის რუსეთი სან-სტეფანოს ზავით დაეუფლა აჭარას. ეს დიდი, პროგრესული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში.

ახასიათებს რა ბათუმისა და აჭარის მდგომარეობას თურქი დამპყრობლებისაგან განთავისუფლების შემდეგ, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომით გაჩანაგებული ქართველობა (აჭარლები) გაჭირვების მარწუხებში მოექცა. მეფის მთავრობამ და მისმა მოხელეებმა თავიანთი წადილის ასრულების (ბათუმის დაუფლების) შემდეგ არაეითარი დახმარება არ აღმოუჩინეს სამსაუკუნოვანი მონობით დაბეჩავებულ ახალგანთავისუფლებული აჭარის ქართველობას. ამის გამო აჭარაშიც გამეორდა ის, რაც აღრე აფხაზეთსა (1810 წლიდან) და მესხეთ-ჯავახეთში (1828-1829 წლებიდან) მოხდა — დაიწყო მოსახლეობის ოსმალეთში გახიზვნა — მუჰაჯირობა. სამართლიანად წერს ავტორი, მუჰაჯირობა განაპირობა არა აჭარის მოსახლეობის შეუგუებლობამ ახალ წყობილებასთან, არამედ თურქეთის აგენტურის აქტიურმა მოქმედებამ და რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ.

ნარკვევის მომდევნო თავში ნაჩვენებია ბათუმის სამრეწველო განვითარება, პროლეტარიატის ჩამოყალიბება და მისი ბრძოლა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამავე თავში განხილულია ბათუმის პორტის მშენებლობა და სამრეწველო საწარმოების გახსნა. წინა პლანზეა წამოწეული სამრეწველო პროლეტარიატის ზრდა, ბრძოლა მარქსიზმის გავრცელებისა და მარქსისტული წრეების შექმნისათვის ბათუმში. თითქმის სრულყოფილადაა გაშუქებული მუშების ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა და რეაქციის მძვინვარება.

ნაშრომის მეოთხე თავი აშუქებს პირველი მსოფლიო ომის მსვლელობას, ბათუმში მეწშევიკებისა და უცხოელი იმპერიალისტების ბატონობის პერიოდს, ამხილებს ინგლისის, გერმანია-თურქეთისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ზრახვებს, ქართველი მეწშევიკების ანტიხალხურ, გამცემლურ პოლიტიკას.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი ბოლშევიკური ჯგუფის (1917 წ.) და მის ბაზაზე რსდმპ (ბ) კომიტეტის შექმნას და მის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ავტორი ფართოდ განიხილავს ბურჟუაზიულ-ეროვნული ძალების ბათუმში მყოფი თეთრგვარდიელების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ანტიხალხურ საქმიანობას.

ნაშრომის სპეციალური თავი რევოლუციამდელი ბათუმის კულტურული ცხოვრების საკითხებს ეხება.

სარეცენზიო ნაშრომი დაზღვეული არაა ნაკლოვანებებისაგან.

ნაშრომი მოიგებდა, თუ ავტორი მუჰაჯირობის განხილვისას მოიშველიებდა აფხაზეთისა და სამცხე-ჯავახეთის გახიზვნის შესახებ არსებულ წყაროებსაც, რადგან იგივე ფაქტორები მოქმედებდა აჭარაში მუჰაჯირობის მთელი ისტორიის მანძილზე. მუჰაჯირობას ავტორი განიხილავს მხოლოდ მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა უარყოფითი გავლენა ჰქონდა მას.

ნაშრომში არაფერია ნათქვამი ბათუმის საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებზე. მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესი ოსმალობის დროს იყო და ამ კუთხის განთავისუფლების შემდეგაც დარჩა იმ კვანძად, რომლის გარშემო ტრიალებდა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. მიწის საკითხი მეფის რუსეთმა აჭარაში ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა. ამანაც ერთგვარი ბიძგი მისცა გახიზვნას.

რევოლუციამდელი ბათუმის კულტურული ცხოვრება დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი ამ მნიშვნელოვან საკითხს შედარებით მცირე ადგილს უთმობს. აუცილებელი კი იყო იგი გაცილებით უფრო ფართოდ განეხილა.

დღემდე გამოცემული ჯველა ნაშრომი და წინამდებარე ნარკვევიც არ ეხება მშენებლობის საკითხებს. ქალაქისა და პორტის მშენებლობა სქემატურადაა წარმოდგენილი. ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ბათუმის მკვიდრთა ყოფაცხოვრებასაც.

ვლ. მგელაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველთა საყურადღებოდ!

ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ გამოწერა შეიძლება კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასია—ერთი წლით 24 მანეთი, ნახევარი წლით—12 მანეთი.

ჟურნალი რომ შეუფერხებლად მიიღოთ, დროზე გააფორმეთ ხელმოწერა. (ბალობით გასაყიდად ჟურნალი „სოციუზპეჩატის“ კიოსკებს ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით გადაეცემა.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV 1960 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7 თაბახი, შეკვეთის № 2654, ემ 00665. ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглавполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

6 /109

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ